# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 20 ოქტომბერი 2000 №203 (1225) | ფასი 50 თეთრი


# ხიზანიშვილი ცალი ფეხით არსენალელია

## ორშაბათს შესაძლოა „ჩელსის" და რატი ალექსიძის მეტოქეობამაც მოუწიოს

გუშინ თბილისის „ლოკომოტივი" თავის ბაზაზე გაგანია ვარჯიშში იყო და გუნდის მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი ფეხბურთელებს მითითებებს აძლევდა, მის ჯიბეში მობილური ტელეფონი რომ აწკრიალდა. ძოძუაშვილმა უპასუხა და უმალ ზურაბ ხიზანიშვილს გასძახა — ზურა, „არსენალიდან" გირეკავენ — ფეხბურთელმა მწვრთნელს ტელეფონი გამოართვა, ორიოდ წუთი ილაპარაკა და...

— ჩემი მენეჯერი იყო. ბრიტანეთის ვიზას თუ გაძლევენო, მკითხა. ლონდონში შაბათს მელიან. იმედი მაქვს, ვიზას ხვალვე მომცემენ, საამისოდ ყველა საბუთი მაქვს. ორშაბათს „არსენალისა" და „ჩელსის" სარეზერვო გუნდების მატჩია და არსენ ვენგერს უთქვამს, ხიზანიშვილი ორშაბათამდე ჩამოვიდეს, „ჩელსისთან" უნდა ვათამაშოო — გვითხრა ვარჯიშის შემდეგ ცალი ფეხით არსენალელმა ზურაბ ხიზანიშვილმა.

ასე რომ, შესაძლოა ორშაბათს ლონდონში ორი ქართველის მეტოქეობა შედგეს, თანაც ერთ ფლანგზე. ჩელსელი ნახევარმცველი რატი ალექსიძე მარცხნიდან მარჯვენაფლანგელ მცველ ზურაბ ხიზანიშვილს შეუტევს...

ზურაბ ხიზანიშვილთან ინტერვიუ იხილეთ მესამე გვერდზე



ბადრი ქეთიაშვილის ფოტო

ზურაბ ხიზანიშვილი „ლოკომოტივის" გუშინდელი ვარჯიშისას



# ძოძუაშვილმა იტალიურად უნდა უსტვინოს

გუშინდელ „სარბიელში" დაბეჭდილი რევაზ ძოძუაშვილის ინტერვიუ თუ არ წაგიკითხავთ, მოკლედ გეტყვით: ძოძუაშვილს იტალიელი კოლეგა ჯოვანი ტრაპატონისა შეშურებია, სათადარიგოთა სკამიდან ისე ოსტატურად უსტვენს, ფეხბურთელები მის ნასტვენზე შესაბამისად რეაგირებენო.

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი დაგვპირდა, რომ სამომავლოდ თავადაც შეისწავლის ტრაპატონისდარად სტვენას. მაგრამ ძოძუაშვილს, შესაძლოა, კომუნიკაციის ამ ერთ-ერთი უძველესი საშუალების გამოყენება იმაზე ბევრად ადრე დასჭირდეს, ვიდრე თავად წარმოედგინა.

გაეცანით ერთ-ერთი ინტერნეტ-სააგენტოს გუშინ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ძოძუაშვილს „ფიორენტინა" ეპატიჟება და თავადვე განსაჯეთ.

სხვათა შორის, ამ სააგენტომ რამდენიმე დღის წინ „ფიორენტინას" მომავალი ლევან კობიაშვილს დაუკავშირა და წერილს დართულ კომენტარში ამის თაობაზეც ამოიკითხავთ.

იხილეთ მეოთხე გვერდი

# ტეიშეირამ თქვა, ლეაო!

## ბრაზილიას ახალი მწვრთნელი ჰყავს



REUTERS რიო დე ჟანეიროდან

ეს კაცი, რიო დე ჟანეიროში მდებარე ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის შენობაში ხელკეტიანი პოლიციელების დახმარებით რომ შედის, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა ეროვნული გუნდის ახალი მწვრთნელია. ემერსონ ლეაო ამ თანამდებობაზე გუშინ დაინიშნა. ერს ეს ამბავი ფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდო ტეიშეირამ ამცნო.

ემერსონ ლეაო 70-იან წლებში „პალმეირასის" და „ვასკუ და გამას" მეკარე იყო. 1974 და 78 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატებზეც ითამაშა, არგენტინაში კი ნაკრების კაპიტანიც გახლდათ.



REUTERS რიო დე ჟანეიროდან



„ფრაიბურგი“ ალექსანდრე იაშვილის ამ პოზაში ხილვას ელის

# პრესა ფინკეს აკრიტიკებს, ფინკე ბაია-იაშვილს

**ამ** ბოლო დროს ალექსანდრე იაშვილის, ლევან კობიაშვილის და ლევან ცქიტიშვილის „ფრაიბურგის“ თავკაც ფოლკერ ფინკეს მხოლოდ კრიტიკა ესმის. არის კიდეც ამის მიზეზი, სამ მატჩში ფრაიბურგელებმა ქულა რაა, ისიც ვერ აიღეს: წააგეს მიუნხენ 1860“-თან — 1:3, ბრემენის „ვერდერთან“ და „დორტმუნდთან“ — 0:1. ფინკეც ადგა და გუშინ თავი იმართლა. „დროა, რამდენიმე ფეხბურთელი ფორმაში ჩადგეს და თავისი შესაძლებლობები გამოავლინოს“ — განუცხადა მწვრთნელმა პრესის წარმომადგენლებს, რომლებსაც დიდი ფიქრი და თავის მტვრევა არ დასჭირვებიათ, რათა მწვრთნელის სიტყვების ადრესატი აღმოეჩინათ.

„დორტმუნდში ნათლად გამოჩნდა, რომ „ფრაიბურგის“ ლიდერები ზუბეიარ ბაია და ალექსანდრე იაშვილი თავიანთი პოტენციალის მინიმუმს ამჟღავნებენ — წერს გერმანული „კიკერი“ და იქვე დასძენს, ამ ფეხბურთელებს თითქოს რწმენა აკლიათო. ფინკეს ზემოთ ნათქვამი სიტყვებიც უპირველეს ყოვლისა ამ ფეხბურთელებს ეხებათ.

ბოლო სამ მატჩში გატანილი ერთადერთი გოლი, ცხადია, გუნდის თავდასხმის პასიურობაზე მეტყველებს. იმ შეხვედრებში ფინკემ თითქმის ყველა ფორვარდი ათამაშა, ვინც კი სათადარიგოთა სკამზე მოეძევებოდა, მაგრამ ამით ხეირი ვერ ნახა.

მიუხედავად წარუმატებელი თამაშისა, იაშვილი, რომელმაც მიმდინარე სეზონში სულ ორი გოლი, თანაც ორივე „კოტბუსთან“ 4:1 მოგებულ შეხვედრაში გაიტანა, მაინც ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ ითვლება. მისი შესაძლებლობების ქომაგებსაც სჯერათ, ფინკეზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. საქართველოს ნაკრებში რომ იაშვილი არ დააყენეს, იგი განცვიფრებული დარჩა და ეს აღნიშნა კიდეც ადგილობრივ გაზეთში.

კვირას ბუნდესლიგის მეცხრე ტურში „ფრაიბურგს“ მორიგი მძიმე მატჩი ელის. „დრაიზამშტადიონზე“ ჩემპიონატის ლიდერი გელზენკირხენის „შალკე“ ჩადის. „მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენს უიღბლობას ბოლო მოეღება და ქომაგებსაც გავახარებთ“ — იმედოვნებს ფინკე.

თუ რამ მოულოდნელი არ მოხდა, „შალკესთან“ შეხვედრაში სამივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

**ვანო ოქროპირიძე**

# შერიფელი სადორიაზე

**მოგეხსენებათ,** ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში ახლა ორი უკრაინელი ლეგიონერი ბურთაობს — ანდრეი მუხინი და ნიკოლაი პოდლესნი. ესენი „მერანის“ ღირსებას იცავენ და თუ აკვირდებით, არცთუ ურიგოდ. ისე, აქამდე ქართველები ეტანებოდნენ უკრაინას, ახლა პირიქით. რატომ ხდება, ღმერთმა უწყის. მაგრამ უკუპროცესი დაიწყო და არ არის გამორიცხული, საქართველოში მოთამაშე უკრაინელთა რიცხვი ერთიორად გაიზარდოს.

გუშინ სადორიის ბაზაზე სავარჯიშოდ გამზადებული ჩვენი ჩემპიონის რიგებში უცნობს მოვკარით თვალი. რაღა თქმა უნდა, მისი ვინაობით დავინტერესდით.

— ანდრეი პოროშინი გახლავართ, — გვიპასუხა ქერა, ცისფერთვალება ბიჭმა. — „ტორპედოში“ გასინჯვაზე მომიწვიეს. აქამდე წელიწადნახევარი მოლდოვაში ვთამაშობდი, თავდასხმაში. საერთოდ კიროვოგრადელი ვარ და მშობლიური ქალაქის გუნდში „ზირკაში“ გამოვდიოდი, სანამ იგი უკრაინის უმაღლეს ლიგაში იყო. ქუთაისში „ტორპედოს“ მენეჯერ ვლადიმერ გუცაევის მეშვეობით ჩამოვედი. ქართულ ფეხბურთზე ზოგადი წარმოდგენა მაქვს. ვიცი, რომ „ტორპედო“ ჩემპიონი გუნდია და აქ ლამაზი თვალებისთვის არავინ მიმიღებს, მაგრამ ვნახოთ და, ბოდიშს მოგიხდით, წინასწარ მეტს ვერაფერს გეტყვით.





პოდლესნის (მარცხნივ) და მუხინს თანამემამულე კონკურენტი გამოუჩნდა

პოროშინს ნათქვამისთვისაც მადლობა. იმას დავამატებთ, რომ „ტორპედოში“ ასაყვანად მოსული თავდამსხმელი 22 წლისაა, 185 სანტიმეტრი სიმაღლის და მოლდოვის ჩემპიონატში 9, ხოლო ქვეყნის თასის გათამაშებაში 4 გოლით შეწევია „შერიფს“. უნდა ვივარაუდოთ, „ტორპედოს“ მწვრთნელობა მალე დაუსვამს დიაგნოზს უკრაინელის მზადყოფნას და, თუ ფეხბურთელმა გაამართლა, „შერიფიდან“ მისი „ტორპედოში“ ტრანსფერს წინ არაფერი დაუდგება.

**იუზა ძაძიტაძე**

# ჯანაშიას იოგს მოევლება



„ტორპედოს“ კაპიტანი დავით ჯანაშია

**გორის** „დილასთან“ გასვლით მატჩში იყო ტორპედოს კაპიტანი დავით ჯანაშია რომ დაშავდა და მოედანი ადრიანად დატოვა. მას შემდეგ აგერ თვეზე მეტი გავიდა და ფორვარდი არა და არ ჩანს ჩემპიონის შემადგენლობაში, ქუთაისელებს წამყვანი ფეხბურთელის გარეშე უწევთ თამაში. კი, მაგრამ, როდემდე? დავეკითხეთ გუშინ „ტორპედოს“ გუნდის ექიმს დავით მურღულიას და ასეთი პასუხი მივიღეთ:

— ჯანაშიას ტრავმას საგანგაშო არადა, სერიოზული კი ეთქმის. დათომ მუხლის მედიალური კოლატერალური იოგი დაიზიანა, თანაც იმავე ადგილზე ძველმა ნატრავმევმაც იჩინა თავი. ფეხბურთელს ახლა კონსერვატული მკურნალობის კურსი უტარდება. იგი ცნობილი ტრავმატოლოგის ზურაბ ხაბეიშვილის ყურადღების ქვეშ იმყოფება და ოთხი ინექციაც გაიკეთა. დიდი იმედი გვაქვს, ჯანაშია იოგს ამ გზით მოიშუშებს და საოპერაციო არ შეიქნება.

**იუზა ძაძიტაძე**

# უეფას არ აეჭვებს

**უცნაურია,** მაგრამ ფაქტია — ჩვენში მსაჯებს გაუთავებლად აკრიტიკებენ, უცხოეთში კი ქართველ თემიდელთა კვალიფიკაცია არ აეჭვებთ.

ჩვენებურ შავოსნებს უეფას ეგიდით გამართულ არაერთ ტურნირში უმსახურიათ და მაღალი შეფასებებიც დაუმსახურებიათ. ის კი არა, ამას წინათ უეფამ მადლობის წერილიც გაუგზავნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს, მუშაობა შეუქო მათ და დაჰპირდა, ქართველ მსაჯებს ერთიორად დავტვირთავთო.

უეფა ჯერჯერობით სიტყვას ასრულებს და ქართველ არბიტრებსაც ხშირად უწევთ სხვადასხვა უცხოური ტურნირების განსჯა.

გასულ კვირას ბულგარეთში, 18-წლამდელთა შეჯიბრზე გაემგზავრნენ ლევან ფანიაშვილი და გურამ ჩიგოგიძე. რამდენიმე დღეში კი ჩვენებურებს რანგით უფრო მაღალ ტურნირზე მიავლენენ.

26-დან 29 ოქტომბრამდე რიგა 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს მასპინძლობს და მასზე უეფამ ორი იუგოსლაველი და ორიც ქართველი მსაჯი გაამწესა.

სამგუნდიანი (ლატვია, ესპანეთი, ირლანდია) ჯგუფის მატჩებს ქართველთაგან ფიფას არბიტრი, თბილისელი მერაბ მალაღურაძე და სამტრედიელი ლევან მიქელაძე მოემსახურებიან. მიქელაძე სამჯერვე ასისტენტობას გასწევს. ხოლო მერაბ მალაღურაძეს, თუ პირველ შეხვედრაში თავს გამოიჩენს, მესამე თამაშის არბიტრობასაც ანდობენ.

**ბაატა ძგანტალიანი**



ლევან მიქელაძე



მერაბ მალაღურაძე

## აზიის თასი

B ჯგუფი. III ტური

ჩინეთი 0:0 ქუვეითი

სამხრეთ კორეა 3:0 ინდონეზია

1:0, 2:0, 3:0 ლი დონ გუკი (30, 75, 89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:2 | 5 |
| ქუვეითი | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 5 |
| სამხრეთ კორეა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| ინდონეზია | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | 1 |

## ჰოლანდია

თასის მეთექვსმეტედფინალი

ცვოლე 3:1 ბრედა

სიტარდი 4:0 გრონინგენი

ჰელმონდი 1:3 ალკმარი

მაასტრიხტი 0:3 უტრეხტი

## თურქეთი

ანთალია 2:2 გაზიანთეფი

# ბოსკამპიდან არსენამდე

## ზურაბ ხიზანიშვილი: არ მეშინია. ჯერ იმითაც კმაყოფილი ვიქნები, ხანდახან 10-15 წუთი დიდ „არსენალში“ თუ მათამაშებს

თავის დროზე, როცა საქართველოს ნაკრების ახალდანიშნულ ჰოლანდიელ მწვრთნელ იოჰან ბოსკამპს ვკითხეთ, ნაკრებში რას შეცვლითო, ოდნავ დაფიქრდა და მოკლედ, დაუკონკრეტებლად გვიპასუხა, სიურპრიზები გელითო.

გავიდა ხანი, ეროვნულმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ითამაშა თბილისში, ბერძნების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ჩვენებმა წააგეს, თუმცა კი საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. და აი, სწორედ მაშინ, ნამატჩევს, მოულოდნელად ბოსკამპი მომიტრიალდა, მარცხს რომ აშკარად უხმურ ხასიათზე დაეყენებინა: ნახეთ სიურპრიზი? — მკითხა მწვრთნელმა. დავიბენი, ვერ მივხვდი, რაზე იყო ლაპარაკი, ბოსკამპმა კი განაგრძო — აი, სიურპრიზი. ელოდი დღეს ხიზანიშვილი რომ ითამაშებდა? ის ძალიან კარგი ფეხბურთელია, დღეს ცოტას ნერვიულობდა — ჰოლანდიელმა ნაძალადევად გაიღიმა და გზა განაგრძო. იმ დღეს ნაკრებში ხიზანეიშვილსაც ჰქონდა დებიუტი, მაგრამ ბოსკამპს მასზე არაფერი უთქვამს, რადგანაც წინალდით პრესკონფერენციაზევე განაცხადა, რომ იგი ძირითადში ითამაშებდა.

მაშინ, ბერძნებთან მატჩისას, ზურაბ ხიზანიშვილმა სულ 25 წუთი ითამაშა. ის 17 წლის გახლდათ და როგორც მოგვიანებით გავიგეთ, იოჰან ბოსკამპს ბერძნების თბილისში სტუმრობამდე, ჩეხეთში, 18-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში სულ ორჯერ უნახავს ზურას თამაში და მისი ეროვნულ გუნდში მიწვევა მაშინვე გადაუწყვეტია.

აი ასე, სიურპრიზით დაიწყო ზურაბ ხიზანიშვილის აღმასვლა და უფრო შთამბეჭდავად ალბათ ხვალიდან გაგრძელდება — ის ლონდონს მიემგზავრება, სახელოვან „არსენალში“.

დღეს კი ზურა საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს მიაკითხავს ვიზის მისაღებად და შაბათიდან...



ზურაბ ხიზანიშვილს საინგლისო ჩემოდანი ჩალაგებული აქვს

— რა ვიცი, ჩემი მენეჯერი მეუბნება, „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი რაკი ჩასვლას გთხოვს, ესე იგი საქმე 99 პროცენტით გადაწყვეტილია და ხელმოსაწერად გამზადებულ კონტრაქტსაც დაგახვედრებენო — გვითხრა ზურაბ ხიზანიშვილმა — ძალიან მიხარია, ასეთი კლუბი რომ მიწვევს.

**— არ გეშინია?**

— არა, არ მეშინია, თუმცა კი დარწმუნებული ვარ „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში თავიდან არ მათამაშებენ. არც ის არის გამორიცხული, ამ სეზონის ბოლომდე „არსენალმა“ სხვა კლუბში გამანათხოვროს, თუ არადა, ჯერ იმითაც კმაყოფილი ვიქნები, თუ ხანდახან 10-15 წუთი დიდ „არსენალში“ ვითამაშებ.

**— თავად ვენგერთან არ გისაუბრია იტალიასთან მატჩის შემდეგ?**

— არა. ისე, ტრიბუნაზე დავინახე.

**— „არსენალი“ ორ-სამი თვის წინათაც ხომ იყო შენით დაინტერესებული?**

— ამის თაობაზე მე მხოლოდ ჭორის დონეზე ვიცოდი და არც მეგონა, თუ მაკვირდებოდნენ.

**— ფიქრობდი, რომ მხოლოდ იტალიის „ლეჩეს“ და მოსკოვის „სპარტაკის“ სურდა შენი გადაბირება?**

— დაახლოებით ერთი თვის წინ, როცა „ლეჩეში“ ვიყავი, მაშინ დავრწმუნდი, რომ არსენ ვენგერიც მაკვირდებოდა, თუმც „ლეჩეც“ და „არსენალიც“ თურმე იტალია-საქართველოს მატჩს ელოდნენ. ეს მერე მითხრეს.

**— „ლეჩეში“ გადასვლას გამორიცხავ?**

— არა, მაგრამ ხომ ვთქვი, 99 პროცენტი „არსენალში“ დავრჩები. იცით, იტალიის მატჩის შემდეგ „ლეჩეს“ სურდა გუნდში დავეტოვებინე, მე კი, რა თქმა უნდა, „არსენალი“ ვამჯობინე. აბა, სად ლონდონური კლუბი და სად „ლეჩე“.

**— იტალიასთან მატჩს სხვა ცნობილი მწვრთნელიც ხომ არ ესწრებოდა?**

— არ ვიცი, სხვა არავინ დამინახავს. ისე კი „ფრაიბურგის“ მწვრთნელი ფინკეც იყო. მატჩის მერე კობიაშვილთან, იაშვილთან და ცქიტიშვილთან ერთად წავიდა.

**— ძალიან გაგიჭირდა იტალიის წინააღმდეგ თამაში?**

— ძალიან, ისე, რომ მეტი არ შეიძლება. განსაკუთრებით მატჩის დასაწყისში ვნერვიულობდი, მაგრამ როცა კოკოს პირველი ორთაბრძოლა მოვუგე, დავმშვიდდი. ფსიქოლოგიურად ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

**— შენს თამაშს როგორ შეაფასებ, კმაყოფილი ხარ?**

— როცა გუნდმა წააგო, ვერ ვიტყვი, რომ კარგად ვითამაშე. მე ხომ მცველი ვარ და ორი გოლი გავუშვით. 0:0 კი ჩემთვისაც და გუნდისთვისაც ჩინებული იქნებოდა. წაგებული მატჩის შემდეგ არ შემიძლია, ჩემი თამაშით კმაყოფილი ვიყო.

**— მატჩამდე მწვრთნელებმა რა გითხრეს?**

— მათ იცოდნენ, რომ ჩემს ფლანგზე მალდინის და კოკოს უნდა ეთამაშათ. აბა, იმას ვინ წარმოიდგენდა, თამაშის წინა დღეს მალდინი თუ დაშავდებოდა. ჰოდა, ასეთ სახელოვან ფეხბურთელთან მეტოქეობისთვის მამზადებდნენ. მე ახლა 19 წლის ვარ და მწვრთნელები მამხნევებდნენ, ნურაფრის შეგეშინდება, როგორც შეგიძლია, ისე ითამაშეო, მეუბნებოდნენ.

**— ლიტვასთან მატჩზე რას იტყვი? უფრო სწორად, შენს თამაშზე?**

— ბევრს ვერაფერს. კაუნასში მატჩისას ისეთ აზარტში ვიყავი, ნორმალურად აღარც მახსოვს, როგორ ვითამაშე. საერთოდაც ასეა, ჩემს თამაშს შემდეგ ფირზე ვაკვირდები-ხოლმე. ლიტვის მატჩის ფირი კი ჯერ არ მინახავს. გუნდზე ვიტყვი, რომ, ვფიქრობ, დამსახურებულად მოვიგეთ. პირველმა გოლმა მეტოქე გატეხა.

**— კეთილი. ახლა წელიწადნახევრის წინანდელი ამბავი გავიხსენოთ. შენი პირველი თამაში საქართველოს ნაკრებში...**

— იმ დღეს, საბერძნეთთან შეცვლაზე შესვლას რა დამავიწყებს. იოჰან ბოსკამპმა დიდი საქმე გამიკეთა, მისი მადლობელი ვარ. მაშინ ეროვნულ გუნდში ჩემი გამოძახება მოულოდნელი იყო.

**— დიდი განსხვავებაა მაშინდელ და ახლანდელ ხიზანიშვილს შორის?**

— იმის მერე როგორც ფეხბურთელი, საკმაოდ გავიზარდე, ძალიან ბევრი ვისწავლე.

**— მაგალითად რა?**

— რა არის ევროპული ფეხბურთი. მივხვდი, რომ საყვარელ საქმისთვის და მიზნის მისაღწევად დიდი მონდომებაა საჭირო, საამისოდ ყველაფერი უნდა გაიღო. პროფესიონალიზმი რა არის, ესეც ვისწავლე.

**— ახლა რა ნაკლი გაქვს?**

— ძალიან ბევრი, თითქმის ყველა კომპონენტში. უპირველეს ყოვლისა კი მარცხენა ფეხით უკეთ უნდა ვითამაშო და სისწრაფეს მოვუმატო.

**— უკეთ რას აკეთებ?**

— ვერ გეტყვი. დადებითად ის თუ ჩამეთვლება, რომ აბსოლუტურად ყველა მეტოქესთან ერთნაირი პასუხისმგებლობით ვთამაშობ. ჩემთვის არ არსებობს ძლიერი და სუსტი გუნდი. მოდუნება არ მჩვევია.

**— ეგ ძალიან კარგია, მით უმეტეს, „არსენალში“ წამსვლელისთვის.**

— ასეთ გუნდში სათამაშოდ მივდივარ და ჩემი კარიერაც ახლა იწყება. ვეცდები, ყველას დავუმტკიცო, რა შემიძლია. ისიც მიხარია, რომ „არსენალს“ მსოფლიო იცნობს და იქ ქართველი ვითამაშებ.

**— ახლა ისევ იტალიას დავუბრუნდეთ. ამდენი ვარსკვლავის წინააღმდეგ თამაშობდი, მათგან ვის გამოყოფდი?**

— ნესტას, ის ჩემი კერპია, ვცდილობ, მას მივბაძო, მასავით ვითამაშო. სხვა კი... კანავარო, დელ პიერო ძლიერი ფეხბურთელები არიან, მართლაც ვარსკვლავები. მათ, მგონი, კარიერაში ჩავარდნა არ ექნებათ. მხოლოდ მონდომებით თუ შეიძლება მათი დაჯაბნა.

**— პენალტებზე რას იტყვი?**

— ორივე პენალტი რომ ჩვენს კარში დაინიშნა, იმიტომ არ ვამბობ, მაგრამ ორივე ეპიზოდისას ახლოს ვიყავი წაქცეულ ტოტისთან და დელ პიეროსთან და კარგად დავინახე, რომ არც რეხვიაშვილს გამოუკრავს ფეხი მეტოქისთვის, არც გვარამაძეს წაუქცევია თავდამსხმელი. იტალიელებმა გააფორმეს. ესეც კლასია. იტალია უფრო სახელოვანი გუნდია, ვიდრე საქართველო და მსაჯმაც...

**— დაბოლოს, ზურა, არც იტალიაზე, არც ლიტვაზე, არც „არსენალზე“. თბილისის „დინამოდან“ „ლოკომოტივში“ რატომ გადახვედი?**

— რევაზ ძოძუაშვილი საქართველოში რომ დაბრუნდა და „ლოკომოტივი“ ჩაიბარა, მან მაშინვე თავის გუნდში მიმიწვია. თანაც საქმე ის გახლდათ, რომ იმ დროს მე „თბილისში“ ვთამაშობდი, მეორე ჯგუფში და როცა „დინამოში“ გადასაყვან ფეხბურთელთა სია ჩამოწერეს, მე იქ ვერ მოვხვდი. ავდექი და „დინამოს“ ხელმძღვანელობას ვთხოვე, თუ „დინამოში“ არ მათამაშებთ, მაშინ პირველ ლიგის რომელიმე სხვა გუნდში წავალ-მეთქი. „დინამო“ დამთანხმდა და მეც „ლოკომოტივში“ გავაგრძელე თამაში. მერე „დინამომ“ კი მოინდომა, უკანვე დავებრუნებინე, მაგრამ მე „ლოკომოტივში“ დარჩენა ვამჯობინე.

**— და ახლა „არსენალში“ მიდიხარ...**

— იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება.

**— წარმატებებს გისურვებ.**

— „სარბიელსაც“. გმადლობთ.

**ძობა ინასარიძე**





ფიზმომზადების მწვრთნელი გენადი გორგაძე ზურაბ ხიზანიშვილს ლონდონში წასვლამდე ბოლოჯერ ავარჯიშებს, რევაზ ძოძუაშვილი კი არიგებს



რევაზ ძოძუაშვილი ვიტორიო ჩეკი გორის ზარს ელის

# ძოძუაშვილმა იტალიურად უნდა უსტვინოს

დასაწყისი პირველ გვერდზე

## ფიორენტინა საქართველოს მწვრთნელს უმიზნებს

„საქართველოს ნაკრების მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი უმთავრეს კანდიდატად განიხილება „ფიორენტინას" კრიტიკის ქარცეცხლდატეხილი მწვრთნელის, ფათიჰ თერიმის სანაცვლოდ.

„ფიორენტინას წარმომადგენლები დამიკავშირდნენ" — უთხრა ძოძუაშვილმა onefootball.com-ს.

ამ ზაფხულს „გალათასარაიდან" ფლორენციაში, „ფიორენტინას" მთავარ მწვრთნელად გადასულ ფათიჰ თერიმს კლუბის პრეზიდენტ ვიტორიო ჩეკი გორისთან ურთიერთობა გაუმწვავდა. უეფას თასზე ინსბრუკის „ტიროლთან" „ფიორენტინას" წაგების და ახალ სეზონში წარუმატებელი სტარტის შემდეგ თერიმი და გორი სახალხო განხილვის ობიექტებად იქცნენ და ამ საქმეს ბოლო ჯერაც არ მოღებია.

ცნობა, რომ დავით ყიფიანთან ერთად საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ მთავარ მწვრთნელად მომუშავე რევაზ ძოძუაშვილს „ფიორენტინა" დაუკავშირდა, ორს შორის ურთიერთობას მხოლოდ აუარესებს.

ძოძუაშვილმა onefootball.com-ს უთხრა: „მიწვევები ცნობილი თურქული კლუბებიდანაც მქონდა, მაგრამ ამ ეტაპზე მეტის თქმა წინასწარ ლაპარაკი იქნებოდა."

55 წლის რევაზ ძოძუაშვილი 70-იან წლებში საბჭოთა ფეხბურთის ვარსკვლავი იყო. მან სსრკ ნაკრებში 45 მატჩი ითამაშა 1970 წელს მექსიკის მსოფლიო და 1972 წელს ევროპის ჩემპიონატების შეხვედრათა ჩათვლით.

ძოძუაშვილის მრავალფეროვანი კარიერა თბილისის „დინამოს", რუსთავის „გორდას", რიგის „სკონტოს", საუდის არაბეთის „ალ იტიჰადის" და ლატვიის ნაკრების მთავარ მწვრთნელობას მოიცავს.

ძოძუაშვილთან დაახლოებული ერთ-ერთი წყაროს ცნობით, მასთან მოლაპარაკება თავად „ფიორენტინას" პრეზიდენტ ჩეკი გორის მიჰყავდა.

„ფიორენტინამ" წლევანდელ სერია A-ში პირველად ამ უქმეებზე გაიმარჯვა „რეჯინასთან" ნუნუ გომეშის და ლეანდროს გვიანი გოლების წყალობით".

ამ ინფორმაციის გადამოწმება, ცხადია, პირველად თავად **რევაზ ძოძუაშვილთან** ვცადეთ, მისი კომენტარი ინგლისური ცნობისგან საკმაოდ განსხვავებული გამოდგა:

— იტალიელები მართლაც დამიკავშირდნენ შუამავლის საშუალებით, მაგრამ უშუალოდ „ფიორენტინას" წარმომადგენლებთან ჯერ არც შეხვედრა მქონია და არც საუბარი. მათგან გამოხმაურებას ჯერ ისევ ველოდი.

მანამდე თურქული კლუბებისგან მქონდა შემოთავაზება, მაგრამ რაკი მათ მხოლოდ ჩვენი მეზობელი ქვეყნის უმაღლეს ლიგაში დარჩენის სურვილი ამოძრავებთ, ეს საჩემო საქმე არაა...

„ფიორენტინას" პრესსამსახურსაც მივმართეთ, მაგრამ ფლორენციიდან მხოლოდ ავტომოპასუხის ხმა ისმოდა, ამიტომაც რევაზ ძოძუაშვილის და ლევან კობიაშვილის „ფიორენტინაში" შესაძლო ტრანსფერის თაობაზე ჩვენს ნაცნობ კოლეგას, „ლა სტამპას" კორესპონდენტ **მარკო ანსალდოს** ვთხოვეთ აზრის გამოთქმა:

— კობიაშვილის შესახებ ბევრის თქმა არ შემიძლია. ერთს ვიტყვი, ამაზე ლაპარაკი იყო და შეწყდა. ეს გასაგებიცაა, ქართველი მცველის შეძენა ფათიჰ თერიმს სურდა, თერიმი კი კვლავაც დიდი ზეწოლის ქვეშაა. მაგრამ გამორიცხული არაა, კობიაშვილის საკითხი ისევ დადგეს.

რაც შეეხება, ქართველ მწვრთნელს, ასეთი რამ პირველად თქვენგან მესმის. ასეც რომ არ იყოს, ძოძუაშვილის „ფიორენტინაში" გადასვლის ამბავს ძნელად დავიჯერებდი, რადგან თავად თერიმსაც პირველ რიგში უცხოელობას უწუნებენ. კარგად ვიცი, ფლორენციელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, თერიმის შემცვლელად იტალიელი მოიძიონ, რადგან მას, უცხოენოვანს უჭირს გუნდთან მუშაობა.

ძოძუაშვილის ნათქვამიდან გამომდინარე, ინგლისური ვებ-სააგენტოს ინფორმაცია სიმართლისგან მთლად შორს არ დგას. მაგრამ ჭკუასთან ასევე ახლოა ჩვენი იტალიელი კოლეგის მოსაზრება, რომელიც ასევე „ფიორენტინას" მესვეურთა სურვილს ემყარება.

ერთი სიტყვით, რევაზ ძოძუაშვილს სტვენის გარდა, სულ მცირე, იტალიური ენისა და აპენინელთა მენტალიტეტის სასწრაფოდ შესწავლა მოუწევს. მერე კი, ეგებ, მართლა ვიტორიო ჩეკი გორიმ დაურეკოს ქართველ მწვრთნელს და გვერდზე დარჩეს თბილისის „ლოკომოტივიც" და თურქული „ვანსფორიც".

**ვახტანგ ბზიკაძე**

*თქმა არ უნდა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების და ზოგადად ქართული ფეხბურთის ბედი უმცროსი ასაკის ნაკრებებზე ჰკიდია. ბრძოლისუნარიანი საიმედო ცვლა — აი, ერთ-ერთი პრობლემა ჩვენი ფეხბურთისა. დღეს შესაძლოა აქტუალურად არც ჩანდეს, მაგრამ ფაქტია, უდიდესი მნივნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ასახვის ნაკრებების მიერ ნაჩვენებ შედეგებს. რაც უფრო ძლიერი და პერსპექტიული 18-წლამდელთა, 16-წლამდელთა და 14-წლამდელთა გუნდები გვეყოლება, მით უფრო დიდია შანსი, სრულფასოვანი ცვლა მოვიდეს. შედეგს კი, რაღა თქმა უნდა, მწვრთნელთა ნაყოფიერი გარჯა განაპირობებს. სხვა საქმეა, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ პროცესის სრულყოფას ფეხბურთის ფედერაციამაც უნდა შეუწყოს ხელი. არცთუ მცირე მნიშვნელობა ენიჭება ყმაწვილების უცხოურ ტურნირებში გამოცდას და საზღვარგარეთულ შეკრებებს. როგორც ჩანს, ამას სფფ-ც აცნობიერებს, ყოველ შემთხვევაში, სწორედ ფედერაციის ძალისხმევით გაემგზავრა ორი კვირის წინ საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ბულგარეთში. შოთა ჭეიშვილი, 18-წლამდელთა მთავარი მწვრთნელი, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის სამზადისში ამ შეკრებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. თერმეტწლამდელები რამდენიმე დღის წინ დაბრუნდნენ ბულგარეთიდან. ჩვენც მათ მთავარ მწვრთნელს შინ შევეხმიანეთ და მასთან ინტერვიუს ქვემოთ გთავაზობთ.*



შოთა ჭეიშვილი

# ვალექსი დიდებულია, პერსპექტივა კარგი

— კარგია, რომ ფეხბურთის ფედერაცია გვერდში ამოგვიდგა და თითქმის ორკვირიანი შეკრება გაგვიხერხა ბულგარეთში. მსგავს გასვლებს ჩვენ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გუნდი საოცრად მხნედ გამოიყურება. ამ ორმა კვირამ ბევრი რამ შეგვმატა.

**— ბულგარეთში სად მოეწყვეთ?**

— გაბროვოსთან ახლოს, დაბა დრიანოვოში, მზადებისთვის საუცხოო პირობები გვქონდა.

**— საუცხოო პირობებში რას გულისხმობთ?**

— სპორტსკოლა „ვალექსში" გავდიოდით წვრთნას. მშვენიერი კომპლექსია, სასტუმრო, დარბაზები. ჩვენ განკარგულებაში ოთხი მოედანი იყო, აქედან სამი სტანდარტული, ბალახის საფარიანი. კვებაც ნორმალური იყო, სავარჯიშოდ აუცილებელი ატრიბუტებითაც არ ვიყავით შეზღუდული. მოკლედ, იდეალური პირობები იყო წვრთნისთვის და დახარჯული ენერგიის აღსადგენად. სხვათა შორის, „ვალექსში" უკვე წელიწადნახევარია ცხოვრობს ჩინეთის თექვსმეტწლამდელთა ნაკრები. ისინი მხოლოდ ერთი-ორი კვირით თუ ჩადიან სამშობლოში, ხანმოკლე შვებულებებს ატარებენ, დანარჩენ დროს კი ინტენსიურად ემზადებიან ბულგარეთში.

**— ბულგარეთში გამგზავრების წინ სწორედ ჩინელებთან გეგმავდით საკონტროლო მატჩებს...**

— მართალია, მაგრამ მათი ასაკის გამო თავი შევიკავეთ. ყმაწვილებში ორისამი წლის სხვაობას დიდი მნიშვნელობა აქვს და ჩვენი გაჯიბრება არც ერთი მხარისთვის არ იქნებოდა მომგებიანი.

**— საკონტროლო მატჩებს ალბათ მაინც გამართავდით.**

— დიახ, ოთხი შეხვედრა გვქონდა და წინასწარვე გეტყვით, რომ ერთშიც არ დავმარცხებულვართ. ორი შეხვედრა დრიანოვოს „ლოკომოტივთან" ჩავატარეთ. პირველი მატჩი „ვალექსში" ვითამაშეთ და 2:0 ვიმარჯვეთ, შემდეგ დრიანოვოშიც ვძლიეთ მეტოქეს, იქ 3:1 გავიმარჯვეთ. შევხვდით აგრეთვე გაბროვოს გუნდს. ეს გუნდი ბულგარეთის ჩემპიონატის მეორე ლიგაში თამაშობს. მატჩი ფრედ — 0:0 დასრულდა. ბოლოს კი გაბროვოს ოლქის თვრამეტწლამდელებს გავეჯიბრეთ და 2:1 ვძლიეთ.

**— ჩვენებურთაგან ვინ გამოიჩინა ამ მატჩებში თავი?**

— შვიდი გოლიდან ოთხი ახალაიამ გაიტანა, ორი ქარდავამ, ერთიც ნოზაძემ, მთლიანობაში კი ბიჭებს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ, გუნდით კმაყოფილი ვარ. ნაკრების პროგრესი აშკარაა.

**— შესარჩევი ეტაპისთვის ალბათ ძირითადი ბირთვი ჩამოყალიბებულია...**

— რა თქმა უნდა, თუმც სამი-ოთხი ფეხბურთელი ალბათ შეიცვლება.

**— ეს ცვლილება კონკრეტულად რომელ სათამაშო რგოლს შეეხება?**

— შუა ხაზს, იქ გარკვეული პრობლემები გვაქვს, მაგრამ გერმანიიდან დაგვემატება ორი ფეხბურთელი.

**— ვინ გყავთ მხედველობაში?**

— ქოქიაშვილი და სამხარაძე. გერმანიაში ისინი სტაჟირებაზე არიან და ვფიქრობ, ამ ეტაპზე ერთობ შემოგვეშველებიან.

**— ბატონო შოთა, როგორც ვიცით, შესარჩევ ეტაპამდე ერთი შეკრებაც არის დაგეგმილი იტალიაში, ამ მხრივ ხომ არ შეიცვალა რამე?**

— არა, ყველაფერი ძველებურადაა. იტალიაში შეკრებას გავივლით, ოღონდ ჯერჯერობით კონკრეტული ვადები არ არის დადგენილი. როგორც იცით, ხორვატიაში შესარჩევი ეტაპი 20 ნოემბერს იწყება და ჩვენი დიდი სურვილია, იტალიური შეკრება შესარჩევ ეტაპს უსწრებდეს წინ, რათა პირდაპირ იქიდან გადავიდეთ ხორვატიაში.

**— ქვეჯგუფში ჩვენს მეტოქეებზე რას იტყვით?**

— ხორვატიას და ესპანეთსაც სერიოზული ანგარიშგასაწევი გუნდები ჰყავთ. მათთან ბრძოლაა საჭირო, ჩვენც მზად ვართ.

*20 ნოემბერს, შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩს ქართველი თვრამეტწლამდელები მასპინძელ ხორვატებთან გამართავენ, ორი დღის შემდეგ კი ესპანელებს შეხვდებიან.*

*მე-13 ქვეჯგუფის ბოლო შეხვედრა ესპანეთსა და ხორვატიას შორის 24 ნოემბერს ჩატარდება.*

**ბაატა ძვანტალიანი**



თვრამეტწლამდელთა გერმანელი ლეგიონერი ირაკლი სამხარაძე ბულგარელ მცველთა გარემოცვაში



THE SUN

სამშაბათს რომში დიდი გაწევ-გამოწევა და ლანძღვა-გინება იყო

# თეთრი და შავი უეფაში გამოჩნდება

**ერთი** ამბავი ატყდა ინგლისურ პრესაში „ლაციო“ — „არსენალის“ მატჩის შემდეგ. „რასიზმმა მოიცვა მთელი იტალია“ — ამცნობს მკითხველს „ივნინგ სტანდარდი“. ნუთუ ჩვენს იტალიელ კოლეგებს არ აწუხებთ ეს ამბავი — კითხულობენ სხვები და იტალიური გაზეთების მიმოხილვებს არჩევენ — აი, ნახეთ, „გაძეტა დელო სპორტს“, ამ ფრიად სოლიდურ გამოცემას, ერთი სიტყვაც არ უწერია ლაციოელ ფეხბურთელთა და ქომაგთა რასისტულ შეძახილებზეო და დაასკვნიან, „ლაციო“ რომ რასისტთა გუნდია, ყველამ იცის და ალბათ შეხსენებას ზედმეტად მიიჩნევენო.

„ლაციოს“ რასისტული მიდრეკილება ძველი დროიდან მოდის. რომაელთა ორი გუნდის — „ლაციოსა“ და „რომას“ ფანობა ერთმანეთს ვერ იტანს, რაც გასაკვირი სულაც არაა. ცხადია, ისინი მუდამ იმის ცდაში არიან, ერთმანეთს შეურაცხყოფა მიაყენონ. ასე დამკვიდრდა, რომ „რომას“ ძირითადად დედაქალაქის ებრაელობა ქომაგობს, ამიტომ ლაციოელები მათ ოდითგანვე ფაშისტურ-რასისტული შეძახილებით აღიზიანებენ. დროთა განმავლობაში ლაციოელმა ფანებმა ეს ჩვევა ისე გაითავისეს, რომ ყველას რასისტული ლოზუნგებით უმასპინძლდებიან. ასე იყო „არსენალთან“ მატჩის დროსაც: როგორც კი პატრიკ ვიეირა, სილვენ ვილტორდი, ნვანკვო კანუ ან ტიერი ანრი მიილებდნენ ბურთს, მაშინვე მათი კანის სიშავეზე წამოიძახებდნენ რაღაცას.

გულშემატკივრების ამბავი გავარკვიეთ, მაგრამ საიდან გაიგეს ინგლისელმა ჟურნალისტებმა, რას ეძახდნენ რომაელი ფეხბურთელები არსენალელებს? საიდან და პატრიკ ვიეირამ „ჩაუშვა“. „რამდენჯერაც სინიშა მიხაილოვიჩი ჩემს გვერდით აღმოჩნდა, შავო ნეხვოო, ჩამხაძოდა — თქვა ვიეირამ მატჩის შემდეგ — ნახმარი შავი მაიმუნიც მიწოდა“.

„ტყუილია — აყვირდა მიხაილოვიჩი — მაიმუნი არ მიწოდებია“. არც შავი ნეხვიო? — მიაწვნენ სერბს. „კი, ეგ მართალია, მაგრამ ვიეირამ ისიც თქვას, თავად რა მიწოდა. თამაში ახალი დაწყებული იყო და შე ბოშა ნეხვოო... ამის მერე ვუთხარი, ნეხვი შენ ხარ, თან შავი-მეთქი. უბრალოდ, სამაგიერო გადავუხადე, მატჩის მერე კი ეს ამბავი აღარც მახსოვდა — ფეხბურთში ასეთი რამეები ხდება“.

ინგლისური პრესა მიხაილოვიჩის განმარტებამ არ დააკმაყოფილა და უმალ გამოჩხრიკეს, ეგ იმ არკანის ძმაკაცი იყო, რომელიც ხორვატებთან ომში სერბთა საველე მეთაური გახლდათ და უდანაშაულო ხალხის სისხლში ჰქონდა ხელები ამოსვრილიო. არკანი ამ რამდენიმე თვის წინ მოკლეს ბელგრადში. მაშინ სინიშას საამებლად „ლაციოს“ ფანებმა ასეთი ტრანსპარანტიც გამოფინეს ტრიბუნებზე: „დიდება და პატივი ვეფხვ არკანს“.

გარჩევის საგნად ქცეულა ის ეპიზოდიც, როცა ჟილ გრიმანდიმ დიეგო სიმეონეს წარბი გაუხეთქა. აქაც ორგვარი პოზიციაა. ინგლისელები ამბობენ, გრიმანდის შემთხვევით მოუვიდა, სიმეონემ კი ჩხუბი აუტეხაო. იტალიელები, ცხადია, არსენალელის ზღვარგადასულ უხეშობაზე საუბრობენ. ისე, იმ ეპიზოდის გამო საქმის გარჩევა თამაშის მერე გასახდელშიც გაგრძელდა და თურმე „არსენალის“ ერთ-ერთი დირექტორიც მონაწილეობდა.

„მოთამაშეების მესმის — ამბობს მიხაილოვიჩი — როცა „არსენალის“ ოფიციალური პირი მოდის და გვეძველბიჭება, ფეხბურთელებს რა უნდა მოსთხოვო“.

დავუმატოთ, რომ „ლაციო“ — „არსენალის“ მატჩის დროს მომხდარ ინციდენტებს უეფას სადისციპლინო კომიტეტი სწავლობს.

**გიორგი დარჯანია**



THE SUN

სინიშა მიხაილოვიჩი და პატრიკ ვიეირა: შე ასეთო და ისეთო!

## ჩეხეთი

### გამოტოვებული მატჩი

**ბუდეიოვიცე 2:2 ტეპლიცე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 10 | 7 | 2 | 1 | 20:6 | 23 |
| სპარტა | 8 | 7 | 0 | 1 | 24:7 | 21 |
| სინოტი | 9 | 4 | 4 | 1 | 16:7 | 16 |
| ბოჰემიანსი | 10 | 3 | 6 | 1 | 15:9 | 15 |
| ტეპლიცე | 9 | 4 | 3 | 2 | 12:10 | 15 |
| სიგმა | 8 | 4 | 2 | 2 | 13:8 | 14 |
| სლავია | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 14 |
| პრჟიბრამი | 9 | 4 | 1 | 4 | 11:11 | 13 |
| ჟიჟკოვი | 9 | 3 | 2 | 4 | 13:17 | 11 |
| ბანიკი | 10 | 2 | 4 | 4 | 8:15 | 10 |
| ბლშანი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:11 | 9 |
| დრნოვიცე | 10 | 3 | 0 | 7 | 10:17 | 9 |
| პლზენი | 10 | 1 | 4 | 5 | 9:22 | 7 |
| ბუდეიოვიცე | 8 | 1 | 3 | 4 | 8:17 | 6 |
| იაბლონეცი | 9 | 1 | 3 | 5 | 8:18 | 6 |
| ბრნო | 7 | 1 | 1 | 5 | 7:12 | 4 |

## ნორვეგია

### გამოტოვებული მატჩი

**სტარტი 3:4 ლილესტრიომი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 25 | 16 | 5 | 4 | 60:25 | 53 |
| ვიკინგი | 25 | 13 | 5 | 7 | 50:38 | 44 |
| ბრანი | 25 | 13 | 5 | 7 | 49:40 | 44 |
| სტაბეკი | 25 | 12 | 5 | 8 | 58:32 | 41 |
| ტრომსიო | 25 | 12 | 5 | 8 | 47:45 | 41 |
| ლილესტრიომი | 25 | 11 | 7 | 7 | 42:28 | 40 |
| მოლდე | 25 | 11 | 7 | 7 | 46:43 | 40 |
| ოდ გრენლანდი | 24 | 10 | 5 | 9 | 36:30 | 35 |
| მოსი | 25 | 8 | 7 | 10 | 37:43 | 31 |
| ბოდიო გლიმტი | 25 | 6 | 10 | 9 | 47:55 | 28 |
| ბრინი | 25 | 6 | 6 | 13 | 31:60 | 24 |
| ვოლერენგა | 24 | 4 | 9 | 11 | 29:40 | 21 |
| სტარტი | 25 | 5 | 6 | 14 | 40:63 | 21 |
| ჰაუგესუნდი | 25 | 4 | 4 | 17 | 32:62 | 16 |

# დაუმს ტაქტიკას დაუწუნეს

**„ლევერკუზენის“** მწვრთნელ კრისტოფ დაუმს თითქოს „ბაიერნის“ მენეჯერის, ული ჰიონესის ბრალდებები არ აკლდა, ახლა საკუთარი გუნდის ფეხბურთელებიც აუმხედრდნენ.

სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ მატჩში გერმანული კლუბი მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ იქაურ „რეალს“ დაუპირისპირდა და 3:5 წააგო. სამშობლოში დაბრუნებულ ლევერკუზენელებს მასმედიამ თამაშის კომენტარი სთხოვა, მერე მარცხის მიზეზებზეც დაეკითხა და...

„ძალიან რისკიანად ვთამაშობთ, ტაქტიკას ვგულისხმობ. მადრიდში მწვრთნელმა პერსონალური მეურვეობა დაგვავალა. თითოეულ მოთამაშეს ჩვენი კაცი გვყავდა, მისთვის უნდა გვედევნა. პატარა შეცდომა და უკვე სახიფათო მომენტი იქმნებოდა. დამზღვევი არავინ იყო. აი, ლიბეროთი რომ გვეთამაშა, ასე არ მოხდებოდა. მცდარი ტაქტიკა ავირჩიეთ“ — ასე ახსნა წაგება „ლევერკუზენის“ ნახევარმცველმა მიხაელ ბალაკმა.

მისი აზრი გაიზიარა კარსტენ რამელომაც: „ეს რაღაც საშინელება იყო, არასწორი დავალება გვქონდა. მადრიდელთა შეტევებს ვერ ვუმკლავდებოდით. ყოველ წუთს გვეგონა, დაუმი რამეს მოიფიქრებდა და გადაადგილებებს მოახდენდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა“.

დაუმისადმი უკმაყოფილობა გაგერმანელებულმა ბრაზილიელმა პაულო რინკმაც გამოთქვა, მწვრთნელი მუდმივად გამარჯვებას კი გვთხოვს, მაგრამ საამისოდ თავად არაფერს აკეთებსო.

ამ თამაშთან დაკავშირებით კომენტარი „რეალის“ თავკაცმა ვისენტე დელ ბოსკემაც გააკეთა. „შედეგი კარგად ასახავს იმას, რაც მინდორზე მოხდა. ძალიან ბევრი შეცდომა იყო, ამიტომაც გავიდა ამდენი გოლი“ — აღნიშნა მან.

თავად დაუმმა ფეხბურთელთა ბრალდებებზე პასუხის გაცემას დუმილი ამჯობინა, მხოლოდ ის თქვა, ჩემპიონთა ლიგაში ველარაფერს მივაღწევთ, ამიერიდან უეფას თასზე უნდა ვიფიქროთო. თან დაამატა: „გული მწყდება. მადრიდში ორი წლის წინაც ვითამაშეთ. მაშინ შანსი არ გვქონია, 0:3 წავაგეთ. ახლა კი სამი ბურთი გავიტანეთ და მაინც დავმარცხდით. მადრიდში რომ სამ გოლს შეაგდებ, ის თამაში აღარ უნდა დათმო“.

ბოლოს მწვრთნელმა იმედი გამოთქვა, ფეხბურთელებს ეს მატჩი მალე დაავიწყდებათ, წყენაც გაუვლით და ძველებურად მომენდობიანო.

რაც შეეხება დაუმი-ჰიონესის სკანდალს, რომლის შესახებაც „სარბიელი“ რამდენჯერმე წერდა, იგი თანდათან ცხრება, მაგრამ...

ავი ენები ამბობენ, „ლევერკუზენის“ ზოგიერთი მოთამაშე მწვრთნელის გასაკრიტიკებლად დაუმის მოწინაალმდეგეებმა წააქეზესო. მიდი და გაიგე...

**განო ოქროპირიძე**



THE SUN

გაანებეთ ამ კაცს თავი!

## ფეხბურთის რუკასთან



**რუსი** ნახევარმცველი ალექსეი სმერტინი დაშავდა და „ბორდოს“ სულ მცირე 10 დღე ვერ დაეხმარება. ფეხბურთელმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ლუქსემბურგის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში მუხლის ტრავმა მიიღო. სმერტინი საფრანგეთის ჩემპიონატის ორ და უეფას თასის ერთ შეხვედრას გამოტოვებს. ბორდოელები „ლიონსა“ და „პარი სენ ჟერმენს“, ხოლო ევროთასებზე „სელტიკს“ უნდა შეხვდნენ.

**არგენტინელმა მცველმა პაბლო პასმა „ნიუკასლში“ ერთკვირიანი შემოწმება გაიარა და პრემიერლიგურ კლუბს საბოლოოდ შეუერთდა. „ტენერიფეს“ 27 წლის ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია. იგი საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატი ხორვატიასთან მატჩში გამოჩნდა მინდორზე, ორი წლით ადრე კი ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლის მედალი მოიპოვა. ესპანურ კლუბში პაბლო 1997 წელს „ოლდ ბოიზიდან“ გადავიდა, მანამდე კი არგენტინული „ბენფილდის“ ღირსებასაც იცავდა. პასის სანაცვლოდ „ნიუკასლმა“ 1,5 მილიონი გირვანქა გადაიხადა.**

**ბერძენ** ფორვარდ ნიკოს ლიბეროპულოსს „პერუჯაში“ იწვევენ, თუმცა მის გაშვებას „პანათინაიკოსი“ არ ჩქარობს. ისიც აღსანიშნავია, რომ 25 წლის თავდამსხმელით ადრე „მანჩესტერ იუნაიტედიც“ დაინტერესდა. „პერუჯა“ თავდასხმის გაძლიერებას სხვა ფეხბურთელებითაც აპირებს. გუნდის ხელმძღვანელობას ჟორჟ ვეას მიწვევაც სურდა, მაგრამ ლიბერიელი გუშინწინ მარსელის „ოლიმპიკში“ ჩაირიცხა. პერუჯაში ესტებან ფუერტესსა და მარკო ნეგრისაც აკვირდებიან.

**იტალიური „ბოლონია“ დაცვის გასაძლიერებლად იუვენტუსელ ალესანდრო ბირინდელის ეპატიჟება. გარდა ამისა, მათ პერუჯელი მარკო მატერაცისა და ვალენსიელი იოაკიმ ბიორკლუნდის გადაბირებაც სურთ. ბოლონიელთა გენერალური მენეჯერი ამ დღეებში ტურინული კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდება და ბირინდელის შესახებ გაესაუბრება. გავიხსენოთ, რომ „ბოლონია“ სულ ახლახან დატოვა მცველმა ალესანდრო დალ კანტომ, რომელმაც კარიერა „ვიჩენცაში“ გააგრძელა.**

**ფრანგული** „პარი სენ ჟერმენი“ აპირებს, სტუმარი გუნდის თანმხლებ გულშემატკივართათვის სტადიონზე დასასწრები ბილეთების დაჯავშნა გააუქმოს. მიზეზი ისაა, რომ წინა კვირას მარსელის „ოლიმპიკის“ ფანი „პარკ დე პრენსზე“ სერიოზულად დაშავდა. 18 წლის ახალგაზრდა საავადმყოფოში აღმოჩნდა, თუმც ახლა მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. „შექმნილ პრობლემებს განვიხილავთ და თუ საჭიროდ მივიჩნევთ, გადაწყვეტილებასაც მივიღებთ“ — განაცხადა პარიზული კლუბის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა.

**შოტლანდიის ჩემპიონ „რეინჯერსის“ მეკარე შტეფან კლოსი ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში „გალათასარაის“ წინააღმდეგ დაშავდა და დაახლოებით ექვს კვირას ვერ ითამაშებს. გერმანელს მოუშუშებელი ტრავმა გაუმძაფრდა.**

**ინგლისურ** „ტოტენჰემს“ ავსტრალიურ კლუბ „ჰოუთორნ რეინჯერსიდან“ მცველის იოჰან ოლიჩეკის შეძენა სურს. ლონდონელები სანაცვლოდ 300 ათას გირვანქას იხდიან, თუმცა 21 წლის ფეხბურთელს ბრიტანეთში მუშაობის უფლება ჯერჯერობით არ მიუღია. ტოტენჰემელები იმედოვნებენ, რომ ამ პრობლემას მალე მოაგვარებენ. აღსანიშნავია, რომ ოლიჩეკის გადაბირება „ტოტენჰემის“ თანაქალაქელ „ვესტ ჰემსაც“ სურდა.

**ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა უარყო ინფორმაცია ედგარ დავიდსის „არსენალში“ გადასვლის შესახებ. არადა, გავრცელდა ცნობა, თითქოს ჰოლანდიელი „იუვენტუსიდან“ „ჰაიბერიზე“ გადადიოდა და ამ გარიგებით ტურინული კლუბი 15 მილიონ დოლარს მიიღებდა. „გუნდში ახალი ფეხბურთელების შესაძენად გარკვეული თანხაა გამოყოფილი, თუმცა ჯერჯერობით იმდენი არა, რომ დავიდსი დავიყოლიოთ. გარწმუნებთ, ამჟერად ჰოლანდიელის შეძენაზე არ ვფიქრობთ“ — განაცხადა მწვრთნელმა.**

**იტალიელი** მცველი კრისტიან პანუჩი სეზონის ბოლომდე ისევ ლონდონის „ჩელსიში“ ითამაშებს. ცოტა ხნის წინ ითქვა, ინგლისური კლუბის ახალ მწვრთნელ კლაუდიო რანიერის თანამემამულის გუნდიდან გაშვება სურსო, მაგრამ ეს ინფორმაცია გუშინ თავად „ჩელსის“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა უარყო. მისივე თქმით, მილანის „ინტერიდან“ ერთი წლით ნათხოვარი ფეხბურთელი პრემიერლიგურ გუნდში სეზონის ბოლომდე დარჩება, თუმცა ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის არცთუ კარგი პერსპექტივა ელის, ისევე როგორც ჰოლანდიელ თავდამსხმელ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს, რომელსაც რანიერისთან უსიამოვნება მოუვიდა.

**ჰოლანდიურმა „ვიტესმა“ პორტუგალიურ „ბენფიკას“ ერთდროულად უეფაშიც უჩივლა და ფიფაშიც. ამის მიზეზი გუნდის ფორვარდის, პიერ ვან ჰოიდონკის ლისაბონურ კლუბში ტრანსფერი გახდა. პორტუგალიელებმა ფეხბურთელი კი წაიყვანეს, მაგრამ მის სანაცვლოდ კონტრაქტით გათვალისწინებული ექვსი მილიონი დოლარის გადახდა „დაავიწყდათ“. „ვიტესმა“ კი ამ თანხის იმედად კრედიტი აიღო და ახლა ფინანსური პრობლემები აწუხებს. კლუბის პრეზიდენტი იოსომ ვასენო თავის ბენფიკელ კოლეგას რამდენჯერმე ესაუბრა, მაგრამ უშედეგოდ. როცა ყველა გზა მოეჭრა, ვასენომ ფიფა-უეფას მიმართა. როგორც ვარაუდობენ, „ბენფიკას“ კონტრაქტის დარღვევისთვის დიდი უსიამოვნება ელის.**

**იტალიური** „ბარის“ მეკარე ფრანჩესკო მანჩინი კარიერას „ნაპოლიში“ გააგრძელებს. შეთანხმების ფინანსური დეტალები არ გამხელილა, ის კი ცნობილია, რომ კლუბებს შორის მოლაპარაკება დასრულდა და მოსაგვარებელი მხოლოდ გოლკიპერის პირადი კონტრაქტიღა დარჩა. მანჩინი კვლავ ზდენეკ ზემანთან დაბრუნდა — 32 წლის მეკარეს ადრე ჩეხი სპეციალისტის მიერ გაწვრთნილ „ლაციოში“ და „ფოჯაში“ უთამაშია.

**გერმანელ ფეხბურთელ თომას შტრუნცს, რომელიც 1995 წლის ივლისიდან მიუნხენის „ბაიერნის“ ღირსებას იცავს, ამ ზაფხულს კლუბის გამოცვლა მოუწევს. ბავარიელთა თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა 32 წლის ნახევარმცველს პირადი საუბრისას დაუფარავად უთხრა, რომ იგი აღარ სჭირდება. ჰიცფელდისთვის შტრუნცი მეორე ფეხბურთელია, ვისაც ასე უშვებს. ორი წლის წინ ამავე მიზეზით მოუხდა წასვლა კიდევ ერთ დამსახურებულ ბავარიელს თომას ჰელმერს. შტრუნცს კონტრაქტი ზაფხულში უსრულდება, მაგრამ ჰიცფელდის თქმით, ამ ზამთარსვე შეუძლია, ახალი კლუბი მოძებნოს.**

**დანიელმა** მეკარემ პიტერ შმაიხელმა ვარჯიშისას მუხლის ტრავმა მიიღო და შესაძლოა, ერთი თვე ვერ ითამაშოს. „სპორტინგის“ ექიმები გოლკიპერს კიდევ გასინჯავენ და უფრო ზუსტ პასუხს მაშინ იტყვიან. არადა, ლისაბონურ კლუბს შაბათს ერთობ რთული მატჩი ელის — „პორტუს“ უნდა უმასპინძლოს. „სპორტინგი“ პორტუგალიის ჩემპიონატში ახლა მესამე ადგილზეა და შვიდი თამაშიდან 16 ქულა აქვს.

**პოლონეთის ლიგის თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩები: ამიცა (ვრონკი) — პოგონი (შჩეცინი) 2:2; ლეგია (ვარშავა) — ვისლა (კრაკოვი) 1:1. საპასუხო მატჩები გაიმართება 25 ოქტომბერს.**

## ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. E ჯგუფი

### დეპორტივო 1:1 იუვენტუსი

**0:1 ინძაგი (10), 1:1 ვიქტორ სანჩესი (12)**
**დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, დონატო, რომერო, ემერსონი, სეზარ სამპაიო, ვიქტორ სანჩესი (სკალონი 87), ჯალმინია, პანდიანი (დიეგო ტრისტანი 76), ტურუ ფლორესი (ფერნანდო 67)**
**მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა**
**იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, ტუდორი, იულიანო, კონტე, დავიდსი, ტაკინარდი (ბირინდელი 88), პესოტო, კოვაჩევიჩი (ბაკინი 61), ფ. ინძაგი (ტრეზეგე 71), დელ პიერო**
**მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი**
**მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)**
**25 000 მაყურებელი**

**ხავიერ ირურეტა**, „დეპორტივოს" მწვრთნელი, სტადიონს გაორებული გრძნობით ტოვებდა. ის უკმაყოფილო იყო, რომ მისმა გუნდმა უამრავი საგოლე მომენტიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა და ქულის მეტი ვერ მოიპოვა. თუმცა, თავისი ბიჭების თამაშით კმაყოფილიც ჩანდა: „პირველ ტაიმში უპირატესობას ვფლობდით, რამდენიმე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მეორეში კი მეტოქემ გვაჯობა და ეს, უპირველესად, ალესიო ტაკინარდისა და ედგარ დავიდსის კარგი თამაშის წყალობით მოახერხა. „იუვენტუსმა" სწრაფი გოლი გაგვიტანა და ამით ამოცანა გაგვირთულა, მაგრამ მალევე გავათანაბრეთ და ბურთზე კონტროლი დავაწესეთ. ვფიქრობ, ფრე სამართლიანი და კარგი შედეგია" — თქვა ირურეტამ.

„იუვენტუსს" დისკვალიფიცირებული ზინედინ ზიდანი აკლდა, ხოლო „დეპორტივოს" მაისურა წლევანდელ ლიგაში პირველად მოირგო ტრავმამოშუშებულმა ბრაზილიელმა ჯალმინიამ და თავისიანებს შორის საუკეთესოც იყო.

პირველად სტუმრებმა გაიხარეს. მეათე წუთი მიმდინარეობდა, როცა ალესანდრო დელ პიეროს კუთხურს მარკ იულიანომ ვარდნაში ეფექტური გაგრძელება მოუძებნა, ბურთი მეკარემ, მცველებმა და ძელმა მოიგერიეს, მაგრამ იქვე ჩასაფრებულმა ფილიპო ინძაგიმ ყველას დაასწრო და ანგარიში გაიხსნა.

მასპინძლები არ დაბნეულან და ორიოდ წუთში წონასწორობა აღადგინეს: ტურუ ფლორესის მარჯვნიდან დაბალ ჩაწოდებულს ტურინელთა მეკარე ედვინ ვან დერ სარი ვარდნაში ფეხით ვერ მისწვდა და ვიქტორ სანჩესმა საპასუხო გაიტანა. მალე ვიქტორს ისევ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ამჯერად ტურინელებს მცველმა ჩირო ფერარამ უშველა.




**დეპორტივო — იუვენტუსი 1:1. მასპინძელთა ბრაზილიელი დონატო (მარცხნივ) და სტუმართა იუგოსლავიელი დარკო კოვაჩევიჩი**

პირველ ტაიმში „დეპორტივო" უკეთ თამაშობდა, რაც უმეტესწილ ჯალმინიასა და სეზარ სამპაიოს დამსახურებაა. ესენი მოედნის ცენტრში უბადლონი იყვნენ. ჯალმინიას ორჯერ მაინც უნდა გაეტანა — ჯერ საჯარიმო დაარტყა ოსტატურად და მეკარემ აუღო, მერე 30 მეტრიდან გაისროლა, მაგრამ ამაოდ.

„ცუდი ის იყო, რომ უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ. თუმცა, მეტად ძნელი თამაში გამოვიდა და მოწინააღმდეგეც დიდებული გვყავდა. პირველ ტაიმში მასპინძლები მხოლოდ დრო და დრო გვაძლევდნენ სასურველი მოქმედების საშუალებას, მეორეში კი თამაში გამოვასწორეთ და დავალაგეთ" — ასეთი შთაბეჭდილება დარჩა ტურინელთა მწვრთნელ კარლო ანჩელოტის.

„იუვენტუსი" ტრადიციას არ ღალატობს: ჩემპიონთა ლიგის მატჩებში ფრეები ლამის საფირმო ნიშნად ექცეს. ახლაც, ანჩელოტის ბიჭებმა ოთხი თამაშიდან სამი ფრედ დაამთავრეს, თუმცა ჯგუფის ცხრილს მაინც პირველობენ.

### პანათინაიკოსი 0:0 ჰამბურგი

**პანათინაიკოსი: კალკიასი, ჰენრიკსენი, გუმასი, ვოკოლოსი, ოლივარესი (ჰფლიპსენი 61), ფისასი, გალეტო (ვარჟიხა 71), კარაგუნისი, ბასინასი, ვლაოვიჩი, ლიბეროპულოსი**
**მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი**
**ჰამბურგი: ბუტი, პანადიჩი, ჰერჩი, ჰოოგმა, გროთი (პრეგერი 61), ჰაინცი, ნ. კოვაჩი, ტოფტინგი, ბარბარესი, იებოა (ბესტერი 77), ჰოლერბახი (კეტელაერი 71)**
**მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი**
**მსაჯი: ლესლი ირვინი (ჩრდ. ირლანდია)**
**32 000 მაყურებელი**

**ანგელოს ანასტასიადისმა**, ბერძნული „პანათინაიკოსის" თავკაცმა, თავისი დეპორტივოელი კოლეგისგან განსხვავებით, მინდორი გულდამძიმებულმა დატოვა. პრესკონფერენციაზე თქვა კიდეც: „ძნელი თამაში გვქონდა. რამდენიმე საგოლე მომენტიც შევქმენით, მაგრამ კარგი შანსი დავკარგეთ: რომ მოგვეგო, ჯგუფში პირველ ადგილზე ავინაცვლებდით."

„პანათინაიკოსს" მართლაც მიიჩნევენ მეორე ეტაპზე გასვლის პრეტენდენტად, თუმცა ოთხშაბათს მასპინძლებს წარმატების დაახლოებით იმდენივე შანსი ჰქონდათ, რამდენიც სტუმრებს.

ანასტასიადისის გუნდიდან კაპიტანი ნიკოს ლიბეროპულოსი და ხორვატი შემტევი გორან ვლაოვიჩი გამოირჩეოდნენ. ხორვატს დასაწყისშივე შეეძლო გატანა, როცა გიორგოს კარაგუნისის კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს დაჰკრა, მაგრამ არ გაუმართლა. მერე ლიბეროპულოსი მეკარე ჰანს-იორგ ბუტთან პირისპირ დარჩა, შანსი კი ვერ გამოიყენა.

სტუმართაგან ვეტერან ტონი იებოას უნდა შეეგდო, როცა პირველი ტაიმის მიწურულს მცველის შეცდომით ისარგებლა და სახიფათოდ, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

საერთო აზრით, ფრე ამ მატჩის ლოგიკური შედეგი გახლდათ.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | | 0:0 | 2:1 | 24.10 | 7:6 | 6 |
| 2 | დეპორტივო | 1:1 | | 24.10 | 2:1 | 4:3 | 6 |
| 3 | პანათინაიკოსი | 8.11 | 1:1 | | 0:0 | 3:3 | 5 |
| 4 | ჰამბურგი | 4:4 | 8.11 | 0:1 | | 5:7 | 2 |

## ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. F ჯგუფი

### ბაიერნი 2:0 პარი სენ ჟერმენი

**1:0 სალიჰამიჯიჩი (4), 2:0 პაულო სერჟიო (89)**
**ბაიერნი: კანი, სანიოლი, პ. ანდერსონი, ლინკე (იერემისი 29), ტარნატი, სალიჰამიჯიჩი, ფინკი, სფორცა, სანტა კრუზი (პაულო სერჟიო 76), იანკერი (ელბერი 58), შოლი**
**მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი**
**პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, ალჟერინო, დიუ რაბესანდრატანა, დისტინი, ლუქსენი, დალმა, მენდი (ოკოჩა 71), კრისტიანი, ანელკა, რობერი**
**მწვრთნელი: ფილიპ ბერჟერო**
**მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)**
**33 000 მაყურებელი**

**ზედიზედ** სამი მარცხი (ორი ბუნდესლიგაში, ერთი ჩემპიონთა ლიგაში) საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ოთხშაბათს მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე" ფრანგულ პსჟ-სთან „ბაიერნის" მხარდასაჭერად მხოლოდ 33 ათასი ქომაგი მისულიყო. ვინც „ბაიერნს" პროტესტი გამოუცხადა და შინ დარჩა, ალბათ, მწარედ ინანა, რადგანაც მასპინძლებმა კარგად ითამაშეს, ჯგუფში მესამე მატჩი მოიგეს და ლიდერობა განიმტკიცეს.

მიუნხენელთა თავკაცი ოტმარ ჰიცფელდი, ჯოვანი ელბერისა და პაულო სერჟიოს გამოჯანმრთელების მიუხედავად, თავდასხმაში მაინც იანკერ-სანტა კრუზის დუეტს ენდო, ტრავმამოშუშებული ბრაზილიელები კი მინდორზე მეორე ნახევარში გამოჩნდნენ და თავიანთი საქმე ჩინებულად გააკეთეს. მანამდე კი...

„ბაიერნი" თავიდანვე შეტევებს მიეძალა და გოლიც ძალიან მალე გაიტანა. მე-4 წუთზევე შოლის დარტყმული და ლეტიზის მოგერიებული ბურთი კარიდან რამდენიმე მეტრში სალიჰამიჯიჩს მიუგორდა, ამან კი ტყვიასავით გაისროლა და მიუნხენელთა 290-წუთიან უგოლო სერიას წერტილი დაუსვა. გაშვებულ ბურთს სტუმრები არ დაუბნევია, პსჟ ანგარიშის გასათანაბრებლად განეწყო და ამას მოახერხებდა კიდეც, მეტოქის კარში ოლივერ კანი რომ არ მდგარიყო. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ჯერ რობერის უძლიერეს დარტყმას გადაელობა, მერე კი რობერისვე ჯარიმიდან დარტყმული ურთულესი ბურთიც მოიგერია. მატჩის დებიუტშივე გატანილმა გოლმა „ბაიერნი" ინერტული გახადა, ამიტომაც იყო, პირველი ტაიმი უინტერესოდ რომ ჩამთავრდა.

მეორე ნახევარი კი კარგი საცქერი გამოდგა. ელბერის გამოჩენამ მასპინძლები გააქტიურა და ლეტიზისაც დიდი ჯაფა დაადგა. საგოლე შანსი ჰქონდათ სალიჰამიჯიჩს, ელბერს, ტარნატსა და სამჯერ შოლს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ისევე როგორც რობერს, რომლის დარტყმული ბურთიც ძელმა მოიგერია.

მერე კი მინდორზე პაულო სერჟიო გამოვიდა, რომელმაც 89-ე წუთზე ელბერთან ჩინებული კომბინაცია გაითამაშა და მეორე გოლი გაიტანა. ამ მოგებით, როგორც ჩანს, გერმანულმა სუპერკლუბმა სამკვირიან კრიზისს თავი დააღწია.

„ჩემი ბიჭების მიმართ ქების სიტყვები არ მყოფნის. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მოეგოთ. განსაკუთრებით მეორე ტაიმში მომეწონნენ. კარგია, რომ ასეთი თამაში დაუფასდათ. ჩვენ გამარჯვება დავიმსახურეთ" — კმაყოფილი ჩანდა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ოტმარ ჰიცფელდი.

„ჩვენ ჩვენი ვცადეთ. თავი არ დაგვიზოგავს, მაგრამ რას ვიზამთ. გუნდში ბევრი ფეხბურთელი ჯერ კიდევ ახალგაზრდა და გამოუცდელია. ისე პირველ ნახევარში ცუდად არ გვითამაშია, მეორეში კი ძალები და გამოცდილება აღარ გვეყო" — თქვა ფილიპ ბერჟერომ, „პარი სენ ჟერმენის" თავკაცმა.

მართალია, ახლა ფრანგები მესამე ადგილზე არიან, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი მაინც კარგი აქვთ, რადგან მომავალ ტურში უშუალო კონკურენტ „რუსენბორგს" მასპინძლობენ, ბოლოს კი შვედეთში „ჰელსინგბორგს" სტუმრობენ.

### ჰელსინგბორგი 2:0 რუსენბორგი

**1:0 ი. იანსონი (32), 2:0 ალვარო (77)**
**ჰელსინგბორგი: ს. ანდერსონი, ო. ნილსონი, რ. ნილსონი, მატოვაცი, პერსონი, ბ. იოჰანსენი, უ. იანსონი (ვალშტედტი 74), ი. იანსონი, პრიკა (კ. ანდერსონი 84), ს. იოჰანსენი, ეკლუნდი (ალვარო 55)**
**მწვრთნელი: ნანე ბერგსტადი**
**რუსენბორგი: არასონი, ჰოფტუნი, ბასმა, ბ. იონსენი, სტენსაასი, ო. ბერგი, სკამელსრუდი, ვინსნესი (სტორვიკი 84), რ. სტრანდი, ფ. იონსენი (ბელსვიკი 55), სორენსენი**
**მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი**
**გაძევება: ჰოფტუნი (77)**
**მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)**
**12 587 მაყურებელი**

**სამი** კვირის წინ ამ გუნდების პირველი მატჩი 6:1 დასრულდა— 26 სექტემბერს „რუსენბორგმა" შინ მეტოქე არ დაინდო და მიწასთან გაასწორა. რა იცოდნენ ნორვეგიელებმა, რომ ამას სასტიკად ანანებდნენ შვედები. „ჰელსინგბორგმა" მაშინდელი „ბრიყვული წყენა" გულში ჩაიდო და ოთხშაბათს ერთიანად გადმოანთხია.

„ჰელსინგბორგს" ჯგუფური ეტაპის მოუგებლად ჩამთავრება ემუქრებოდა, მაგრამ თავმოყვარე შვედებმა ავტორიტეტის („ინტერის" დამარცხებით რომ შეიქმნეს) აღდგენა გადაწყვიტეს და... მასპინძლებმა თავის თავს აჯობეს. რაც შეეძლოთ, იმაზე მეტი გააკეთეს და გარჯამონდომება სათანადოდ დაუფასდათ.

შვედებმა პრესტიჟის ქულები მოიპოვეს, „რუსენბორგს" კი ამ მარცხმა ეგებ ჯგუფიდან გასვლა სანატრელი გაუხადოს.

სტუმრებმა ტრონჰეიმული მატჩის შემდეგ, ეტყობა, იფიქრეს, ბარემ „ჰელსინგბორგს" ბოლომდე ვადენთო და თავიდანვე შეუტიეს, მომენტებიც შექმნეს, მაგრამ ხეირი ვერ ნახეს. თვითდაჯერებულმა მასპინძლებმა კონტრიერიშებზე ააგეს თამაში და შედეგიანადაც. „ჰელსინგბორგმა" ტაბლოს მომსახურე პერსონალი პირველად 32-ე წუთზე დაასაქმა: იანსენის დარტყმულთან არასონი ვერას გახდა — 1:0.

მეორე ნახევარიც იმავე სცენარით წარიმართა. „რუსენბორგი" უტევდა, მაგრამ ხიფათს იშვიათად თუ ქმნიდა. მატჩს დაძაბულობა, ალბათ, ბოლო წუთამდე არ მოაკლდებოდა, შეცვლაზე შესულ ალვაროს რომ არ ემარჯვა. 77-ე წუთზე მან ჯერ ჰოფტუნი აიძულა, ბოლო იმედის ჯარიმა „აეკიდებინა", მერე კი ამას არ დასჯერდა და სტუმრებს მეორე გოლიც გაუტანა.

„სამწუხაროა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ. ბედად, ჯგუფიდან გასვლის შანსი არ დაგვიკარგავს. ახლა ძნელი მატჩები გველის და მთელი ძალების მობილიზება გვმართებს. დღევანდელივით თუ ვითამაშეთ, მაშინ ყველანაირ წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია" — ცხარობდა ნამატჩევს „რუსენბორგის" მთავარი მწვრთნელი ნილს არნე ეგენი.

**განო ოქრობირიძე**




**ბაიერნი — პარი სენ ჟერმენი 2:0. პარიზელი სტეფან დალმა (მარცხნივ) ბავარიელ ჩირიაკო სფორცას ბურთს ეცილება**

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 3:1 | 2:0 | 24.10 | 8:3 | 9 |
| 2 | რუსენბორგი | 8.11 | | 3:1 | 6:1 | 10:7 | 6 |
| 3 | პსჟ | 1:0 | 24.10 | | 4:1 | 6:6 | 6 |
| 4 | ჰელსინგბორგი | 1:3 | 2:0 | 8.11 | | 5:13 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. G ჯგუფი

### მანჩესტერი 3:1 პსვ ეინდჰოვენი

**1:0 შერინგემი (8), 1:1 ვან ბომელი (75), 2:1 სქოულზი (82), 3:1 იორკი (87)**
**მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ირვინი (ბრაუნი 81), სილვესტრი, რ. იონსენი, ბექემი (ბათი 88), კინი, სქოულზი, გიგზი, იორკი, შერინგემი (იორკი 74)**
**მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი**
**პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, შაინცე, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი, ვან დერ ვეერდენი, ვან ბომელი, ვოგელი, ვან დერ დულენი (დე იონგი 73), რამზი (კოლკა 65), კეჟმანი, ბრუგინკი (ლუსიუსი 28)**
**მწვრთნელი: ერიკ გერეტსი**
**მსაჯი: ხუან ფერნანდეს მარინი (ესპანეთი)**
**66 313 მაყურებელი**

**„კარგიც** ქნეს, რომ გაგვიტანეს. მეტიც, ეს ადრეც უნდა გაეკეთებინათ. დათვივით გვეძინა და ნამდვილად გამოფხიზლება გვჭირდებოდა" — განაცხადა ნამატჩევს ალექს ფერგიუსონმა. სქოთი მწვრთნელი მართალია: „იუნაიტედის" თამაშს ჩვეულნი გუშინწინდელი მატჩისას დაეჭვდებოდნენ, სხვა გუნდი ხომ არ თამაშობსო.

მასპინძლებმა, მას შემდეგ, რაც ადრეული გოლი გაიტანეს — ტედი შერინგემმა ბექჰემის კუთხურს მძლავრი თავური შეაგება — მარკ ვან ბომელის საპასუხომდე მიიძინეს, თუმცა სტუმართა გოლი „მანიუს" გასამშაგებლად საკმარისი აღმოჩნდა: პოლ სქოულზმა და დუაიტ იორკმა (პირველი გოლი სეზონში) „ოლდ ტრეფორდის" ტაბლოზე ზუსტად ის შედეგი აანთეს, სამი კვირის წინ, ეინდჰოვენის „ფილიპსზე" რომ კიაფობდა.

ფერგიუსონი თამაშის დაწყებამდე შეგირდებს აფრთხილებდა, აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რათა საქმე წინ წავიგდოთო. ბიჭებმაც მოიგეს, თუმცა მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე „ოლდ ტრეფორდზე" შეკრებილ ქომაგებს ლამის გული გაუხეთქეს — ფრანგმა მიშელ სილვესტრმა ფინელი იონას კოლკას ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ვან ბომელს კანფეტივით დაუგდო, ამანაც ძლევნი შეირგო და ფაბიენ ბარტეზს შორეულ ცხრიანში აუღებელი გაუტანა.

და რას აკეთებდა ამ დროს გერეტსი? მატჩამდე იგი ამბობდა, თუ პირველი 20 წუთი გავძელით, მერე მეტოქეს ჩვენს თამაშს მოვახვევთო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ამიტომაც იყო, ვან ბომელის საპასუხო გოლმა სკამიდან ბავშვივით რომ წამოახტუნა: „ეჰ, რა ახლოს ვიყავით სანატრელ შედეგთან, 8 წუთიც რომ გაგვეძლო, ვინ იცის... მეორე გაშვებული ბურთის შემდეგაც მქონდა იმედი, მაგრამ იორკმა ბოლო მოგვიღო. „მანჩესტერ იუნაიტედი" მსოფლიოში უძლიერესი კლუბია. ასე ვერავინ თამაშობს" — განაცხადა გერეტსმა პრესკონფერენციაზე.

ოთხი გოლის გარდა, ისეთი მომენტი, რეალური რომ ეთქმის, ორი გახლდათ: იმავე შერინგემმა კარს ხუთიოდე მეტრიდან ააცილა, რონი იონსენმა კი ყუმბარისებული თავური ძელს გაარტყა...

### ანდერლეხტი 4:2 დინამო

**0:1 კალაძე (1), 1:1 ვაშჩუკი (10ს.კ.), 2:1, 3:1 რაძინსკი (37, 41), 4:1 სტოიკა (45), 4:2 ბელკევიჩი (88)**
**ანდერლეხტი: დე ვილდე, დე ბოეკი, სტალენსი, კრასონი, დეედენი, გოორი, ვანდერეგე, ბასეჯიო, სტოიკა (დინდანე 87), კოლერი, რაძინსკი**
**მწვრთნელი: ემე ანტუნესი**
**დინამო: შოვკოვსკი, ხაცკევიჩი, გოლოვკო, ვაშჩუკი (გერასიმენკო 57), იაშკინი (კუზმიჩევი 50), კალაძე, ბელკევიჩი, გუსინი, ნესმაჩნი, ბოდნარი, დემეტრაძე (სერებრენნიკოვი 76)**
**მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი**
**მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)**
**25 000 მაყურებელი**

**მართალია,** უკრაინელებმა დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მეორე გაიტანეს, მაგრამ ეს უკვე აღარაფერს წყვეტდა — „დინამო" შერცხვა. ბოლოს კიეველებს თავს ლაფი „იუვენტუსმა" დაასხა, როცა 97-98 სეზონში, ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში, კიევის „რესპუბლიკურზე" 4:1 მოუგო. მაშინ ალესანდრო დელ პიერომ უკრაინელებს ჰეთ-თრიქი შეუსრულა. ბელგიელთა კანადელ ლეგიონერს, ტომაშ რაძინსკის თავისუფლად შეეძლო, იგივე გაეკეთებინა, მაგრამ მხოლოდ დუბლს დასჯერდა.

არადა, ყველაფერი სხვაგვარად დაიწყო. პირველივე წუთზე კუთხურიდან გუსინის მოწოდებული ბურთი გოლოვკომ თავით შორეულ ძელთან გაგზავნა, იქ ჩასაფრებულმა კახა კალაძემ კი თავითვე დე ვილდეს მაღალ კუთხეში შეუგდო. სასწაულიც ამის მერე დაიწყო — 0:1 დარჩენილ 44 წუთში 4:1-მა შეცვალა. გოლების აღწერას არ შევუდგებით, უბრალოდ 20 წლის რუმინელ ალინ სტოიკაზე ვიტყვით. მაშინ, როცა გერმანელ არბიტრს უნდა ჩაესტვინა, „ანდერლეხტმა" ლამაზი კომბინაცია გაითამაშა, შეტევა მარაოსავით გაშალა და სტოიკასაც გატანის მეტი არაფერი დარჩენოდა. ალინმა საბოლოო დარტყმა უხეიროდ კი შეასრულა, მაგრამ შოვკოვსკის დასამწუხრებლად ამანაც იკმარა.

„პირველ ტაიმში ზღაპრულად ვითამაშეთ. ეს გახლდათ „ანდერლეხტის" საუკეთესო მატჩი არა მარტო ამ სეზონში, არამედ ბოლო წლებში. ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩვენთვის დიდი პატივია ლიგაში თამაში. ახლა კი თავაწეულად და ღირსეულად შემიძლია ვთქვა: ქულებიც ავიღეთ და ჩინებულადაც ვითამაშეთ" — ემე ანტუნესმა თვალებში გამოიხედა. არადა, კაცს გასაქცევად ჰქონდა საქმე. ვინ აღარ აძაგებდა — ქომაგი, ჟურნალისტი თუ სპეციალისტი — წაეთრიე, „ანდერლეხტი" შენს ხელში დაიღუპებაო, ახლა კი...

„დინამოს" რაღა? არც არაფერი. მოსაგებად ჩავიდა ბრიუსელში და კუდამოძუებული კი გამოუშვეს. თან, გუნდს, როგორც იქნა, ახლდა ვალერი ლობანოვსკი. მის გულს კიდევ ეს უნდოდა?

პრესკონფერენციაზე ლობანოვსკი არ ყოფილა, ანტუნესს კი ჰკითხეს, ახლა „მანჩესტერს" რას ვუზამთო. მწვრთნელმა მხრები აიჩეჩა, ვერაფერსაცო: „უეჭველად მოგვიგებენ. მე უფრო ბოლო თამაშზე ვფიქრობ — იქნებ როგორმე ჯგუფიდან გავიდეთ."

**გიორგი მაზმაძიძე**



REUTERS ბრიუსელიდან

ანდერლეხტი — დინამო 4:2. ჩეხმა იან კოლერმა (მარცხნივ) და კანადელმა ტომაშ რაძინსკიმ უკრაინელთა დაცვა გაარღვიეს

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 5:1 | 3:1 | 8.11 | 9:5 | 7 |
| 2 | ანდერლეხტი | 24.10 | | 1:0 | 4:2 | 6:11 | 6 |
| 3 | პსვ | 3:1 | 8.11 | | 2:1 | 6:6 | 6 |
| 4 | დინამო | 0:0 | 4:0 | 24.10 | | 7:6 | 4 |

## ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. H ჯგუფი

### მილანი 3:3 ბარსელონა

**0:1 რივალდო (19), 1:1, 2:1 ალბერტინი (25, 39), 2:2 რივალდო (43), 3:2 ხოსე მარი (45), 3:3 რივალდო (68)**
**მილანი: აბიატი, როკე ჟუნიორი, კოსტაკურტა, მალდინი, გატუზო, ალბერტინი, ამბროზინი, კოკო, შევჩენკო, ბირჰოფი, ხოსე მარი (ბობანი 69)**
**მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი**
**ბარსელონა: დუტრუელი, პუიოლი, აბელარდო, პეტი (რაიციგერი 25), სერხი, კოკუ (ფ. დე ბური 46), ხავი, ლუის ენრიკე, სიმაო, რივალდო, ალფონსო (დანი 62)**
**მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი**
**მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)**
**80 000 მაყურებელი**

**1994 წლის** ჩემპიონთა ლიგის ფინალის მონაწილეთაგან, რომელშიც „მილანმა" „ბარსელონას" 4:0 მოუგო, ოთხშაბათს „სან სიროზე" ხუთმა ითამაშა — პაოლო მალდინიმ, დემეტრიო ალბერტინიმ, ზვინომირ ბობანმა, სერხიმ და ლუის ენრიკემ. იმ მატჩში მონაწილეთაგან მეკარე სებასტიან როსი დღესაც მილანელია, ხოლო ხოსე მარია ბაკერო — სერა ფერერის თანაშემწე.

მაშინ, ექვსი წლის წინ, ათენის ოლიმპიურ სტადიონზე შედეგის სამართლიანობაში ეჭვი არავის შეუტანია — „მილანმა" პირწმინდად დაჯაბნა მეტოქე. ვფიქრობთ, არც ახლა უნდა გაჩენილიყო ამგვარი ეჭვი. იმსახურებდა „მილანი" წაგებას? არა. იმსახურებდა „ბარსელონა" წაგებას? არა. ჰოდა, აი, შედეგიც — ფრე.

თუ ამ გუნდების სამი კვირის წინანდელ თამაშს გავიხსენებთ, უდიდესი დაძაბულობის მიუხედავად, საგოლე მომენტები ძალიან ცოტა იყო, სტანდარტული მდგომარეობების შესრულების დონე კი — დაბალი. გუშინწინ დაძაბულობის კიდევ უფრო გაზრდასთან ერთად სხვა მაჩვენებლებიც გაიზარდა. თუნდაც ის რად ღირს, რომ გოლების ნახევარი სტანდარტულ სიტუაციებს, საჯარიმოებს მოჰყვა. გოლები კი, მოგეხსენებათ, უხვად გავიდა.

პირველი რივალდოსი იყო — ცოცხალ კედელს ქვევიდან გაუძვრინა ბურთი. მერე ალბერტინის უშორესი დარტყმა და დუტრუელის ამაო ნახტომი — მეკარე ლუის ენრიკეს რიკოშეტმა დაალალატა. ისევ ალბერტინი — ბრწყინვალედ ჩაჭედილი საჯარიმო დარტყმით. და ისევ რივალდო — დაბალი დარტყმის მოლოდინში უძრავად მდგარ ცოცხალ კედელს ზემოდან რომ გადაავლო ბურთი, რომელიც ბადის შერხევამდე ჯერ ხარიხას მოხვდა, მერე — აბიატის. ტაიმის ბოლო წუთზე რივალდო-ალბერტინის დუელში ხოსე მარიც ჩაერია და ოლივერ ბირჰოფის დარტყმულ და დუტრუელის მოგერიებულ ბურთს ადგილი მიუჩინა. ისე, პირველ ტაიმში კოკუსა და პეტის თავების შეჯახებაც ვნახეთ (ხუთი გოლის გარდა). ფრანგი უფრო სუსტი გამოდგა და მაშინვე შესაცვლელი შეიქნა, ხოლო კოკუმ ტაიმის ბოლომდე გაძლო.

შესვენების მერე ერთი გოლიღა გავიდა — მარცხენა ფლანგიდან სერხის დაბალ ჩაწოდებულს (მიწიდან ერთი მეტრი თუ იქნებოდა) შორეულ ძელთან რივალდომ ნახტომში თავი დაუხვედრა.

ანგარიშის გათანაბრებამ დაძაბულობა და ტემპი ოდნავ დასცა, თუმცა მომენტები მაინც იქმნებოდა. იმავ რივალდოს კვლავ სერხის ჩაწოდებით მეოთხეს გატანაც შეეძლო, მაგრამ ოდნავ ააცილა. კარგიცაა — მეოთხე გოლი ხომ მატჩის სცენარს არევდა. აკი თავშივე ვთქვით, წაგებას არც ერთი გუნდი არ იმსახურებდაო.

...სულ ახლახან რივალდო კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. ბრაზილიელი აღშფოთდა და განაცხადა, ჩემი თამაში თუ არ გაკმაყოფილებთ, სულაც წავალ გუნდიდანო, რაზეც „ბარსას" ვიცე-პრეზიდენტმა ხოსე ლომადომ მიუგო: გირჩევნია, ფეხებით ილაპარაკოო. მილანური მატჩის მერე ლორენს სერა ფერერმა თქვა: „რივალდო კრიტიკოსებს უკეთეს პასუხს ვერ გასცემდა".

### ბეშიქთაში 0:0 ლიდსი

**ბეშიქთაში: შორუნმუ, კარჰანი, ტაიფური, ბესერლერი (მურატი 63), აჰმეთი (აქმანი 81), ნიჰათი, მეჰმეთი (იბრაჰიმი 46), მიუნხი, ბოზკურტი, ხლესტოვი, სულუნი**
**მწვრთნელი: ნევიო სკალა**
**ლიდსი: რობინსონი, კელი, ჰარტი, ვუდგეიტი, ვიდუკა, ბოიერი, მილსი, ბაკე, მატეო, ბრიჯისი (მაკერზი 27; მაკფაილი 86), ბარნსი**
**მწვრთნელი: დევიდ ოლირი**
**მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)**
**20 000 მაყურებელი**

**ტყუილად** გაისარჯა 140 ლიდსელი გულშემატკივარი — ჯერ ინგლისში უმკაცრესი შემოწმება გაიარეს, სტამბოლში წამსვლელთა კონკურსში გაიმარჯვეს, ფული გადაიხადეს, აეროპორტიდან სტადიონამდე პოლიციელთა ალყაშემორტყმულმა იმგზავრეს, მატჩის დროსაც პოლიცია, მატჩის მერეც პოლიცია და მაშინვე აეროპორტი. ღირდა? თავად დევიდ ოლირიმ თქვა: „ძალიან უფერული თამაში იყო".

სად გაქრა სამი კვირის წინ თურქთა შემარცხვენელი „ლიდსი" ან სად იყო ოთხი კვირის წინ კატალონიელთა დამჯაბვნელი „ბეშიქთაში"? თითქოს ის 6:0 და 3:0 სულ სხვა გუნდებმა გაახერხეს. უსახური თამაში მწვრთნელებმა ტრავმირებულ ფეხბურთელთა არყოფნით ახსნეს. „ლიდსს" დაბერი, რადებე, უილკოქსი და მეკარე მარტინი აკლდა, ხოლო ალან სმიტი და ორი სტამბოლელი — ნუმა და ერმანი დისკვალიფიცირებულნი იყვნენ.

ვინღა დარჩა? მასპინძელთაგან შემტევი ნახევარმცველი ნიჰათი და თავდამსხმელი აჰმეთი, სტუმართაგან კი მარკ ვიდუკა არიან ქების ღირსნი. მატჩისას შექმნილი რამდენიმე ხეირიანი მომენტი ამ სამეულის დამსახურებაა. განსაკუთრებით ლიდსელთა ავსტრალიელი იყო მიზანთან ახლოს — თურქთა ნიგერიელ მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ბურთი პირდაპირ ხელებში მიუგორა.

უგოლო ფრემ, „სან სიროზე" მშვიდობიანად გყრის თანხლებით, „ლიდსი" ჯგუფის ლიდერად დატოვა, ამიტომ ოლირის დიდად არ უნაღვლია, ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლა არაფერი უთქვამს.

თითქოს საოცარია, მაგრამ თურქებიც საკმაოდ იმედიანად არიან. აი, რას ამბობს აჰმეთ დურსუნი, ერთი ძალიან კარგი საგოლე მომენტის გამფუჭებელი: „ლიდსში 0:6 წაგება გავიხსენოთ და დავრწმუნდებით, რომ დღეს კარგად გვითამაშია, კარგი თამაში კი ოპტიმისტურად განგვაწყობს. ჯგუფში ხომ ჯერ არაფერია გარკვეული".

ბოლოს ვთქვათ, რომ დევიდ ოლირიმ ერთი ნაბიჯი გადადგა ლიდსელთა და სტამბოლელთა შესარიგებლად. „მასპინძლები ძალიან მეგობრულად დაგვხვდნენ -- თქვა მწვრთნელმა — სასიამოვნოა, რომ სტამბოლს ამჯერად კარგ გუნებაზე ვტოვებთ".

**გიორგი დარჯანია**



REUTERS მილანიდან

მილანი — ბარსელონა 3:3. რივალდო ასეთმა გარემოცვამაც არ დააშინა

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლიდსი | | 1:0 | 6:0 | 24.10 | 7:4 | 7 |
| 2 | მილანი | 8.11 | | 4:1 | 3:3 | 9:5 | 7 |
| 3 | ბეშიქთაში | 0:0 | 24.10 | | 3:0 | 4:10 | 4 |
| 4 | ბარსელონა | 4:0 | 0:2 | 8.11 | | 7:8 | 4 |

# ნლეულს საქმე უკეთაა

**სერია A-ს დაწყებას „პარმა“ ერთობ ომახიანად შეხვდა. გუნდმა რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი შეიმატა. ზოგიერთი თვლის კიდეც, რომ „ტარდინის“ მკვიდრთ სკუდეტოს მოსაპოვებლადაც შეუძლიათ ბრძოლა...**



ალბერტო მალესანი

**მაგრამ** ჩემპიონატში ორი ტური ჩატარდა, მალესანის შეგირდები კი მხოლოდ ორ ქულას დასჯერდნენ — ჯერ „ფიორენტინასთან“ ითამაშეს ფრედ, ხოლო შემდეგ „ბრეშასთან“. პარმული პრესა განსაკუთრებით მეორე თამაშის შედეგით აღშფოთდა და მწვრთნელის მისამართით კრიტიკაც გაისმა. თავად მალესანი კი, აი, რას ფიქრობს:

— გულშემატკივრების კარგად მესმის. მათ სურთ, საყვარელმა კლუბმა ძლიერად ითამაშოს და მოიგოს. ამას, რა თქმა უნდა, არ ვივიწყებთ და ვცდილობთ, მინდორზე ყოველთვის ამაღლებული განწყობით გავიდეთ. თუმცა შესაძლებელია, ზოგჯერ რაიმე არ გამოგვივიდეს. სეზონი ახლა დაიწყო. საკმარისია, მომდევნო ტურში გავიმარჯვოთ და საქმე უკეთ აეწყობა.

**— კრიტიკა უკვე გაისმა, პარმელ ფანებსაც აღელვება დაეტყოთ...**

— მე მშვიდად ვარ, არ ვნერვიულობ. მოდით, ისიც გავიხსენოთ, რომ დაუმარცხებლად მივდივართ, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. ორი ტური ჩატარდა და არც ისე ბევრი გუნდია დარჩენილი, თამაში არ წაეგოს. მერწმუნეთ, ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა.

**— ზედიზედ მესამე წელია, წარმატებისკენ მიმავალ გზაზე „პარმას“ თითქოს რაღაც ამუხრუჭებს...**

— წინა წლებთან შედარებით ალბათ მაინც დიდი სხვაობაა. ფსიქოლოგიურად უკეთ ვართ განწყობილნი. ოდნავ რომ გაგვემართლებოდა და „ბრეშასთან“ გოლი გაგვეტანა, გუნდი კიდევ უფრო გახალისდებოდა. თუმც არაფერია, მაინც ყველა საბრძოლოდაა შემართული.

**— „ბრეშასთან“ შეხვედრიდან რა დასკვნები გამოიტანეთ?**

— თამაშის შედეგს რომ ყურადღება არ მივაქციოთ, სხვა ბევრი აღსანიშნავი და კარგი ეპიზოდი იყო. ბიჭები ნელ-ნელა უმატებდნენ, მაგრამ ერთმა ფაქტორმა დიდად შეგვიშალა ხელი — თამაში თითქმის შეუძლებელი იყო. წვიმის გამო ბურთი ბალახზე ძალიან ძნელად დაგორავდა.

**— „პარმაში“ ოფიციალური სადებიუტო მატჩი მატიას ალმეიდამ ჩაატარა. მისი თამაში თუ მოგეწონათ?**

— ალმეიდა ჩინებული იყო. მან კარგად გაართვა თავი ამოცანას, რაც ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზია, ვინაიდან ჯერ სრულ ფორმაში არაა. ვიმედოვნებ, მატიასი კიდევ მოუმატებს. ის ისეთი ფეხბურთელია, რომელიც დაცვასაც ეხმარება და თავდასხმასაც.

**— იოან მიკუს თამაშზეც გკითხავთ...**

— ფრანგზეც იგივეს ვიტყოდი. თავის პოტენციალი მას ბოლომდე არ გამოუმჟღავნებია და მჯერა, ისიც მოუმატებს. ყველა ახალ ფეხბურთელს სჭირდება ცოტაოდენი დრო, რათა გუნდს შეეთვისოს.

**— ხომ არ აჯობებდა, თავდასხმაში პატრიკ მბომას ეთამაშა. დამძიმებულ გაზონზე იგებ მას მეტი წარმატებისთვის მიეღწია?**

— არც მარსიო ამოროზოს უთამაშია ცუდად. ნუ დავივიწყებთ, რომ ბრაზილიელმა „ფიორენტინასთან“ ორი გოლი გაიტანა. ვატყობ, რომ იგი ნელ-ნელა ფორმაში შედის. მჯერა, ისევე გამოიჩენს თავს, როგორც ორი სეზონის წინ „უდინეზეში“, როცა სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა. „ბრეშასთან“ მილოშევიჩი-ამოროზოს დუეტი ჩინებულად გაისარჯა.

**— მარკო დი ვაიო მინდორზე მხოლოდ 90-ე წუთზე შეუშვით. ეს რა ჩანაფიქრი იყო?**

— მარკო ალბათ ადრე უნდა შემეყვანა, მაგრამ ტრავმას მოვერიდე. ისედაც ცუდი პირობები იყო. იმ ფეხბურთელების თამაშისგან, რომლებიც ბოლომდე არ იყვნენ ფორმაში, თავი შევიკავე. მოკლედ, ამას რისკის ფაქტორით ავხსნი.

**— „პარმას“ მომდევნო თამაშები „პერუჯასთან“, ზაგრების „დინამოსთან“ და „მილანთან“ ელის. გეგმები როგორია?**

— ვგონებ, „პარმამ“ დაამტკიცა, რომ ძლიერი გუნდია და შეუძლია, ნებისმიერ მეტოქეს გაუმკლავდეს. ეს ალბათ გულშემატკივრებმაც დაინახეს. ჩვენი მიზანი კი ყოველთვის ერთია — მხოლოდ წარმატებული შედეგი.

**— მომდევნო მატჩებში გუნდს ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი დააკლდება?**

— არც ისე ბევრი და ეს სასიამოვნოა. მაგრამ მე სავსებით უნდა დავრწმუნდე, რომ მოთამაშე, რომელსაც სასტარტოში დავაყენებ, ყოვლმხრივ მზადაა. როცა ყველა ჯანმრთელია, საწყისი თერთმეტი ფეხბურთელის არჩევა ოდნავ რთულია, თუმცა გაცილებით უკეთესია, გყავდეს ძლიერი რეზერვი. ასე უფრო მეტს მიაღწევ.

**თარგმნა ნიკა ზუბლაძემ**

# ახალი კაცი ახალ ადგილზე?

**სახელგანთქმული** გერმანელი ფეხბურთელი ლოთარ მათეუსი უახლოეს მომავალში შესაძლოა მიუნხენის „ბაიერნში“ დაბრუნდეს. ამის თაობაზე გუშინ თავად ბავარიელთა პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა.

39 წლის ვეტერანი ფეხბურთელი, მოგეხსენებათ, ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებშია და იქაური „ნიუ იორკ მეტროსტარზის“ ღირსებას იცავს. ამ კლუბთან კონტრაქტის გაწყვეტისა და სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში მათეუსს ბუცების კედელზე ჩამოკიდება მოუწევს, რადგან „ბაიერნი“ მას მენეჯერობას სთავაზობს.

„ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს. კარგად ვიცნობ ლოთარს, ვიცი მისი შესაძლებლობები და დარწმუნებული ვარ, მისი



მოდი ჩემთან, სანამ დროა!

მოსვლა გუნდს მხოლოდ არგებს. მათეუსი ისეთი ადამიანია, შემიძლია „ბაიერნში“ ნებისმიერ თანამდებობაზე დავნიშნო“ — აღნიშნა ბეკენბაუერმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

მიუნხენელთა წინადადებასთან დაკავშირებით აზრი მათეუსმაც გამოთქვა: „ბაიერნში“ მუშაობა, რა თანამდებობაც არ უნდა იყოს, ყოველთვის საინტერესოა, რადგან ეს გუნდი მუდამ მწვერვალისკენ მიიწევს. ჩემი 22-წლიანი კარიერის განმავლობაში მეც სულ სიმაღლეებისკენ მივილტვოდი. ასე რომ, მე და „ბაიერნს“ ბევრი საერთო გვაქვს“ — თქვა მათეუსმა.

შეგახსენებთ, რომ ერთ დროს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს ცოტა ხნის წინ სამსახური კიდევ ერთმა ყოფილმა კლუბმა შესთავაზა: მილანის „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი მთავარი მწვრთნელის სავარძლიდან მარჩელო ლიპის გადაყენების შემდეგ გერმანელ ფეხბურთელს შეეხმიანა, გუნდს ხომ არ ჩაიბარებო. მათეუსმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა, ამასობაში კი „ინტერის“ თავკაცი მარკო ტარდელი გახდა.

და ული ჰიონესი? ეს ღრმად პატივცემული კაცი, ცოტა ხნის წინ კრისტოფ დაუმის გარშემო დიდი სკანდალი რომ ატეხა, გეცოდინებათ, ამჟამად „ბაიერნის“ მენეჯერია. ბეკენბაუერს ის აღარ დაუკონკრეტებია, მათეუსის თანხმობის შემთხვევაში ჰიონესს შეცვლის თუ მიუნხენური კლუბი დამატებითი სამუშაო ადგილის შექმნას აპირებს.

## ესპანეთი

### გადადებული მატჩი

**ესპანიოლი 1:2 სოსიედადი**

0:1 არიფი (14პ), 1:1 მანელი (35), 1:2 იდიაკესი (39)

**მიორე ტაიმის შემადგენლობები:**

ესპანიოლი: მორა, კრისტობალი (ნავასი 67), ტოლედო (არტეაგა 67), პოჩეტინიო, გალკა, როხერი, ველამასანი, სერხიო, მორალესი, მანელი, ოსკარ ვალესი (მარტინ პოსე 74)

მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი

სოსიედადი: ალბერი, ფუენტესი, გურუჩაგა (კორინო 76), პიკაბეა, ლოპეს რეკარტე, არანსაბალი, არანბურუ, კოლე, იდიაკესი (საბილონდო 90), ხაურეგი, დე პაულა (ხოხლოვი 83)

მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე

გაფრთხილებები: დე ლუკასი, კორინო, არიფი, პოჩეტინიო, ხაურეგი, გალკა, იდიაკესი

5 000 მაყურებელი

**მატჩების** გადადება არცთუ უცხო რამაა, მაგრამ თამაში 1 ოქტომბერს დაიწყოს და 18-ში დასრულდეს, განსაკუთრებული შემთხვევაა.

ოთხშაბათს „ესპანიოლმა“ და „სოსიედადმა“, როგორც იქნა, ჩაამთავრეს პრიმერადივიზიონის მეოთხე ტურის შეხვედრა, რომელიც 17 დღით ადრე კოკისპირული წვიმის გამო პირველი ტაიმის შემდეგ შეწყდა.

მეორე ნახევარში ბევრიც არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთლით იმას, რომ მსაჯის წამატებულ დროში ესპანიოლელმა სერხიო გონსალესმა ბურთი ძელს გაარტყა.

1 ოქტომბერს 39-ე წუთზე იჩიგო იდიაკესის გატანილმა გოლმა ხავიერ კლემენტეს გუნდს სეზონში პირველი გამარჯვება მოუტანა, გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილს აშორა და „ბარსელონასთან“ 0:6 წაგების მერე შელახული თავმოყვარეობა ოდნავ აღუდგინა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 5 | 3 | 2 | 0 | 12:5 | 11 |
| ვალენსია | 5 | 3 | 1 | 1 | 14:4 | 10 |
| დეპორტივო | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| სელტა | 5 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 10 |
| რაიო ვალეკანო | 5 | 2 | 3 | 0 | 10:3 | 9 |
| ბარსელონა | 5 | 3 | 0 | 2 | 12:7 | 9 |
| ალავესი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:4 | 8 |
| ვილიარეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:6 | 8 |
| ვალიადოლიდი | 5 | 1 | 4 | 0 | 4:2 | 7 |
| ბილბაო | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | 7 |
| ნუმანსია | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 |
| ოვიედო | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ოსასუნა | 5 | 1 | 2 | 2 | 4:7 | 5 |
| ლას პალმასი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:12 | 5 |
| სოსიედადი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:14 | 5 |
| ესპანიოლი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| მალაგა | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |
| მალიორკა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 |
| სარაგოსა | 5 | 0 | 3 | 2 | 4:6 | 3 |
| რასინგი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:10 | 2 |

## ინგლისი

### I დივიზიონი

### XIII ტური

**ვესტ ბრომვიჩი 1:0 ვულვერჰემპტონი**

1:0 პიუზი (18პ)

ვულვერჰემპტონი: ოუქსი, გრინი, პოლეტი, პოკოტი, ნეილორი, ბაზელი, ემბლენი, ოსბორნი (რობინსონი 85), დინინგი (რ. ტეილორი 42), ბრენი, პრუდლოკი (ლესკოტი 73)

მწვრთნელი: კოლინ ლი

21 492 მაყურებელი

**ბარნსლი 1:1 ტრანმერი**

0:1 ალისონი (42), 1:1 ბარნარდი (82პ)

**ბირმინგემი 4:0 სტოკპორტი**

1:0 პორსფილდი (13), 2:0 გრაინჯერი (68პ), 3:0, 4:0 ბერჩილი (79, 88)

**ბოლტონი 0:0 ნოტინგემი**

**ბარნლი 1:0 უენსდი**

1:0 დევისი (74)

**გრიმსბი 3:1 ქუინზ პარკი**

0:1 კონოლი (17), 1:1 ლივინგსტონი (50), 2:1 ნილსენი (53), 3:1 ლივინგსტონი (72)

**პორტსმუთი 2:1 ქრიუ**

0:1 ს. სმიტი (59პ), 1:1 ტოგერსენი (66), 2:1 კლარიჯი (80პ)

**პრესტონი 1:0 ნორვიჩი**

1:0 გუნლაგსონი (90)

**შეფილდი 3:0 ჰადერსფილდი**

1:0 კელი (45), 2:0 დეველინი (64), 3:0 კელი (74)

**უოტფორდი 0:0 ჯილინგემი**

**ფულემი 3:1 კრისტალ პალასი**

1:0 საჰა (9), 1:1 რადოკი (15), 2:1, 3:1 კლარკი (21, 60)

**უიმბლდონი 0:2 ბლექბერნი**

0:1 ჯილმორი (22ს.კ.), 0:2 ფლიტკროფტი (44)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 11 | 11 | 0 | 0 | 31:6 | 33 |
| უოტფორდი | 11 | 9 | 2 | 0 | 25:9 | 29 |
| ბირმინგემი | 12 | 8 | 2 | 2 | 22:10 | 26 |
| ბოლტონი | 12 | 7 | 4 | 1 | 17:9 | 25 |
| პრესტონი | 12 | 7 | 3 | 2 | 16:9 | 24 |
| ვესტ ბრომვიჩი | 13 | 7 | 2 | 4 | 13:13 | 23 |
| ბარნლი | 12 | 6 | 4 | 2 | 14:11 | 22 |
| შეფილდ იუნ. | 11 | 6 | 2 | 3 | 13:9 | 20 |
| ნოტინგემი | 11 | 5 | 3 | 3 | 12:13 | 18 |
| პორტსმუთი | 13 | 4 | 4 | 5 | 14:16 | 16 |
| ბლექბერნი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:13 | 15 |
| ბარნსლი | 12 | 4 | 3 | 5 | 20:22 | 15 |
| ჯილინგემი | 13 | 3 | 6 | 4 | 18:21 | 15 |
| უიმბლდონი | 11 | 3 | 5 | 3 | 16:11 | 14 |
| ტრანმერი | 13 | 4 | 2 | 7 | 13:19 | 14 |
| ვულვზი | 12 | 2 | 5 | 5 | 11:12 | 11 |
| ქუინზ პარკი | 11 | 2 | 5 | 4 | 12:17 | 11 |
| გრიმსბი | 11 | 3 | 2 | 6 | 8:13 | 11 |
| ნორვიჩი | 11 | 2 | 4 | 5 | 9:14 | 10 |
| ქრიუ | 12 | 2 | 3 | 7 | 8:15 | 9 |
| კრ. პალასი | 12 | 2 | 2 | 8 | 8:17 | 8 |
| სტოკპორტი | 13 | 1 | 5 | 7 | 12:24 | 8 |
| ჰადერსფილდი | 12 | 1 | 3 | 8 | 10:20 | 6 |
| უენსდი | 12 | 1 | 2 | 9 | 8:23 | 5 |

# ვერონის საქმე



**გამომძიებელმა** სილვერიო პირომ დოკუმენტაციის ჩხრეკა თითქმის დაასრულა და სულ მალე მასალებს სასამართლოს გადასცემს. საქმე არგენტინელი ნახევარმცველის, ხუან სებასტიან ვერონის იტალიის მოქალაქეობის მიღებას შეეხება. ჯერ კიდევ აპრილში გაჩნდა ეჭვი, რომ „ლაციოს“ ფეხბურთელმა კლუბის ხელმძღვანელთა მხარდაჭერით საბუთები გაიყალბა, რათა ევროკავშირის მოქალაქე გამხდარიყო და დაწესებული ლიმიტი მასზე არ გავრცელებულიყო — იტალიაში ხომ სამზე მეტი არაევროკავშირელის თამაში იკრძალება.

ვერონმა ორმაგი მოქალაქეობა შარშან მიიღო. ეს იმით დაასაბუთა, რომ მისი შორეული წინაპარი წარმოშობით იტალიელი იყო, 1870 წელს სამხრეთ იტალიაში დაიბადა, მაგრამ შემდეგ გარკვეულ მიზეზთა გამო არგენტინაში ემიგრანტად გადაიხვეწა.

თუ პიროს წაყენებულ ბრალდებას სასამართლოც დაადასტურებს, „ლაციოს“ ხელმძღვანელობას (გაიჟღერა პრეზიდენტ სერჯო კრანიოტისა და სპორტულ დირექტორ ფელიჩე პულიჩის სახელებმა), თავად ვერონსა და მის აგენტ გუსტავო მასკარდის სასჯელი ემუქრებათ. თუმცა არსებობს მეორე და რომაული კლუბისთვის ხელსაყრელი გამოსავალი: გამომძიებელს თავისივე ქაღალდებით უკან გააბრუნებენ და საქმე დაიხურება. „დარწმუნებული ვართ, რომ ყველაფერი გაირკვევა და „ლაციოს“ ბრალს აღარაფერში დასდებენ“ — განაცხადა იტალიის ჩემპიონთა პრესატაშემ.

# მეც მათქმევინეთ ოროოდ სიტყვა



**პატიოსანი** კაცის სახელის აღდგენა მსურსო მხოლოდ — უთქვამს ვანდერლეი ლუქსემბურგოს.

გავიხსენოთ, რომ ლუქსემბურგოს გადაყენების ოფიციალური მიზეზი ეროვნული და ოლიმპიური ნაკრებების არასახარბიელო თამაში გახდა. მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში როდია. ლუქსემბურგოს მისამართით ბრალდებების ნიაღვარი დაიძრა, მას ათას საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო ცოდვას აბრალებენ: ფეხბურთელთა ტრანსფერებთან დაკავშირებულ ფინანსურ მაქინაციებს, გადასახადებისგან თავის არიდებას, კოკაინის ხმარებასა და ვაჭრობას, ცოლის ღალატს, პასპორტში დაბადების თარიღის გაყალბებას...

ამჟამად ბრაზილიის კონგრესის სპეციალური კომისია უმაღლეს საფეხბურთო ეშელონებში გამეფებულ კორუფციის საკითხს შეისწავლის და ნუ გაიკვირვებთ, თუ მალე ზოგიერთ მაღალჩინოსანს შეიწირავს (თავად კომისია თუ არ ჩაეფლო კორუფციის ჭაობში). მზად ვარ, ვითანამშრომლო კომისიასთანო, თქვა ლუქსემბურგომ ორკვირიანი გაუჩინარების შემდეგ. ყოფილი მწვრთნელი ბრაზილიის რომელიღაც მიყრუებულ მხარეში, საკუთარ რანჩოში განმარტოვებულიყო და ფიქრს მისცემოდა.

„სამარცხვინო არაფერი ჩამიდენია — შეტევაზე გადადის ლუქსემბურგო — მე მხოლოდ მაგინებენ და ჩემი მოსმენა არავის სურს. საგანგებოდ გავერიდე ხალხს, რომ მშვიდად დაფიქრების და განსჯის საშუალება მქონოდა. და მივედი დასკვნამდე — უსამართლოდ მექცევიან. აი, მაგალითად: ნაკრებში რომ დამნიშნეს. ჩემი ჩაცმულობა მოიწონეს. ამბობდნენ, ნახეთ, ლუქსემბურგო სხვებივით სპორტულ პიჟამოში კი არ დაიარება, კოსტუმი აცვია და ჰალსტუხი უკეთია, ეს სხვა მწვრთნელებისთვისაც მისაბაძი უნდა იყოსო. ახლა კი რა ხდება? ლამის ჩემსავე ჰალსტუხზე ჩამომახრჩონ — ზედმეტად გადაპრანჭულიაო. გახსოვთ, ბრაზილიის ნაკრებს „კოპა ამერიკა“ რომ მოვაგებინე? ბევრმა ეს უკვე დაივიწყა. ჩემი მოხსნის ნამდვილი მიზეზი ისაა, რომ უკომპრომისო ვარ და უსამართლობას ვერ ვიტან, ეს თვისება კი ფედერაციაში არ მოსწონთ. იქ სურთ, ყველა თავის ჭკუაზე ატარონ. არა უშავს, სიმართლე არ დაიკარგება და მე ისევ დავბრუნდები.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხის რჩეულს უნდა ურტყა

*ის უდაბნოს ქარიშხალია. ის პრინცი ნასიმ ჰამედია. მას ახლახან ჩამოართვეს WBO-ს ჩემპიონის ტიტული, რადგან იშტვან კოვაჩთან ბრძოლაზე უარი თქვა, თუმცა მთლად უარიც არ უთქვამს. მას ახლა მარკო ანტონიო ბარერასთან ჩხუბი სწადია, ამბობს, ღირსეული მეტოქე ის არისო. მოვუსმინოთ ნასიმს.*

**— ნასიმ, ბრძოლის წინ როგორ ემზადებით?**

— დილით 7 საათზე ვდგები და დავრბივარ. მერე მსუბუქი ვარჯიშით ვისვენებ და ისევ დავრბივარ, ოღონდ, ამჯერად სპრინტს. შემდეგ აზიდვებზე გადავდივარ, რასაც კვლავ სპრინტით ვცვლი. ვცდილობ, სპრინტით რაც შეიძლება მეტად დავიტვირთო. შინ დაბრუნებული მასაჟებს ვიკეთებ, ძირითადად ფეხებზე. შესვენების შემდეგ დარბაზში შევდივარ, სადაც ტრენაჟორებთან ვჯდები და უნდა გითხრათ, რომ რაც მეტს ვვარჯიშობ, მით მეტი ენერგიის მოზღვავებას ვგრძნობ. როდესაც დარბაზი მბეზრდება, გავდივარ და ისევ დავრბივარ. ხანდახან ეს ძალიან გვიან ღამითაც ხდება.



ნასიმ ჰამედი

**— და სპარინგ-პარტნიორები?**

— დიახ, სპარინგ პარტნიორები მყავს, ოღონდ მათ შორის ცნობილი არავინაა. ვცდილობ, მექსიკელი იყოს. მექსიკელები მაგარი ბიჭები არიან და გვარიანად მაზურებენ. მათი წყალობით ფორმაში ვარ ხოლმე.

**— ვარჯიშის დროს მწვრთნელს აქვს დიდი მნიშვნელობა. რას იტყოდით ოსკარ სუარესზე?**

— ოსკარს ვაქებ და ვადიდებ. მისი ხელმძღვანელობით ჩემი საწვრთნელი პროცესი სრულყოფილია. სწავლა არასდროს მითაკილია, რაც მეტს მასწავლიან, მით უკეთესი ჩემთვის. ოსკარი ამ მხრივ დიდებულია. მანამდე ნაღდად კარგი მწვრთნელი არც კი მყოლია. დღეს უამრავი წვრილმანი ახლებურად დავინახე.

**— ამბობენ, რომ ის თქვენს გარდა ომარ შეიკასაც ავარჯიშებს.**

— ჰო, ეგ ჭორები ჩემამდეც მოვიდა. შევხვდი კიდეც ომარს, დიდებული ბიჭია, კარგი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ ოსკარის ხელმძღვანელობით არასდროს უვარჯიშია და არც ჩვენს ბანაკში მოსულა რჩევა-დარიგებისთვის.

**— სიტყვამ მოიტანა და, რას იზამს შეიკა კალსაგეს წინააღმდეგ?**

— გულწრფელად რომ გითხრათ, კალსაგე ძალიან ძლიერი მოკრივეა. აკრიტიკებენ, მაგრამ ის მაინც იგებს და ამიტომ ვფიქრობ, რომ ომარი შეცდა, მასთან ჩხუბს ახლა არ უნდა დაყაბულებოდა. მგონი, კალსაგე გაიმარჯვებს, მაგრამ მოდით წინასწარ ნურც ომარს გავწირავთ. მას ზუსტი და ძლიერი დარტყმა სჩვევია.

**— კეთილი, ეს რაც შეეხებოდათ სხვებს, მაგრამ თქვენზე რაღას გვეტყვით, როდის უნდა ეკრივოთ ბარერას ან მორალესს?**

— რა ვიცი (იცინის), ცდა არ დაგვიკლია, ბევრჯერ გამოვიწვიეთ, მაგრამ ჯერ არ გვეხმაურებიან. იმედი მაქვს, რომ ბარერა მომავალი წლის ზაფხულში მაინც შემებრძოლება.

**— მორალესი გირჩევნიათ თუ ბარერა?**

— ძნელი კითხვაა. ერთი მხრივ მგონია, რომ მორალესთან ბრძოლა ჯობია, რადგან ჩინებული შედეგები აქვს და მისი ცემა ჩემს კარიერაში ლამაზად ჩაიწერება, მაგრამ მეორე მხრივ ხალხი თვლის, რომ მორალესის და ბარერას შეხვედრა მორალესმა კი არა, ბარერამ მოიგო. მეც ამ აზრის ვარ და საერთოდაც, ჯობს ის ცემო, ვინც ხალხის აზრით უფრო ძლიერია.

**— თქვენ კი იშტვან კოვაჩი გიწვევთ. იცით რაიმე მის შესახებ?**

— ერთადერთი ის, რომ ხელებს სწრაფად ამოძრავებს და ეს ახლახან სტივ რობინსონთანაც დაამტკიცა.

**— მე დავამატებდი, რომ ის მოქნილია და საკუთარ თავში დარწმუნებული.**

— თქვენ ფიქრობთ, რომ დაძაბული ბრძოლა მექნება?

**— კოვაჩი ყველაფერს სწორად აკეთებს, ოღონდ თქვენ დასაგლეჯად საჭირო ძალით ვერ ურტყამს. ერთი სიტყვით, მგონია, რომ თქვენი ბრძოლა ლამაზი სანახავი იქნება, ოღონდ დიდხანს ვერ გაგრძელდება. ის კარგად მოძრაობს, ხელებსაც სწრაფად ამოძრავებს, თქვენ კი რაღაც მომენტში ალღოს აუღებთ და...**

— აი, მეც მაგას ვფიქრობდი. კარგი მონაცემების ბიჭია, მაგრამ ვიცი, რომ გამოვიჭერ. თანაც, რაღა პირდაპირ მე უნდა შემხვდეს. ჯერ ჩემს ლიგაში სხვა ბიჭებთან მოსინჯოს ძალა.

**— რას იტყოდით ფრენკ უორენის 6-მილიონიან წინადადებაზე? ამ თანხად ის ასელინო ფრეიტასთან ჩხუბს გთავაზობთ.**

— მართალი რომ გითხრათ, ცოტა დავიბენი. ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა. თუ ის 6 მილიონს იმის ზევით მთავაზობს, რასაც HBO-სგან მივიღებ, მაშინ ჰეი, რა თქმა უნდა, თანახმა ვარ, დავიწყოთ მოლაპარაკება, მაგრამ თუ ეს 6 მილიონი მთელი თანხაა, მაშინ არ მინდა. ვეჭვობ, უორენი მაინც მეორე ვარიანტს მთავაზობს.

**— მართლაც, მეორე ვარიანტს ისევ თქვენი ლიგის ბიჭებთან ჩხუბი გიჯობთ.**

— აბა, რა. არ მესმის, ფულის დაკარგვა რატომ შემომთავაზეს.

**— ახლა ის გაიხსენეთ, ერთხანს ოსკარ დე ლა ჰოიას სახლში რომ ცხოვრობდით.**

— ოსკარი ძალიან კარგი ბიჭია, რომ მიჭირდა, დამირეკა და თავისი სახლი შემომთავაზა. ვერც წარმოვიდგენდი, ასეთი კეთილი ადამიანი თუ იყო. სათანადო მადლობას ვერასდროს გადავუხდი, ისეთი საქმე გამიკეთა.

**— დამეგობრდით?**

— აბა, რა. ხშირად ვურეკავთ ერთმანეთს და ბიზნესიც ავაწყვეთ.

**— ბიზნესიო? ნასიმის და ოსკარის ერთობლივი საქმე? ვერ წარმომიდგენია.**

— გული ნუ გაგისკდებათ (იცინის), ბიზნესი ბიზნესია.

**— ჰო, მართლა, რა მაგის პასუხია და ბუნგუსთან ბრძოლის მერე არ შეგხვედრივართ. ბოდიში ნაგვიანევი მოლოცვისთვის. ისე კი, ერთი კითხვა გამიჩნდა: ლონდონში რომ ჩხუბობთ, ყოველთვის ყველაფერი თქვენს სასარგებლოდ რატომ ეწყობა?**

— ჰო. არ ვიცი, რას მივაწერო, მაგრამ ლონდონში თავს კარგად ვგრძნობ, თითქოს მშობლიურ ქალაქში ვჩხუბობ.

**— რა, ინგლისში უფრო ყურადღებით იბრძვით?**

— ისე რა. აზრს, ინგლისში ვარ თუ ამერიკაში, ერთნაირად ვიკრებ, უბრალოდ ინგლისში უფრო მშვიდად ვგრძნობ თავს. იქ თითქოს ყველაფერი უფრო იოლია.

**— კეთილი ნასიმ. დიდი მადლობა, დრო რომ გამონახეთ და ინტერვიუზე დაგვთანხმდით.**

— ღმერთი გფარავდეთ. ყველა ღონე ვიხმარე, რომ ჩემზე ამიერიდან მხოლოდ კარგი წეროთ (იცინის).

**ესაუბრა საიმონ ბარისონი**
**თარგმნა ტუტა სიხარულიძემ**




გინდა ამერიკელი ოჯი სანჩესი იყოს, გინდა სხვა, ნასიმ ჰამედი (მარჯვნივ) თავისას არ იშლის: რინგზე ჩვეულად ღლაბუცობს

## კრივპალოსანი

სულ რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ვლადიმირ კლიჩკომ მძიმე წონაში WBO-ს ჩემპიონის ქამარი მოიპოვა, მაგრამ ამბიციური უკრაინელი უკვე მომავალ ბრძოლებზე ფიქრობს. მისი პრომოუტერის, ჰანს-პეტერ კოლის თქმით, ახლა ჩემპიონს ლენოქს ლუისთან და ევანდერ ჰოლიფილდთან ჩხუბი აინტერესებს.

ერთი სიტყვით, ამერიკელი კრის ბერდის ცემის შემდეგ კლიჩკო ბევრი წინამორბედისაგან განსხვავებულ გზას ადგება — შედარებით ან სრულიად უსახელო კონკურენტების გამოწვევებს არ მიიღებს და მათი ძლევით სახელს არ გაითქვამს. მიზანი მხოლოდ უმაღლესი, ამოცანა კი მხოლოდ უძნელესი უნდა იყოს. აი, რას ამბობს კოლი:

— ლუისს და ჰოლიფილდს ვლადიმირი 2001 წლის ბოლომდე აუცილებლად ეჩხუბება. აქამდე მაღალი რეიტინგის მიუხედავად ლუისი და ჰოლიფილდი კლიჩკოსთან ბრძოლას უარობდნენ, მაგრამ ახლა ძველებურად ველარ გაგრძელდება. დღეს ეს ბრძოლები უკვე რეალურია.

თავის მხრივ კლიჩკოსაც კარგად მოეხსენება, რომ თუ პირველხარისხოვან მძიმეწონოსანთა მარაქაში გარევა სურს, ან ლუისი უნდა ცემოს ანაც ჰოლიფილდი.

— ლუისი 35 წლისაა, ჰოლიფილდი 38-ის, ისინი კარიერის დასრულებასთან არიან ახლოს და ძალიან საწყენი იქნება თუ მათთან ჩხუბს ვერ მოვასწრებ — ამბობს ვლადიმირი.

მანამდე კი ლუისი WBC-ს, IBF-ის და IBO-ს ტიტულებს 11 ნოემბერს დავიდ ტუას წინააღმდეგ დაიცავს, ხოლო WBA-ს ჩემპიონი ჰოლიფილდი იანვარში, ალბათ, ჯონ რუისს ეკრივება.

* * *

WBA-ს ყმაწვილი ჩემპიონი პირველ ქვემსუბუქ წონაში (53,3 კგ) გახლავთ ბოუნს ადამსი, რომელმაც მარტში ნესტორ გარსიასთან მოგებული ბრძოლის დროს ხელი მოიტეხა. ამ დღეებში მან ლოს ანჯელესის კლინიკას მიაკითხა და იქიდან კმაყოფილი გამოვიდა — ყველაფერი კარგადაა, რინგზე დაბრუნება უკვე შემიძლიაო.

— თავს საუცხოოდ ვგრძნობ. სადღაც დეკემბერში ან იანვარში უკვე შემეძლება ამ ხელით დარტყმა — ამბობს ბედნიერი ადამსი, რომელსაც ახლა ჯონი ტაპიასთან ჩხუბში მოუწევს ნოდების დაცვა — მომავალ ბრძოლაზე უკვე ვილაპარაკეთ. ტაპიასთან ჩხუბი ნამდვილად მაინტერესებს, იმიტომ რომ ჯონი დიდი მოკრივეა. მწამს ერთმანეთის პირისპირ თებერვალში დავდგებით.

* * *

WBO-ს ჩემპიონი პირველ ქვემძიმე წონაში ჯო კალსაგე მომავალი მეტოქის, რიჩი ვუდჰოლის დიდი მეგობარია და ამიტომაც მათ შორის ბრძოლის მოწყობა ბევრს ფრიად ეეჭვებოდა, მაგრამ საქმე სწორედ მეგობრობამ იხსნა — მხარეები მრავალ წვრილმანზე იოლად შეთანხმდნენ და 16 დეკემბერს ინგლისურ ქალაქ შეფილდში თვალთა ძმური ჩალურჯება გაიმართება.

კალსაგე: — რიჩი გადასარევი ბიჭია. ჩემი არ იყოს, მამა ავარჯიშებს და ამიტომაც მიყვარს მასთან ურთიერთობა, თუმცა ეს ცხადია არ ნიშნავს, რომ ვერ გავიმეტებ. მე ხომ ჩემი კარიერა მაინტერესებს. დიახ, რიჩი დიდებული მოკრივეა, ბევრი ძლიერი მხარეც აქვს და ამიტომაც ფხიზლად ვიქნები.

კაცმა რომ თქვას, ასეთი მდგომარეობა მათთვის ახალი არ არის. ჯომ და რიჩიმ 1999 წლის თებერვალშიც იჩხუბეს, მაგრამ წინა დღეს ერთად ივახშმეს რესტორანში.

კალსაგე: — ახლა იგივე არ გამეორდება. ბრძოლის წინ მისგან რაც შეიძლება შორს ვიქნები, მაგრამ ყველაფერი რომ დასრულდება, ერთად მოვილხენთ.

* * *

ჩხუბი ჩაიშალა. ნოემბერში კუბელ დიობელის ურტადოს და ეკტორ ლოპესს ქვესაშუალო წონის (66,7 კგ) ამბავში ერთმანეთის ყბები უნდა დაელეწათ, მაგრამ ლოპესს ყბის მისამართი აერია და თავისი მუშტები იქ აამუშავა, სადაც ამის გულისთვის ბრგე პოლიციელები ხალხს აპატიმრებენ.

ლოპესი 1984 წელს ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი გახდა და ბრწყინვალე მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ერთ დღეს დათვრა, გალეშილი საჭეს მიუჯდა, პოლიციას არ დაემორჩილა და გისოსებს მიღმა ამოჰყო თავი. მერე გაირკვა, რომ „კარიერაში" 11-ჯერ დაჭრეს და ერთხელ კინაღამ მოკვდა კიდეც. ვინ ჭრიდა? ვინ და მის ძმაკაცებთან მტრად მოკიდებული ბანდის ხალხი.

განთავისუფლების შემდეგ ლოპესმა თითქოს რინგისკენ იბრუნა პირი, რენდალ ბეილი სცემა და პრესა ვაჟკაცურ დაბრუნებაზე აალაპარაკა.

— იმ ბრძოლის დროს ცალი ნესტოთი ვერ ვსუნთქავდი, მეორე კი მხოლოდ 25 პროცენტით მუშაობდა. სხვათა შორის, ადრეც ასე ვიბრძოდი, ოპერაციის შემდეგ კი საუცხოოდ ვიგრძენი თავი. ორგანიზმი ჟანგბადს სრულყოფილად იღებდა და რინგზე მოძრაობის დროს დაღლას ვერ ვგრძნობდი — ამბობდა მაშინ ეკტორი მაგრამ ივნისში (დიახ, სულ ახლახან) რაღაც ძალადობა იკადრა და ოთხი თვით საპატიმროს დაუბრუნდა.

და ლოპესი ორი კვირის წინ კვლავ თავისუფალ ადამიანად იქცა, ოღონდ, ორი კვირით.

— ვერ გავიგე, რა სჭირს ამ ბიჭს. თითქოს ურტადოსთან ბრძოლას მოუთმენლად ელოდა, გამალებით ვარჯიშობდა, მაგრამ... — ხელები გაშალა პრომოუტერმა ჯერი როზენბერგმა.

# დე ლა ჰოიამ მაისი მოიყვანა

**ოსკარ დე ლა ჰოიაზე** ცნობილი ვინ გინდათ? მისი ამბავი ყოველთვის გაზეთების ფურცლებზეა და ცხადია, პირველი ქვესაშუალო წონის ამ ყოფილი ჩემპიონის (EBC) ბანაკში დატრიალებული ამბები მითუფრო მიიპყრობდა ყურადღებას.



ოსკარ დე ლა ჰოია

დე ლა ჰოიამ ჯერ იყო და რვა წლის განუყრელი, მასთან ერთად მრავალი მილიონი დოლარის მომხვეჭი პრომოუტერი ბობ არუმი დაიფრინა, ახლა კი კიდევ ორი კაცი შეცვალა.

ერთი სიტყვით, რამდენიმე კვირიანი ჭორაობა იმით დასრულდა, რომ გაცხადდა: რობერტო ალკასარის ნაცვლად ოსკარს ფლოიდ მეივეზარ უფროსი გაწვრთნის. ინგლისურის მცოდნე განათლებულ ქართულ საზოგადოებასთან ბოდიში მოგვითხოვია — მეივეზარ ხომ ზუსტად ვერ გამოხატავს იმ ბგერებს, სინამდვილეში რომ უნდა წარმოითქვას — მაგრამ ეს სიტყვა, მწვრთნელს მეორე სახელად რომ ჰქვია, მაისის ამინდს ნიშნავს. აი, ასე.

მეორე ცვლილება ასეთია: ქათმენად მივიდა ჩაკ ბოდაკი, ჯო სოუზას მაგივრად.

მაგრამ, დღეს უკვე ჯერი პერენკიონ პრომოუტერობით მოღვაწე დე ლა ჰოია გაბრაზებული არ არის, ამბობს ბოლო სამი ბრძოლიდან ორში დამარცხება აბა, რა ამათი ბრალიაო.

— პასუხიმგებლობა მთლიანად ჩემზეა, მაგრამ მაინც მწამს, რომ ეს ცვლილებები მე, ოსკარ დე ლა ჰოიას, გამაძლიერებს.

ისე, ალკასარმა მოკრივის ბანაკში შესაძლოა მაინც ახალი თანამდებობა მიიღოს.

**ტუტა სიხარულიძე**

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანია. ბუნდესლიგა. მე-9 ტური**

**20 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 001 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 002 | ბაიერნი-მიუნხენ 1860 | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 18.30 | 003 | შტუტგარტი-უნტერჰახინგი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.30 | 004 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 18.30 | 005 | ჰერტა-კოტბუსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 006 | ჰერტა-კოტბუსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.30 | 007 | ჰამბურგი-აინტრახტი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.15 | 008 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 009 | ფრაიბურგი-შალკე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.30 | 010 | ბოხუმი-ჰანზა | 1,8 | 3,0 | 4,2 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-9 ტური**

**20 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 011 | არმინია-ვალდჰოფი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 22.00 | 012 | ქემნიცი-ზანქტ პაული | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 013 | ფიურტი-ნიურნბერგი (ნეიტრალურზე) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 18.00 | 014 | ჰანოვერი-კიკერსი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 015 | ჰანოვერი-კიკერსი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 016 | დუისბურგი-როიტლინგენი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 017 | ულმი-ობერჰაუზენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.00 | 018 | ოსნაბრიუკი-მაინცი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 019 | ზაარბრიუკენი-ალემანია | 1,75 | 2,9 | 5,0 |

**23 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 020 | მიონხენგლადბახი-ალენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 021 | მიონხენგლადბახი-ალენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. მე-10 ტური**

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 022 | მანჩესტერი-ლიდსი | 1,5 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 023 | ბრედფორდი-იფსვიჩი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 024 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 025 | ჩელსი-ქოვენთრი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 026 | ლივერპული-ლესტერი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 027 | ნიუკასლი-ევერტონი | 1,5 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 028 | ტოტენჰემი-დერბი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 029 | ტოტენჰემი-დერბი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 030 | ვესტ ჰემი-არსენალი | 3,5 | 3,0 | 2,0 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 031 | ასტონ ვილა-სანდერლენდი | 1,6 | 3,2 | 5,6 |

**23 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 032 | საუთჰემპტონი-სიტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

**ინგლისი. I დივიზიონი. მე-14 ტური**

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 033 | ბლექბერნი-გრიმსბი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 034 | ქრიუ-უიმბლდონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 035 | კრ.პალასი-პორტსმუთი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 036 | ჯილინგემი-ბარნსლი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 037 | ჰადერსფილდი-პრესტონი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 19.00 | 038 | ნორვიჩი-შეფილდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 039 | ნოტინგემი-უოტფორდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 040 | ქუინზ პარკი-ბარნლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 041 | სტოკპორტი-ბოლტონი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 19.00 | 042 | ტრანმერი-ვესტ ბრომვიჩი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 043 | ვულვერჰემპტონი-ფულემი | 3,2 | 3,0 | 2,0 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 044 | უენსდი-ბირმინგემი | 3,3 | 3,0 | 2,1 |

**ინგლისი. II დივიზიონი. მე-14 ტური**

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 045 | ბრისტოლი-რედინგი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 046 | ბერი-ბორნმუთი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 047 | კოლჩესტერი-კემბრიჯი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 048 | ლუტონი-ბრენტფორდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 049 | ნორთჰემპტონი-ოლდემი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 050 | პიტერბრო-ნოტსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 051 | როტერჰემი-ოქსფორდი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 052 | სტოკი-მილუოლი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 053 | სუინდონი-როვერსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 054 | უიგანი-პორტ ვეილი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 055 | უიგანი-პორტ ვეილი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 056 | რექსემი-სუონსი | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 057 | უიკომბი-უოლსოლი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

**ინგლისი. III დივიზიონი. მე-14 ტური**

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 058 | ბარნეტი-ჰალიფაქსი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 19.00 | 059 | ბლექპული-მაკლსფილდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 060 | კარდიფი-მენსფილდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 061 | ჩელტენემი-როჩდეილი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 062 | ჩესტერფილდი-ბრაიტონი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 063 | ჰარტლპული-პლიმუთი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 064 | ჰალი-საუთენდი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 065 | კიდერმინსტერი-ექსეტერი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 066 | სკანთორპი-დარლინგტონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 067 | შრიუსბერი-ლინკოლნი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 068 | ტორკი-კარლაისლი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 069 | იორკი-ლეიტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-12 ტური**

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 070 | ტულუზი-პსჟ | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 23.00 | 071 | ბორდო-ლიონი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.45 | 072 | გენგამი-სტრასბური | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 073 | ლანსი-სედანი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 074 | მონაკო-ოსერი | 1,65 | 2,9 | 5,3 |
| 23.00 | 075 | ნანტი-რენი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 076 | სენტ ეტიენი-მეცი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 077 | ტრუა-ბასტია | 2,2 | 2,9 | 3,3 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 078 | მარსელი-ლილი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-16 ტური**

**20 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 079 | ლავალი-სოშო | 2,2 | 2,7 | 3,4 |

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 080 | ბოვუა-აიაჩო | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 081 | კაენი-შატორუ | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 082 | კრეტეი-კანი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 23.00 | 083 | გენიონი-ლორიანი | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 23.00 | 084 | ნანსი-ლე ავრი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 23.00 | 085 | ნიცა-ანჟე | 1,75 | 2,8 | 4,7 |
| 23.00 | 086 | ნიმი-მარტიგი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 23.00 | 087 | ნიორი-ლე მანი | 1,75 | 2,6 | 5,6 |
| 23.00 | 088 | ვასკეალი-მონპელიე | 3,2 | 2,7 | 2,3 |

**იტალია. სერია A. მე-3 ტური**

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 089 | უდინეზე-ინტერი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.30 | 090 | მილანი-იუვენტუსი | 2,1 | 2,9 | 3,4 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 091 | ბარი-ატალანტა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 18.00 | 092 | ბრეშა-ფიორენტინა | 2,7 | 2,8 | 2,5 |
| 18.00 | 093 | ნაპოლი-ბოლონია | 2,3 | 2,8 | 3,0 |
| 18.00 | 094 | რეჯინა-ლეჩე | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 18.00 | 095 | რომა-ვიჩენცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 096 | რომა-ვიჩენცა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 097 | ვერონა-ლაციო | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 098 | პერუჯა-პარმა | 3,0 | 2,9 | 2,3 |

**იტალია. სერია B. მე-7 ტური**

**20 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 099 | სიენა-პესკარა | 1,75 | 2,8 | 4,4 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 100 | ანკონა-პისტოიეზე | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 101 | კალიარი-მონცა | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 102 | ჩიტადელა-სამპდორია | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 18.00 | 103 | კროტონე-პიაჩენცა | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 18.00 | 104 | ემპოლი-კოზენცა | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 105 | ჯენოა-ვენეცია | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 18.00 | 106 | რავენა-კიევო | 2,4 | 2,6 | 3,1 |
| 18.00 | 107 | ტორინო-ტერნანა | 1,6 | 3,0 | 6,5 |

**23 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 108 | ტრევიზო-სალერნიტანა | 2,4 | 2,6 | 3,1 |

**იტალია. სერია C1/ა. მე-8 ტური**

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 109 | არეცო-რეჯინა | 2,2 | 2,6 | 3,5 |
| 18.30 | 110 | ბრეშელო-ალბინოლეფე | 2,4 | 2,6 | 3,1 |
| 18.30 | 111 | ჩეზენა-ალძანო | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 18.30 | 112 | ლეკო-ალესანდრია | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 18.30 | 113 | ლუმეცანე-კარარეზე | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 18.30 | 114 | მოდენა-ვარეზე | 1,4 | 3,2 | 7,5 |
| 18.30 | 115 | პიზა-ლუკეზე | 2,2 | 2,5 | 3,5 |
| 18.30 | 116 | სპალ-კომო | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 18.30 | 117 | სპეცია-ლივორნო | 2,3 | 2,5 | 3,4 |

**იტალია. სერია C1/ბ. მე-8 ტური**

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 118 | აკილა-აველინო | 1,7 | 2,7 | 6,0 |
| 18.30 | 119 | ლოდიჯანი-ფერმანა | 2,4 | 2,6 | 3,1 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 120 | ასკოლი-მესინა | 1,7 | 2,5 | 6,0 |
| 18.00 | 121 | ტორესი-ფ.ანდრია | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 18.30 | 122 | ატლეტიკო-ვიტერბეზე | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 18.30 | 123 | ჯულიანოვა-დი სანგრო | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 18.30 | 124 | ნოჩერინა-სავოია | 2,5 | 2,4 | 3,0 |
| 18.30 | 125 | პალერმო-კატანია | 1,8 | 2,4 | 5,6 |
| 18.30 | 126 | პეზარო-ბენევენტო | 2,3 | 2,5 | 3,4 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. მე-6 ტური**

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 127 | დეპორტივო-მალიორკა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 128 | დეპორტივო-მალიორკა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 24.00 | 129 | ვალენსია-სარაგოსა | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 130 | ვალენსია-სარაგოსა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 24.00 | 131 | ბარსელონა-რეალი | 1,9 | 2,9 | 3,8 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 132 | რაიო ვალეკანო-სოსიედადი | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 21.00 | 133 | ალავესი-ესპანიოლი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 21.00 | 134 | ოვიედო-სელტა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 21.00 | 135 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 21.00 | 136 | მალაგა-ვილიარეალი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 21.00 | 137 | რასინგი-ნუმანსია | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 138 | ბილბაო-ლას პალმასი | 1,5 | 3,3 | 7,0 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. მე-8 ტური**

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 139 | ატლეტიკო-ელჩე | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 21.00 | 140 | ტენერიფე-ბეტისი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 24.00 | 141 | უნივერსიდადი-ფეროლი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 142 | სევილია-ხეტაფე | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 143 | სევილია-ხეტაფე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 15.00 | 144 | ლეგანესი-ალბასეტე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 21.00 | 145 | კორდობა-ბადახოსი | 1,75 | 2,8 | 5,0 |
| 21.00 | 146 | ესტრემადურა-კომპოსტელა | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 21.00 | 147 | ეიბარი-ხაენი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 21.00 | 148 | მურსია-უელვა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 21.00 | 149 | სალამანკა-ლევანტე | 1,9 | 3,0 | 3,6 |
| 21.00 | 150 | ლეიდა-სპორტინგი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

**პორტუგალია. I ლიგა. მე-8 ტური**

**20 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 151 | კამპომაიორენსე-ბოავიშტა | 3,6 | 2,9 | 1,9 |

**21 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 152 | სპორტინგი-პორტუ | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 153 | ფერეირა-ბენფიკა | 2,9 | 3,0 | 2,2 |

**22 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 154 | ფარენსე-ლეირია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 155 | მარიტიმუ-ამადორა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.00 | 156 | გიმარაეში-ბეირა მარი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 157 | ალვერკა-ავეში | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 20.00 | 158 | ჟილ ვისენტე-სალგეირუში | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 01.00 | 159 | ბელენენსეში-ბრაგა | 2,4 | 2,9 | 2,8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **პორტუგალია. II ლიგა. მე-8 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 20.00 | 160 | იმორტალი-ესპინიუ | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 02.00 | 161 | სანტა კლარა-სეტუბალი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 20.00 | 162 | ნასიონალი-რიუ ავე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 163 | ფელგეირაში-შავეში | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.00 | 164 | ოვარენსე-მაია | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 165 | ლეცა-ნავალი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.00 | 166 | ვარზიმი-პენაფიელი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 20.00 | 167 | ფრეამუნდე-მარკუ | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.00 | 168 | აკადემიკა-ლამაში | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-9 ტური** | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | |
| 23.15 | 169 | აიაქსი-როდა | 1,5 | 3,4 | 5,0 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 22.30 | 170 | გრააფსხაპი-ტილბურგი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 22.30 | 171 | ტვენტე-სპარტა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 172 | ტვენტე-სპარტა 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 23.00 | 173 | ფეიენოორდი-ჰერენვენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 174 | ფეიენოორდი-ჰერენვენი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 17.30 | 175 | ალკმაარი-ვიტესი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.30 | 176 | გრონინგენი-სიტარდი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 17.30 | 177 | უტრეხტი-როზენდალი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-9 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 178 | ტელსტარი-ჰერაკლესი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.00 | 179 | დენ ჰააგი-დორდრეხტი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.00 | 180 | ვენლო-ეინდჰოვენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 17.30 | 181 | იგლსი-ოსი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 17.30 | 182 | ვოლენდამი-ემენი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 183 | ვეენდამი-ცვოლე | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 23.00 | 184 | მაასტრიხტი-ჰელმონდი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.00 | 185 | ექსელსიორი-კამბური | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. მე-10 ტური** | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 186 | სტანდარდი-შარლერუა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 21.00 | 187 | მუსკრონი-ანდერლეხტი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 23.00 | 188 | ლუვიე-ბევერენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 189 | ბეერსხოტი-ვესტერლო | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.00 | 190 | გენტი-ლიერსი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 191 | ლოკერენი-ანტვერპენი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 23.00 | 192 | გენკი-ჰარელბეკე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 193 | გენკი-ჰარელბეკე 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 194 | მეხელენი-აალსტი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 18.00 | 195 | ბრიუგე-სენტ ტრუიდენი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 196 | ბრიუგე-სენტ ტრუიდენი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. მე-10 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 197 | ჰეკელგემი-ლიეჟი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 198 | გეელი-ინგელმუნსტერი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 199 | ტინენი-მონსი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 18.00 | 200 | დესელი-ლომელი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 18.00 | 201 | ტურნჰაუტი-დაინცე | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 18.00 | 202 | მოლენბეკი-მაასლანდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 203 | სტრომბეკი-ჰეუსდენი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 18.00 | 204 | ოსტენდე-სერკლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 205 | დენდერლეუ-რუზელარე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | **ჩეხეთი. მე-11 ტური** | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 206 | ჟიჟკოვი-სლავია | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 207 | სპარტა-ლიბერეცი | 1,35 | 3,5 | 7,0 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 18.30 | 208 | პრჟიბრამი-სინოტი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 18.30 | 209 | იაბლონეცი-ბუდეიოვიცე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.30 | 210 | ბანიკი-ბლშანი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.30 | 211 | ტეპლიცე-ბოჰემიანსი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 19.30 | 212 | სიგმა-პლზენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 213 | სიგმა-პლზენი 0;1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.30 | 214 | ბრნო-დრნოვიცე | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| | | **პოლონეთი. მე-11 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 215 | რაძიონკოვი-სტომილი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 17.00 | 216 | გროცლინი-პოლონია | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 20.00 | 217 | გურნიკი-პოგონი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 20.30 | 218 | პლოცკი-ამიცა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.30 | 219 | ლეგია-შლიონსკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 220 | ლეგია-შლიონსკი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 221 | ვისლა-რუხი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 222 | ვისლა-რუხი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 17.00 | 223 | ზაგლებე-კატოვიცე | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 18.00 | 224 | ვიძევი-ოდრა | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **თურქეთი. მე-9 ტური** | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 225 | ადანა-ფენერბაჩე | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 16.00 | 226 | იეთფა-ერზურუმი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 17.00 | 227 | გენჩლერბირლიგი-ბურსა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 228 | გენჩლერბირლიგი-ბურსა 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 17.00 | 229 | იოზგათი-ტრაბზონი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 17.30 | 230 | ისთანბული-სამსუნი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 17.30 | 231 | დენიზლი-ქოჯაელი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 21.00 | 232 | რიზე-ანკარაგიუჯიუ | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 21.00 | 233 | ბეშიქთაში-გალათასარაი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | | **შოტლანდია. მე-12 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 234 | აბერდინი-დანფერმლაინი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 235 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 236 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 19.00 | 237 | დანდი-მოზერუელი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 238 | კილმარნოკი-სენტ მირენი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 18.35 | 239 | სენტ ჯონსტონი-რეინჯერსი | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| 22.05 | 240 | ჰიბერნიანი-ჰართსი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| | | **ავსტრია. მე-15 ტური** | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | |
| 22.30 | 241 | გრაცერი-რაპიდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 18.30 | 242 | ადმირა-ზალცბურგი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 18.30 | 243 | ბრეგენცი-ლინცერი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 18.30 | 244 | რიდი-შტურმი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.30 | 245 | აუსტრია-ტიროლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. მე-15 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 20.30 | 246 | სენტ გალენი-ციურიხი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 20.30 | 247 | ივერდონი-ქსამაქსი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 22.30 | 248 | ლუგანო-ლოზანა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 22.30 | 249 | სერვეტი-სიონი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 17.30 | 250 | არაუ-ლუცერნი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.15 | 251 | გრასჰოპერი-ბაზელი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. მე-17 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 20.30 | 252 | კრინსი-ბელინცონა | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 20.30 | 254 | სოლოთურნი-ვილი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 20.30 | 255 | ვანგენი-კარუჟი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 20.30 | 256 | ვინტერთური-თუნი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.30 | 257 | იანგ ბოისი-დელემონი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 17.30 | 253 | ლოკარნო-ბადენი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **დანია. მე-13 ტური** | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 258 | ორჰუსი-ლიუნგბიუ | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 18.00 | 259 | ჰერფიოლგე-ოდენსე | 2,0 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 260 | სილკებორგი-ჰადერსლევი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 261 | სილკებორგი-ჰადერსლევი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 18.00 | 262 | ვიბორგი-ოლბორგი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 20.05 | 263 | ბრიონდბიუ-აკადემისკი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 264 | ბრიონდბიუ-აკადემისკი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 265 | მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | **რუსეთი. 28-ე ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 266 | ალანია-ლოკომოტივი | 3,2 | 3,0 | 1,8 |
| 17.00 | 267 | როსტსელმაში-კრილია | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 17.00 | 268 | ჩერნომორეცი-როტორი | 1,4 | 3,5 | 6,5 |
| 17.00 | 269 | სატურნი-ანჟი | 2,8 | 2,9 | 2,0 |
| 17.00 | 270 | დინამო-ნ.ნოვგოროდი | 1,15 | 4,0 | 7,5 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 271 | ტორპედო-ფაკელი | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| 17.00 | 272 | ურალანი-ცსკა | 4,4 | 3,2 | 1,5 |
| | | **შვედეთი. მე-24 ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 273 | ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 18.00 | 274 | აიკ-ჰალმსტადი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 275 | გიოტებორგი-ტრელებორგი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 18.00 | 276 | სუნდსვალი-ჰეკენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 277 | გაის-ჰამარბი | 2,0 | 3,3 | 2,4 |
| 22.00 | 278 | ნორჩიოპინგი-იორგრიტე | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 22.00 | 279 | ფრიოლუნდა-იორებრო | 3,3 | 3,3 | 1,7 |
| | | **ნორვეგია. 26-ე ტური** | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 280 | მოსი-რუსენბორგი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 281 | ბოდიო-გლიმტი-ტრომსიო | 2,5 | 3,3 | 2,0 |
| 17.00 | 282 | ბრანი-მოლდე | 1,75 | 3,2 | 3,5 |
| 17.00 | 283 | ბრინი-ოდ გრენლანდი | 2,0 | 3,0 | 2,6 |
| 17.00 | 284 | ჰაუგესუნდი-ლილესტრიომი | 3,5 | 3,3 | 1,7 |
| 17.00 | 285 | სტაბეკი-ვიკინგი | 2,0 | 3,1 | 2,8 |
| 17.00 | 286 | ვოლერენგა-სტარტი | 1,65 | 3,4 | 4,0 |
| | | **აზიის თასი** | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | |
| 21.30 | 501 | საუდეთი-უზბეკეთი | 1,5 | 3,3 | 5,0 |
| 21.30 | 502 | იაპონია-ყატარი | 1,5 | 3,3 | 5,0 |
| | | **უეფას თასი** | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | |
| 21.30 | 503 | ირაკლისი-კაიზერსლაუტერნი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| | | **ჰოკეი** | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 901 | ბუფალო-ანაჰაიმი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 902 | ატლანტა-აილენდერსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 24.00 | 903 | მინესოტა-სან ხოსე | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 24.00 | 904 | ჩიკაგო-დალასი | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 24.00 | 905 | კოლორადო-ფლორიდა | 1,4 | 4,0 | 4,0 |
| 24.00 | 906 | კალგარი-ბოსტონი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 907 | მონრეალი-კაროლინა | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 908 | ოტავა-ატლანტა | 1,25 | 4,0 | 6,0 |
| 24.00 | 909 | ფილადელფია-ანაჰაიმი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 24.00 | 910 | ვაშინგტონი-აილენდერსი | 1,45 | 4,0 | 3,5 |
| 24.00 | 911 | კალგარი-ტორონტო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 912 | ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი | 1,25 | 4,0 | 6,0 |
| 24.00 | 913 | პიტსბურგი-კოლუმბუსი | 1,25 | 4,0 | 6,0 |
| 24.00 | 914 | დეტროიტი-ბუფალო | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 24.00 | 915 | სენტ ლუისი-ჩიკაგო | 1,35 | 4,0 | 4,4 |
| 24.00 | 916 | დალასი-ლოს ანჯელესი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 24.00 | 917 | ნეშვილი-სან ხოსე | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 24.00 | 918 | ვანკუვერი-ფინიქსი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 919 | მინესოტა-ფლორიდა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 920 | რეინჯერსი-ტამპა ბეი | 1,4 | 4,0 | 4,0 |
| 24.00 | 921 | კოლუმბუსი-დეტროიტი | 3,3 | 4,0 | 1,5 |
| 24.00 | 922 | ედმონტონი-ფინიქსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 923 | ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,0 | 2,2 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**ბათუმში მალე კვლავ ამუშავდება კროკოს ბიურო ახალ მისამართზე: მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75**

# გაიცანით, მარკ ფილიპუსისი მინდა, გამიხსენონ

*მარკ ფილიპუსისი — დევისის თასის გამარჯვებული, აშშ-ის ღია პირველობის ფინალისტი, ჩოგბურთში ერთ-ერთი უძლიერესი მოწოდების პატრონი გიგანტი ავსტრალიელი. „სკადს“ კარიერის დასაწყისში მასზე გაცემული დიდი ავანსები ბოლომდე ჯერაც არ გაუმართლებია, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, ნამდვილ ვარსკვლავად ქცეულიყო.*

*ფილიპუსისი კორტს მიღმაც მეტად საინტერესოდ ცხოვრობს და ამაზე ქვემოთ მოყვანილი მეგობრული ინტერვიუც მეტყველებს.*



დევისის თასის მომგები მარკ ფილიპუსისი თანაგუნდელთა მხრებზე

*–როგორ დაიწყო ყველაფერი*

— ერთხელ მამაჩემის მეგობარმა ძველი ეკლესიის უკან მდებარე კორტზე წამიყვანა, სადაც ხშირად თამაშობდა ხოლმე. წესით, მისთვის უნდა მეცქირა, მაგრამ კორტზე გავვარდი, ყველა ბურთს ხელი ვტაცე და გავიქეცი, სულ ხუთი თუ ექვსი წლის ვიყავი. როდესაც ვერ დამიჭირეს, დამპირდნენ, თუ წესიერად მოიქცევი და ბურთებს დაგვიბრუნებ, ხვალ ჩოგანს გიყიდით და გავარჯიშებთო. ასე დავიწყე ჩოგბურთის თამაში. ბავშვობაში ძალიან ცელქი ვიყავი და მგონი, ახლაც ასეთი ვარ.

*–მასმედიის შესახებ*

— ხშირად ჩემზე ისე წერენ ცუდ რამეებს, არც მიცნობენ და არც ინტერვიუს იღებენ. ეს ძალიან მწყინს, რადგან ხალხს არასწორი შთაბეჭდილება ექმნება. იცით, ცუდი ბიჭი სულაც არ ვარ — ჯერ ახალგაზრდა გახლავართ, წარსულში შეცდომებიც დამიშვია, მაგრამ ასეთია ცხოვრება, საკუთარ მაგალითზე უნდა ისწავლო.

*–დასვენების შესახებ*

— შინ უსაქმოდ ჯდომა არ შემიძლია, მუდამ რაღაცას უნდა ვაკეთებდე. მაიამიში ვცხოვრობ, იქ კი ათასი საინტერესო რამ ხდება. ჩემი სახლი ზღვასთან ახლოსაა, ამიტომ ხშირად ვსეირნობ წყლის მოტოციკლით ან თხილამურებით, ძალიან მიყვარს მოტოციკლებით გრიალიც. ეს მონდომებასა და ენერგიას მმატებს, რაც მერე ჩემს თამაშზეც აისახება. მხოლოდ ვარჯიში და თამაში ჭკუიდან შემშლიდა.

*–სპორტული გატაცებების შესახებ*

— ადრენალინის გიჟი ვარ და მიყვარს ისეთი რამეების კეთება, რაც ჩემს მშობლებს და განსაკუთრებით აგენტებს გულს უხეთქავს. როდესაც მოტოციკლს ძალიან სწრაფად მივაქროლებ, ყოველ სამ წამში ვფიქრობ, რას შვრები, აქ რომ ზეთის გუბე გაჩნდეს ან წინა მანქანამ მოუხვიოს, სიკვდილს ვერ გადაურჩები-მეთქი, მაგრამ ვერ ვჩერდები, ქროლვას არაფერი მირჩევნია.

*–რომ არა ჩოგბურთი*

— მამაჩემი ახალგაზრდობაში იტალიაში საუნივერსიტეტო დონეზე ფეხბურთს თამაშობდა, მეკარე იყო. ასე რომ, პატარაობიდან ეს სპორტი ძალიან მიყვარს. ჩოგბურთი რომ არა, ალბათ, ფეხბურთელი გავხდებოდი.

*–ყველაზე დიდი გამოცდა*

— ყველაზე მძიმე პერიოდი მაშინ მქონდა, როდესაც მამაჩემს სიმსივნე აღმოუჩინეს. სულ იმაზე ვფიქრობდი, გადარჩებოდა თუ არა, თანაც ჩოგბურთი ხეირიანად უნდა მეთამაშა და კლასიფიკაციაში ადგილი შემენარჩუნებინა. ძალიან ძნელი იყო. მამაჩემს ოთხჯერ დაუსვეს კიბოს დიაგნოზი და მან ოთხჯერვე დაამარცხა ავადმყოფობა. ეს დაუჯერებელია და ამიტომაც ის ჩემი კერპია, ნამდვილი მებრძოლი. ყოფილა ერთ-ორი ისეთი მატჩი, რომლებშიც მაინცდამაინც არ მომინდომებია. კორტიდან გამოსვლის შემდეგ საკუთარი თავი მძაგდა, ამიტომ მას შემდეგ ვცდილობ, ყოველთვის ბოლომდე ვიბრძოლო, როგორი სიტუაციაც არ უნდა იყოს.

*–ცხოვრების შესახებ*

— ხშირად დავდივარ სიმსივნით დაავადებული ბავშვების საავადმყოფოში. წაგებით გაღიზიანებული იქ რომ შევდივარ, სულ სხვა სამყაროში ვხვდები. ბავშვები საოცრად მამაცები არიან, იციან, რომ შეიძლება ვერ გადარჩნენ, მაგრამ მაინც იღიმებიან, მხიარულობენ, მე კი აქ რაღაც თამაშის გამო ცოფებს ვყრი. მაშინ ხვდები, რა არის მთავარი ცხოვრებაში. იმის თქმა არ მინდა, რომ წაგება არ მაღელვებს, ცხადია, მოგება ძალიან მახარებს, მაგრამ ჩემი ოჯახის მწარე გამოცდილებამ გაცილებით უკეთ მასწავლა ცხოვრება.

*–მომავალი თაობები*

— არ მინდა, გამიხსენონ, როგორც ჩოგბურთელი, რომელსაც დიდი ნიჭი ჰქონდა და ვერ გამოიყენა. მინდა, ბავშვებმა ჩემზე თქვან, რომ გავიზრდები, მის მსგავსად ვითამაშებო. ვფიქრობ, ეს ყველა სპორტსმენის ოცნებაა.

# კაცი ტკბილად მოუბარი

**ტულუზი. საფრანგეთი. „ადიდასის ღია პირველობა“. დარბაზი, ჰარდი. საპრიზო 400 ათასი $**

ორი წლის წინ ამ დროს მარსელო რიოსი მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახლდათ, ტურნირს ტურნირზე იგებდა და მიუხედავად იმისა, რომ უჟმური ხასიათი აქვს, უამრავი ქომაგიც ჰყავდა. მშობლიურ ჩილეში ხომ ლამის ღმერთად მიაჩნდათ. ჩია სამხრეთამერიკელს გაცილებით მეტის მიღწევაც შეეძლო, მაგრამ დაუსრულებელმა ტრავმებმა, ოპერაციებმა, საავადმყოფოდან საავადმყოფოში სიარულმა და ფორმის აღდგენისთვის ზრუნვამ თამაშის დრო აღარ დაუტოვა.

რიოსი ამჟამად მხოლოდ 33-ეა წლევანდელი შედეგებით და ბევრ ტურნირზე განთესილთა შორისაც კი ველარ ხვდება. თუმცა მას უკეთესი მომავლის იმედი არ დაუკარგავს: „დეკემბერში, საზარდულის ოპერაციის შემდეგ ქირურგებმა მითხრეს, რომ ბოლომდე გამოჯანმრთელებას 12 თვე დასჭირდებოდა. ახლა ოქტომბერია და თავს უკვე შესანიშნავად ვგრძნობ, ფეხი აღარ მტკივა. თავისუფლად ჯერაც ვერ დავრბივარ, მაგრამ სისწრაფე თანდათან მიბრუნდება. ვაპირებ, კლასიფიკაციაში ძველი ადგილი დავიბრუნო, 33-ე რეალურად არ ასახავს ჩემს შესაძლებლობებს“.

ტულუზში პირველ წრეში რიოსმა ესპანელი ფერნანდო ვისენტე დაამარცხა 6:4, 3:6, 6:2 და მისთვის უჩვეულოდ პრესკონფერენციაზე ენად გაიკრიფა. კიდევ უფრო გასაკვირი ის იყო, რომ მარსელომ სხვებისთვის ტკბილი სიტყვა გაიმეტა, 20 წლის რუსი მარატ საფინი შეაქო: „ის ძალიან ნიჭიერია, მძლავრი დარტყმებით გამოირჩევა და შესანიშნავ სეზონს ატარებს. თუმცა გაისად, ალბათ, გაუჭირდება. სულ ასეთ დონეზე თამაში ძნელია“.

**პირველი წრე: ალექს კორეჩა (1, ესპანეთი) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 6:1, 6:2; მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) — ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი) 6:2, 7:6 (11:9); კარლოს მოია (ესპანეთი) — იუნეს ელ აინაუი (4, მაროკო) 6:7 (7:9), 6:4, 6:2; ჟან-მაიკლ გემბილი (5, აშშ) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:7 (7:9), 7:6 (8:6), 6:3; ჰიშამ არაზი (მაროკო) — გრეგ რუზედსკი (ინგლისი) 6:3, 6:4.**

**ლინცის ღია პირველობა. ავსტრია. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 535 ათასი $**

**პირველი წრე: ამელი მორესმო (6, საფრანგეთი) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:7 (6:8), 7:5, 2:0 — ტრავმა; კარა ბლეძი (ზიმბაბვე) — ელენა დემენტიევა (7, რუსეთი) 7:5, 6:3, დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) — სილვია ტალაია (8, ხორვატია) 7:6 (7:2), 6:2; ბარბარა შეტი (ავსტრია) — სილვია პლიშკე (ავსტრია) 7:5, 6:1; ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:4, 6:1.**

**ავთანდილ სვანიძე**



მარსელო რიოსი



BT Global Challenge
The world's toughest yacht race

**რეგატა «BT გლობალ ჩელენჯი»**

# იდუმალ ადგილას

**ამ წუთებისთვის** „BT გლობალ ჩელენჯი“ „ტაიმს კლიპერს რეისისგან“ გარეგნულად არ განსხვავდება. რეგატების სამარშრუტო რუკებზე ორივეგან ორი ლიდერი ჩანს და დანარჩენები მეტ-ნაკლებად შეკრულ ჯგუფად მათ ოდნავ მოშორებით მისდევენ, მაგრამ თუ 18-19 ოქტომბრის გასაყარმა ატლანტის აღმოსავლეთში ძლიერ მშვიდად ჩაიარა, ამ დროს დასავლეთში იახტებს კინაღამ დიდი თავგადასავალი გადახდათ.

დავიწყოთ იქიდან, რომ რეგატა ბერმუდის სამკუთხედის მიდამოებს მიადგა. უკვე მოშლილიყო იახტების ერთიანი მსვლელობა, საიდანაც 18 ოქტომბრისთვის მხოლოდ ზარმაცი „ნორვიჩ იუნიონი“ ჩანდა ამოვარდნილი. ღამით „ოლიმპიკ გრუპმა“ და „სერკომ“ გაილალეს, ოღონდ ნიკოლას ფენტონმა მენლი ჰოპკინსზე უკეთ წარმართა თავის მეზღვაურთა ქმედებანი და განთიადისას „სერკო“ მოწინავე გახდა, მაგრამ „ოლიმპიკი“ ჩამორჩენას არად აგდებს და 1 მილის დაშორებით მიჰყვება წინგაჭრილს. ეს ორი იახტა ახლა ბერმუდის კუნძულებს შორის მიცურავს, მაგრამ ნაპირთან, ცხადია, არ გაჩერდება, ეტაპის სამიზნე ბუენოს აირესია.

სწორედ მაშინ, როცა „სერკო“ და „ოლიმპიკი“ წინგასაჭრელად ემზადებოდნენ, აუტსაიდერმა „ნორვიჩ იუნიონმა“ მოხეტიალე რაინდობას მიჰყო ხელი, დასავლეთისკენ მკვეთრად შეტრიალდა და იმ ავბედითი რაიონისკენ გასწია, რომელიც ბერმუდის კუნძულებსა და ამერიკის კონტინენტს შორისაა. მანდ სხვადასხვა დროს რამდენიმე გემი დაიკარგა და ადამიანებს „ბერმუდის საიდუმლოზე“ ლაპარაკის საბაბი მიეცათ. შეიძლებოდა, „ნორვიჩიც“ დაკარგულიყო, მაგრამ მიზეზი რაიმე მისტიკური კი არა, უბრალოდ, ჰაერის მასების ზესწრაფი გადაადგილება იქნებოდა — ქარის სიჩქარე ჯერ შტორმის დონემდე აიწია (45-55 კვანძი), მერე კი უფრო გამძვინვარდა და ქარიშხლად იქცა (65-80 კვანძი). საბედნიეროდ, ეს ყველაფერი ეულ „ნორვიჩსა“ და ჯგუფს შორის დარჩენილ სივრცეში დატრიალდა, ამიტომ არანაირი კატასტროფა არ მომხდარა, იახტებზე მშვიდობა სუფევს, ხოლო „ნორვიჩს“ განმარტოებამ ვერაფერი უშველა. იგი ისევ ბოლოშია.

**II ეტაპი**

ბოსტონი — ბუენოს აირესი
19 ოქტომბრის ვითარება

| | | |
|---|---|---|
| „სერკო“ | 5145 | 0 |
| „ოლიმპიკ გრუპი“ | 5146 | 1 |
| „ელ-ჯი ფლატრონი“ | 5175 | 30 |
| „ქუადსტოუნი“ | 5187 | 42 |
| „აილ ოფ მენი“ | 5191 | 46 |
| „კომპაქი“ | 5193 | 48 |
| „ლოჯიკე“ | 5194 | 49 |
| „ტიიმ სპირიტი“ | 5208 | 63 |
| „ბი-პი“ | 5224 | 79 |
| „სპირიტ ოფ ჰონკონგ“ | 5226 | 81 |
| „ვერიტასი“ | 5255 | 110 |
| „ნორვიჩ იუნიონი“ | 5367 | 222 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი (საზღვაო მილებში) ფინიშამდე, მესამეში — ჩამორჩენა ლიდერთან*

THE TIMES Clipper 2000 RACE VIEWER

**რეგატა «ტაიმს კლიპერ 2000»**

# დუეტი დუელს განაგრძობს

**გუშინწინს** აქეთ დაწინაურებულებმა — „ბრისტოლმა“ და „პლიმუთმა“ თავიანთი უპირატესობა განამტკიცეს, მდევრებს ხუთიოდე მილი კიდევ მოუგეს და პერსპექტივაც გვარიანი აქვთ. მათ თავზე ცივმა ფრონტმა გადაიარა და ქარი მოაღონიერა. იგი ვერ ქრის მთლად ზურგიდან, მაგრამ 7-8 კვანძი სიჩქარისთვის საკმარისია და ეს მაშინ, როცა დანარჩენები 2-დან 5-მდე კვანძის ფარგლებში მიცურავენ. ამინდის პროგნოზით, ქარი ორიოდ დღეს მაინც არ გაძლიერდება და თუ არაფერი შეიცვალა, ლიდერები მომდევნო 24 საათში 50 მილს მაინც მოიგებენ.

უშუალოდ მათი დუელი დაძაბულია. ხანგრძლივი პაექრობის შემდეგ ამ დროისთვის კვლავ „პლიმუთი“ დაწინაურდა, ოღონდ არა ისე, წინ გაჭრაზე ლაპარაკი შეიძლებოდეს, კორნუოლელები მეტოქეს მხოლოდ ცალი მილით უსწრებენ და როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, შეიძლება რეგატის თავში ისევ „ბრისტოლი“ იყოს. მესამეზე „ჯერსი“ მიცურავს. კუნძულელებმა ბოლო 12 საათში 67 მილი გალიეს და ბოლოსწინიდან ფრიად საპატიო ადგილს უწიეს. პირველი სამეულიდან განდევნილმა „ლივერპულმა“ სულ ოდნავ დაიხია, ხოლო მეხუთე-მეშვიდე ადგილებს თანაბარი შედეგით „ლიდსი“, „გლაზგო“ და „პორტსმუთი“ იყოფენ. ამათგან ბოლო ორის გამორჩევა ღირს. მათი გრძელი და განედი სრულიად ერთნაირია, ამიტომ წარმოგიდგენთ შემდეგ სურათს: ბისკაის ყურისა და ატლანტის ოკეანის საზღვარზე ერთმანეთს ჩახუტებული ორი იახტა მიცურავს. ეკიპაჟთა წევრები დასვენების წუთებში მეტოქე ზღვაოსნებს ებაასებიან (ხმამაღლა) და ვინძლო ზოგჯერ რაიმე სუვენირიც გადაუგდონ.

მთლად ასე რომ არ იქნება, ცხადია, მაგრამ საფუძველს რეგატის ანგარიში გვაძლევს.

**დავით გულუა**

**I ეტაპი**

პორტსმუთი — ვილამურა
19 ოქტომბრის ვითარება

| | | |
|---|---|---|
| „პლიმუთი“ | 504 | 0 |
| „ბრისტოლი“ | 505 | 1 |
| „ჯერსი“ | 542 | 38 |
| „ლივერპული“ | 546 | 42 |
| „ლიდსი“ | 552 | 48 |
| „პორტსმუთი“ | 552 | 48 |
| „გლაზგო“ | 552 | 48 |
| „ლონდონი“ | 561 | 57 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი (საზღვაო მილებში) ფინიშამდე, მესამეში — ჩამორჩენა ლიდერთან*

## ველორბოლა

# სავარაუდო რეკორდი

**ავსტრალიელმა** ქალმა ველომრბოლმა ანა უილსონმა ოთხშაბათს მელბურნის ველოდრომზე ერთ საათში 43,501 კილომეტრი გაიარა. თანაც ეს ძველი მოდელის, ეგრეთ წოდებული კლასიკური ველოსიპედით მოახერხა და რამდენიმე კვირაში მის შედეგს, სავარაუდოდ, მსოფლიოს ახალ რეკორდადაც გამოაცხადებენ.

წესით უილსონისთვის რეკორდს(ვუ)მენობა უკვე უნდა მიგველოცა, მაგრამ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი, (ვსკ) ცოტა არ იყოს დაბნეულად იქცევა. მას ჯერ კიდევ არ დაუდგენია, ადრე ნაჩვენებ შედეგთაგან რომელს თვლის მსოფლიოს ბოლო რეკორდად.



ანა უილსონი

საქმე ისაა, რომ ვსკ-მ რამდენიმე ხნის წინ თავისი წესები შეცვალა და განაცხადა, რომ ტექნიკურად გაუმჯობესებული ველოსიპედებით დამყარებული რეკორდები რეკორდებად აღარ ითვლებიან და ისინი მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო შედეგებად უნდა მოიხსენიონ. წარსულში ამ დაბრუნების შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით და მაშინ გაცნობეთ, რომ კაცთა შორის ახალ რეკორდად ლეგენდარული ედი მერქსის 1972 წელს ნაჩვენები შედეგი (49,431 კმ) გამოაცხადეს, რომლის დამხობასაც 27 ოქტომბერს მანჩესტერში დიდბრიტანელი კრის ბორდმანი შეეცდება. აი, ქალებში კი საქმე სხვაგვარადაა. ვსკ-ს ჯერაც ვერ დაუდგენია, ბოლოს როდის დაამყარეს რეკორდი დიაცებმა კლასიკური ველოსიპედით. „გადაწყვეტილებას ამის შესახებ ნოემბერში მივიღებთ. გაჭინაურების მიზეზი კი ის არის, რომ თითოეული შედეგი ცალ-ცალკეა შესასწავლი და უნდა ვნახოთ, აკმაყოფილებენ თუ არა ისინი ჩვენს ახალ წესებს“ - განუცხადა ოთხშაბათს სააგენტო „ფრანს პრესს“ ვსკ-ს ერთ-ერთმა ჩინოსანმა.

სამუშაო კი მართლაც ბევრია, რადგან 1984 წელს იტალიელი ფრანჩესკო მოზერის მიერ ტექნიკურად გაუმჯობესებული ველოსიპედის პირველად გამოყენების შემდეგ რეკორდები წვიმასავით წამოვიდა. მარტო ფრანგმა მანდილოსანმა ჟანი ლონგომ შვიდჯერ გააუმჯობესა ადრინდელი მიღწევა. ახალი წესების შემოღებამდე ბოლო რეკორდიც სწორედ მისი იყო (48,159 კმ).

ანა უილსონმა 1978 წლის 16 სექტემბერს მიუნხენში ჰოლანდიელი კორნელია ვან ოოსტენის მიერ ნაჩვენები შედეგი (43,082 კმ) გააუმჯობესა და რადგან, ალბათ, სწორედ ვან ოოსტენს გამოაცხადებენ რეკორდსმენად, ამიტომაც ითვლება ავსტრალიელი მსოფლიოს სავარაუდო რეკორდის ახალ მფლობელად.

უილსონმა 250 მეტრიან ტრეკზე ირბოლა და მერე თქვა, რომ მისთვის ეს იყო „სეზონის მაჟორულ ნოტაზე დამთავრების უკანასკნელი შესაძლებლობა“. ახლახან სიდნეიში დასრულებულ ოლიმპიურ თამაშებზე პროფესიით ადვოკატ მრბოლს მედლამდე ორჯერ ძალიან ცოტა დააკლდა. იგი ჯგუფურსა და ინდივიდუალურ რბოლაშიც მეოთხე ადგილზე გავიდა.

**გაიოზ თალაკვაძე**

## ცურვა

# სწრაფი ცურვის რეცეპტი

**დიდი** გაუმაძღრები ყოფილან ეს მოცურავეები. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე საერთაშორისო საწყლოსნო ცენტრში მათ მიერ 15 მსოფლიოს რეკორდით გამოწვეული შტორმი ჯერ კიდევ არ ჩამცხრარა, რომ სიდნეის მეზობელ ქალაქ მელბურნში კიდევ ერთი ასეთი მიღწევა დაფიქსირდა.

ავსტრალიელმა მეტ უელშმა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში მელბურნის სპორტისა და საწყლოსნო ცენტრის „პატარა წყლის“ ჩემპიონატზე სახელოვანი ამერიკელის ლენი კრეიზელბურგის რეკორდი (1.52,43) გააუმჯობესა — 1.51,62.

— ასპარეზობისას სულ იმას ვფიქრობდი, ახლა ლენიც რომ აქ იყოს, ნეტავ რამდენით გამასწრებდა-მეთქი. წარმოვიდგინე, რომ ის ჩემზე წინ მიაპობდა წყლის მოსარკულ ზედაპირს — ამბობს 23 წლის ოზი, რომელსაც მსოფლიოს რეკორდის დამყარებისთვის საჭირო რეცეპტისთვის მიუგნია — ფინიშისას მაყურებელთა ღრიალი მესმოდა. ვიფიქრე, ალბათ ჩემს ჩემპიონობას ზეიმობენ-მეთქი, მაგრამ როდესაც ელექტრო ტაბლოს შევხედე, სახტად დავრჩი — ეს ხომ მსოფლიოს რეკორდი იყო

უელში ამასთან იმედოვნებს, რომ დეკემბერში, მელბურნის მსოფლიოს თასის ეტაპზე წარმოსახვით კრეიზელბურგისგან განსხვავებით ნამდვილ ლენისთან მოუწევს პაექრობა, მითუმეტეს, რომ მასთან ძველი ანგარიშებიც გასასწორებელი აქვს.

საქმე ისაა, რომ სიდნეის ოლიმპიადაზე გაიანკებულმა ოდესელმა 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ჩემპიონობა არ დაანება ავსტრალიელს, რომელსაც ამ დისტანციებზე ვერცხლი და ბრინჯაო ხვდა წილად.

**გიგა გურასყმვილი**

## კარატე

# ტატას პირველი ოქრო

**ახლახან** იტალიურმა რიჩიონემ ვადორიუ კარატეს მე-9 ევროპირველობას უმასპინძლა. 18 ქვეყნიდან 400-მდე მოზრდილი და იუნიორი ჩავიდა რიჩიონეში და შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებსა და წონით კატეგორიებში განაწილდა.

ქართველ ყმაწვილებს კონტინენტის ჩემპიონატზე ადრეც უასპარეზიათ. გასულ წელს მათ 1 ოქროს, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს, მაგრამ წლეულს ახალი აღსანიშნავი ამბავი მოხდა: 55 კილოიანებში მებრძოლი ტატა შვანგირაძე პირველი ქართველი გოგონა შეიქნა, რომელმაც ევროპის იუნიორთა ჩემპიონობა მოიპოვა. შვანგირაძემ ფინალამდე (ჩემპიონატი ოლიმპიური სისტემით მოეწყო) ორ მეტოქეს მოუგო, ბოლოს კი ძლიერი ბელგიელიც 4:2 დაამარცხა და ოქროს მედალს დაეპატრონა. მომავალ წელს დომინიკის რესპუბლიკაში ვადორიუ კარატეს მსოფლიო პირველობაა დაგეგმილი და ტატას მასზე მოხვედრაც ერთობ სასურველია, თუმც ფინანსურად ეს საკმაოდ ძნელი ამოცანაა. იტალიაში გოგონა საქართველოს ვადორიუ კარატეს ფედერაციის ფინანსებითა და თბილისის მერიის სპორტული სამმართველოს თავმჯდომარის, ვლადიმერ კანკავას მხარდაჭერით გაემგზავრა, მაგრამ დომინიკაში წასვლა იტალიაზე ბევრად მეტი დაჯდება. იგი შორსაა...

## ოლიმპიზმი

# ბრიტანელებმა ხელი გაშალეს

**ბრიტანელებმა** სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მიღწეული შედეგებით იმდენად აღაფრთოვანეს თავიანთი ხელისუფლება, რომ ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის სპორტსმენთა მოსამზადებლად ყოველწლიურად 36 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოყოს. მთავრობის ხელგაშლილობის მიზეზი ალბიონელთა 28 ოლიმპიური მედალია, მათგან 11 ოქროსი.

საინტერესოა, რომ 1920 წლის ანტვერპენის ოლიმპიადიდან მოყოლებული ბრიტანელებს ასე წარმატებულად არასოდეს უასპარეზიათ.




გერმანული ფირმის OTTO
OTTO SCHWAB VERSAND
ოფიციალური წარმომადგენლობა
საქართველოში გთავაზობთ
კატალოგებში წარმოდგენილი
ევროპული სტანდარტის საქონლის
გამოწერას გერმანიიდან

მისამართი: ალმაშენებლის 172
(გერმანიის საელჩოს გვერდით)
ტელეფონები: 35 17 95; 8 77 45 97 29
ვმუშაობთ ყოველდღე 11-დან 19 საათამდე

www.otto.de


## ჰოკეი

# უმადური ფრენსისი

18 ოქტომბერი

**კოლუმბია — კოლორადო 1:5**

**1:1 0:2 0:2**

**1:0 რაიტი 3'06 (2); 1:1 ტანგეი 12'06 (2); 1:2 ფორსბერგი 25'44 (4); 1:3 მილერი 39'40 (1); 1:4 ფორსბერგი 48'57 (5); 1:5 ჰინოტი 54'11 (1)**

ახლა სულ 447 მოგებაღა და... კოლორადოს ახალბედა მეკარეს დევიდ აებიშერს გუშინ დებიუტი ჰქონდა ლიგაში და თავისი სახელოვანი პარტნიორის, პატრიკ რუას რეკორდის დასამხობად პირველი ნაბიჯი გადადგა. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, მაგრამ რუამ წინა თამაშში დიდი ემოციური დატვირთვა მიიღო და დასვენება აშკარად სჭირდებოდა. ამიტომაც კოლორადოელებმა კარში 22 წლის შვეიცარიელი ჩააყენეს, მით უმეტეს, რომ მეტოქე სუსტი ჰყავდათ. მართალია, აებიშერმა პირველივე დარტყმა ვერ მოიგერია, მაგრამ მერე თავს მოერია და თამაშის დანარჩენი ნაწილი დამაჯერებლად ჩაატარა, თუმც პარტნიორებიც ძალიან დაეხმარნენ. მათგან საუკეთესო პეტერ ფორსბერგი გახლდათ, რომელიც სულ უფრო უკეთ გამოიყურება. შვედმა შეხვედრა 4 (2+2) ქულით დაასრულა.

**დალასი — სან ხოსე 2:1**

**0:0 1:0 1:1**

**1:0 მოროუ 21'43 (3); 2:0 ბუკი 41'39 (1; 2:1 ფრიზენი 46'11 (1)**

„დღეს ისე ვითამაშეთ, როგორც საჭიროა და მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქე მისსავე ნახევარზე ჩავკეტეთ“ — დალასის თავკაცი კენ ჰიჩკოკი ამჯერად კმაყოფილი იყო. ახლახან ნაოპერაციევი ოუენ ნოლანის და გერი სუტერის არყოფნაში „ზვიგენები“ მართლაც უნიათოდ ირჯებოდნენ და ამიტომაც დალასის მეკარე ედ ბელფორმა გვარიანად დაისვენა (12 მოგერიება).

**პიტსბურგი — კაროლინა 2:3**

**0:0 1:3 1:0**

**0:1 ფლინა 25'01 (2); 0:2 დიმაიო 25'36 (2); 1:2 ლანგი 30'35 (3); 1:3 ფრენსისი 37'00 (1); 2:3 ბერანეკი 49'18 (1)**

შეხვედრის დაწყებამდე რონ ფრენსისს, რომელიც წლების მანძილზე თამაშობდა პიტსბურგში, საგანგებო მილება მოუწყვეს, რადგან იგი ჟურნალისტებმა „პინგვინთა“ ყველა დროის საუკეთესო ექვსეულში დაასახელეს. საპასუხოდ აწ უკვე კაროლინელმა ვეტერანმა ყველაზე მეტად გააწბილა პიტსბურგი — მატჩის გადამწყვეტი შაიბა შეაგდო.

**ჩიკაგო — რეინჯერსი 2:4**

**1:2 0:0 1:2**

**0:1 გრეიკსი 9'37 (1); 1:1 სალივანი 12'39 (2); 1:2 კამენსკი 19'40 (2); 1:3 პლავაჩი 50'05 (2); 1:4 ფლერი 59'00 (4); 2:4 მაკამონდი 59'29 (1)**

მარკ მესიეს მისვლამ აშკარად გამოაცოცხლა რეინჯერსის „პენსიონერები“. წლეულს ვალერი კამენსკი (1+1), ადამ გრეივსი და სხვები გაცილებით უკეთ გამოიყურებიან და გუნდი მხოლოდ პეტრ ნედველის ჩეხური ხაზის იმედზე როდია.

**ფინიქსი — ფლორიდა 2:1**

**0:1 0:0 1:0 1:0**

**0:1 პედიკანი 3'03 (1); 1:1 ლუმე 45'04 (2); 2:1 ტიუნო 61'15 (2)**

ფლორიდას ასეთი ცუდი სტარტი ისტორიას არ ახსოვს — 4 მატჩში 3 ქულა და არც ერთი მოგება.

**ვანკუვერი — კალგარი 4:1**

**1:0 2:0 1:1**

**1:0 ბერონი 14'49 (1); 2:0 ჰოგუდი 24'22 (1); 3:0 ნესლუნდი 33'31 (6); 4:0 ჰ. სედინი 51'57 (2); 4:1 უილმი 59'55 (2)**

ტყუპი სედინები სულ უფრო და უფრო ეჩვევიან ლიგას. ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა 15 წუთით უფროსმა ჰენრიკმა, ხოლო დანიელი მეოთხე თამაშია, უქულოდ არ რჩება, თუმც საუკეთესო ამჯერად მაინც ვანკუვერის მეკარე ფელიქს პოტვინი იყო. მას შემდეგ, რაც „კატამ“ პირველ სამ მატჩში 14 გოლი გაუშვა, გუნდში ადგილის დაკარგვის საფრთხე დაემუქრა და ახლა ცდილობს, მწვრთნელთა ნდობა დაიბრუნოს.

**მინესოტა — ტამპა 6:5**

**0:1 4:1 2:3**

**0:1 ლეკავალიე 6'52 (3); 1:1 სუშინსკი 20'50 (3); 1:2 რიჩარდსი 29'26 (2); 2:2 სტიუარტი 33'12 (1); 3:2 სუშინსკი 35'05 (4); 4:2 პელერინი 38'11 (1); 4:3 ულრინერი 43'47 (2); 4:4 ხარიტონოვი 54'27 (1); 5:4 გაბორიკი 57'32 (3); 6:4 გაბორიკი 59'02 (4); 6:5 მოდინი 59'49 (3)**

**სამველ ლარიბიანი**




REUTERS ფოტოქრონიკა

ვანკუვერელმა მარკუს ნესლუნდმა კალგარის მეკარე მაიკ ვერნონს შაიბაც შეუგდო და თავზეც გადაახტა

# ბოისამ იტალიელები გააჩუმა და სლოვენიელები აალაპარაკა

## ქართველი ფორვარდი მატჩის გმირად შერაცხეს

**კორაჩის თასი. მეორე შესარჩევი ეტაპი. I მატჩი**

**სლოვანი (სლოვენია) — ტრიესტი (იტალია) 86:69**

**სლოვანი:** ბოისა (22), კოკალი (3), კოვაჩი, ლაკოვიჩი (19), მარავიჩი (24), ნოვაკი (3), პავიჩი (4), ცქიტიშვილი (2), უგრეხელიძე (6), ჟაკელი (3)
**ტრიესტი:** კალაბრია (13), კაზოლი (5), ლაეცა (14), მოლტედო, პენი (17), პოდესტა (11), შოუ (9)

კორაჩის თასის პირველ ეტაპზე ავსტრიული „კაპფენბერგის" იოლად დაჩაგვრის შემდეგ, ჩანს, ქართველების „სლოვანმა" საკუთარი ძალისა ირწმუნა და შინ, ლიუბლიანაში გაცილებით ძლიერი მეტოქე, იტალიური „ტრიესტაც" ბეჭებზე გააკრა. საპასუხო მატჩის წინ, რომელიც ერთი კვირის შემდეგ იტალიაში გაიმართება, „სლოვანმა" ქულათა დიდი მარაგი შეიქმნა და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა კორაჩის თასის ჯგუფურ ტურნირში შესაღწევად.

გუშინწინდელ მატჩში შეუდარებელი იყო ჩვენებური ვლადიმერ ბოისა, რომელიც თანაგუნდელ მარავიჩთან ერთად წინ გაუძღვა „სლოვანს". ვოვამ 22 ქულა, 8 მოხსნა, 1 ჩაჭრა და ორიც დაფარება ჩაიწერა თავის აქტივში, რაც, დაგვეთანხმებით, ბრწყინვალე შედეგია. ბოისასთან შედარებით დანარჩენი ქართველების — უგრეხელიძისა და ცქიტიშვილის საამმატჩო მონაგარი, ცხადია, მოკრძალებულია, თუმც უქმად მოედანზე არც ისინი ყოფილან. დავით უგრეხელიძემ, რომელიც სადღეისოდ „სლოვანის" მირითად ცენტრად ითვლება, ფარზე კაციშვილი არ გააჭაჭანა და მთლიანობაში ყველაზე ბევრჯერ, ცხრაჯერ მოხსნა ბურთი.

„მეტოქე კარგად შევისწავლეთ — გვიამბობს ვლადიმერ ბოისა — ვიცოდით, ძლიერ გუნდთან გვქონდა საქმე, ფავორიტადაც „ტრიესტი" მიიჩნეოდა და მათთან სათამაშოდ სერიოზულად ვემზადებოდით. იტალიელთა ორი შეხვედრის ვიდეოჩანაწერი ვნახეთ და საგულდაგულოდ გავარჩიეთ. ასე რომ, წინდაწინვე შევისწავლეთ მათი სათამაშო სტილი და ნაწილობრივ ტაქტიკაც.

ამის შემდეგ ყველაფერი ჩვენზე იყო დამოკიდებული და გავუმართლეთ კიდეც მწვრთნელს, ტომო მაჰორიჩს. მოსაგებად „სლოვანის" თითოეულმა მოთამაშემ, რაც შეეძლო, ყველაფერი გაიღო და შედეგმაც არ დაახანა. თავიდანვე კარგად აეწყო ჩვენი საქმე, ყველაფერი გამოგვივიდა. მეტოქე დაბნეული ჩანდა, მაგრამ იოლად არაფერს თმობდა. ეტყობა, რომ მაღალი კლასის გუნდია „ტრიესტი", თუმც ჩვენმა შემართებამ უკვალოდ არ ჩაიარა.

რაც მთავარია, გუნდური თამაში ვაჩვენეთ, მაჰორიჩის დავალებები ზედმიწევნით შევასრულეთ, მოსაგებად ყველა ხერხი გამოვიყენეთ, ხშირად ვცვლიდით ტაქტიკას, რაც მოწინააღმდეგეს საშუალებას არ აძლევდა, საკუთარი კარნახით წარემართა მატჩი. ჩვენს კალათს ხან ზონურად ვიცავდით, ხან — პერსონალურად. იყო ეპიზოდები, პრესინგსაც მივმართეთ, ეს ყველაფერი ვარჯიშებზე არაერთხელ დავამუშავეთ.

სიმართლე გითხრათ, არ ველოდით, თუ ასეთი ანგარიშით ვიმარჯვებდით, თუმც მატჩის მსვლელობამ გაგვანახა, რომ მეტიც შეგვეძლო. ჩვენც ბევრი შეცდომა დავუშვით, მარტივ სიტუაციებში ბევრჯერ დავკარგეთ ბურთი, ეგ რომ არა, სხვაობა უფრო სოლიდური იქნებოდა. პირადად მე თავიდან დაცვაზე უფრო მეტად ვიყავი ორიენტირებული, მერე კი შეტევებში უფრო აქტიურად ჩავერთვე და წამივიდა კიდეც სროლა. ცქიტოს და უგრეს ფარზე თამაში ევალებოდათ, მათაც შეასრულეს დასახული ამოცანა.

მაჰორიჩი კმაყოფილი დარჩა თამაშით, შეგვაქო და გაგვაფრთხილა, არ დაგავიწყდეთ, წინ საპასუხო მატჩიაო. იტალიაში მართლაც უძნელესი ბრძოლა გველის, „ტრიესტი" კარგი გუნდია და 17 ქულით წაგების მიუხედავად, შემდგომ ეტაპზე გასვლას შეეცდება. გამორიცხული არაფერია, მაგრამ მაინც მეეჭვება, რომ იტალიაში 17 და მეტი ქულით დავმარცხდეთ. თუ სტუმრადაც ისეთივე მობილიზებულებმა ვითამაშეთ, როგორც შინ, ალბათ, იქაც ჩვენ გავიმარჯვებთ.


გია ახალკაცის ფოტო

ვლადიმერ ბოისა

რაც შეეხება პირადად ჩემს თამაშს, ვფიქრობ, ურიგოდ არ გამოვიყურებოდი. ამას ისიც მოწმობს, რომ სლოვენიის ცენტრალური ტელევიზიის კორესპონდენტმა მაინცდამაინც მე ამირჩია და შეხვედრის შემდეგ ინტერვიუ ჩამომართვა. სხვებმაც მითხრეს, მატჩის გმირი შენ იყავიო."

**გიორგი გიგაურიძე**

**კორაჩის თასი. II შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩები**

17-18 ოქტომბერი

აქილეასი (კვიპროსი) — ნიარ ისტი (საბერძნეთი) 70:106
არადი (რუმინეთი) — მაკაბი (რამათ განი, ისრაელი) 73:100
იგოკეა (ბოსნია) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) 78:75
ბინგოლი (ბელგია) — შოლე (საფრანგეთი) 77:79
ფრიბურგი (შვეიცარია) — დიჟონი (საფრანგეთი) 73:80
კასერესი (ესპანეთი) — უნიაუ (პორტუგალია) 75:67
ატლონი (ბელგია) — ხირონა (ესპანეთი) 83:70
კანარიასი (ესპანეთი) — ტელეკომი (პორტუგალია) 72:66
მონტეკატინი (იტალია) — მიტელდოიჩერი (გერმანია) 72:80
ოლიმპიკი (შვეიცარია) — იმოლა (იტალია) 20:0
*იმოლა საპორტას თასზე გადავიდა, ამიტომ კორაჩის თასზე ბრძოლას გამოეთიშა და ოლიმპიკი გავიდა ჯგუფურ ეტაპზე.*
ვურცბურგი (გერმანია) — პეკაესი (პოლონეთი) 89:89
რიეკა (ხორვატია) — ტელეკომი (თურქეთი) 101:92
სტრასბურგი (საფრანგეთი) — ჰერცოგტელი (გერმანია) 80:66
მონსი (ბელგია) — უნიკახა (ესპანეთი) 62:95
სლობოდა დიტა (ბოსნია) — გალათასარაი (თურქეთი) 70:64
ლევსკი (ბულგარეთი) — ბენსტონი (ხორვატია) 90:67
სლოვანი (სლოვენია) — ტრიესტი (იტალია) 86:69
ხიმკი (რუსეთი) — სუნდსვალი (შვედეთი) 86:75
ლოკომოტივი (რუსეთი) — სედერტელიე (შვედეთი) 76:54
მზტ (მაკედონია) — ვოივოდინა (იუგოსლავია) 78:81
იამბოლგაზი (ბულგარეთი) — ჟელეზნიკი (იუგოსლავია) 65:67
დარუშაფაკა (თურქეთი) — შიროკი (ბოსნია) 103:62
ობერვარტი (ავსტრია) — პროკომი (პოლონეთი) 72:87
შახტიორი (რუსეთი) — გროდნო (ბელარუსი) 97:53
სოლნოკი (უნგრეთი) — სენტ პიოლტენი (ავსტრია) 82:68
კოუვოტი (ფინეთი) — სპარტაკი (რუსეთი) 72:73
ატომერომუ (უნგრეთი) — ვიოლა (იტალია) 79:73
ოპავა (ჩეხეთი) — სავინსკი (სლოვენია) 91:62
ცსკა (ბულგარეთი) — ავტოდორი (რუსეთი) 75:109
ჰემოფარმი (იუგოსლავია) — აპოლონი (კვიპროსი) 75:50
ლე მანი (საფრანგეთი) — ამიგოსი (პორტუგალია) 104:74
ოკაპი (ბელგია) — რიკო (ჰოლანდია) 67:85

*საპასუხო მატჩები გაიმართება 24-25 ოქტომბერს*

***

***ბევრი მეკითხება, რატომ იწყება ასე დაგვიანებით საქართველოს მეათე ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში. გულშემატკივრებს ვაუწყებ, რომ 21 ოქტომბერს, როცა ჩემპიონატი ოფიციალურად გაიხსნება, ვერის ბაღში მისულთ სასიამოვნო სიურპრიზი ელით.***

# კარგი მაგალითიც გადამდებია

## იქნებ ახალ წესებს ახალი დროება მოჰყვეს

საქართველოს ჩემპიონატი

**ცოტა** შორიდან დავიწყებ. ამას წინათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა და მისმა მეგობარმა, თბილისის „დინამოს" ყოფილმა მოთამაშემ, ამჟამად კი ფირმა „ჯეოსელის" თანამშრომელმა ვაჟა ქუთათელაძემ მიმართეს „ჯეოსელის" გენერალურ მენეჯერ ჰაქან ერიქჰაის, გუნდისთვის სპონსორობა გაეწია. ბატონი ერაქჰაი დაინტერესდა გუნდის პერსპექტივით, სტუ-ს ხელმძღვანელობის კალათბურთელებისადმი დამოკიდებულებით და სპონსორობაზე დათანხმდა. თუმცა ამას არ დასჯერდა და გადაწყვიტა, ვერის ბაღში მდებარე მიხეილ კეკელიძის სახელობის კალათბურთის დარბაზი საფუძვლიანად გაერემონტებინა.

ხშირად მივდივარ დარბაზში და გაოცებული შევყურებ იქაურობას. თურმე რა შესძლებია მონდომებასა და საქმისადმი კეთილსინდისიერ მიდგომას! ნუგზარ ჭეიშვილი, ვაჟა ქუთათელაძე, სტუ-ს პრეზიდენტი მამუკა კაციტაძე და ბავშვთა საკალათბურთო სკოლის დირექტორი მერაბ კეკელიძე დილიდან გვიანობამდე ყოველნაირად ეხმარებიან მშენებლებს, რათა დროულად და ხარისხიანად შეკეთდეს სათამაშო მოედანი. თითქმის ხელახლა აიწყო ტაბლო, დამონტაჟდა განათების ახალი ქსელი, განახლდა გასახდელები და საშხაპეები. როგორც იქნა, არბიტრებიც ვეღირსეთ მსაჯთა ოთახს. დარბაზი, სხვადასხვა საჭიროებებისთვის, უზრუნველყოფილია ახალი მაგიდებით, სკამებითა და კარადებით. სახე იცვალა ტრიბუნასთან მისასვლელმაც.

ყველაფერ ამის ჩამოთვლა ადვილია, მაგრამ გაკეთება — მეტად ძნელი. თუ გავიხსენებთ, ბოლო წლებში მხოლოდ ბათუმში აღორძინდა საფუძვლიანად საკალათბურთო მეურნეობა. შეიქმნა საჩემპიონო გუნდი „ბასკო", თითქმის ახლიდან აშენდა ყოფილი ბავშვთა საკალათბურთო კომპლექსი. ევროპულ დონეზე გაეწყო როგორც სათამაშო მოედანი, ისე ყველა დამხმარე სათავსო. დამონტაჟდა ფიბა-ს მიერ რეკომენდირებული საკალათბურთო ფარები და ტაბლო. ბათუმის დარბაზის მსგავს განათებასა და გათბობას კი ბევრი ცნობილი სპორტული ნაგებობა ინატრებდა.

სასიამოვნოა, რომ ბათუმელთაგან მაგალითი არა მხოლოდ თბილისელებმა, არამედ რუსთაველებმაც აიღეს. იქ უკვე მიმდინარეობს „აზოტის" საკალათბურთო კომპლექსის რეკონსტრუქცია და მალე საქართველოს ჩემპიონატის მატჩები ახალ არენაზე გაიმართება.

ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ გასაკეთებელიც უამრავია. ვერის ბაღს დავუბრუნდეთ. ცხადია, „ჯეოსელი" ვერ გადაწყვეტს ყველა მის პრობლემას. სამომავლოდ აუცილებლად შესაცვლელია ფარები, შესაძენია თანამედროვე უნივერსალური ტაბლო, გათბობისთვის შემოსაყვანია ბუნებრივი აირი. ამ საკითხების მოსაგვარებლად საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ქალაქის მერიას მიმართა. იმედია, ამჯერად თხოვნას გულისხმიერად მოეკიდებიან და ვერის ბაღში „მცირე სპორტის სასახლე" გვექნება.

კარგი იქნება, თუ ამ კარგ საქმეს ქუთაისელებიც მოჰკიდებენ ხელს. როგორ შეიძლება, ქორქიების, საკანდელიძის, დერიუგინის და სხვა მრავალი სახელოვანი კალათბურთელის აღმზრდელ ქალაქში ამ სახეობას სათანადო ყურადღება არ ექცეოდეს. ბიუჯეტის სიმცირის მიუხედავად, ქუთაისისა და თბილისის ხელმძღვანელებმა იქნებ როგორმე მიიხედონ კალათბურთისკენ. სურვილი თუ იქნა, გზაც უეჭველად გამოინახება.

მეათე ეროვნული ბევრ სიახლეს შემოგვთავაზებს. უპირველეს ყოვლისა, შეიცვალა კალათბურთის წესები. ახალი წესები ძალაში 1 ოქტომბერს შევიდა. ჩვენი დუხჭირი ყოფიდან გამომდინარე, 1993 წლიდან საქართველოს არც ერთი წარმომადგენელი არ დასწრებია საერთაშორისო სემინარებს. ჩვენამდე აღწევს მხოლოდ ფიბა-ს მიერ გამოგზავნილი ცვლილებები, ხოლო იმის შესაძლებლობას, გავეცნოთ მათ კომენტარს, ვიდეომასალებსა და აზრთა შეჯერებას, მოკლებულნი ვართ. ვცდილობთ, ისევ რუსი და უკრაინელი მეგობრებისგან შევიტყოთ რაიმე. ამ მიზნით მოსკოვსა და კიევში ვიმყოფებოდი. იქ მიღებული ინფორმაციით (რა თქმა უნდა, იგი ისეთი სრულყოფილი არ გახლავთ, როგორც საერთაშორისო სემინარზე მიღებული), შევძელით მსაჯთა და მწვრთნელთა სემინარების მოწყობა თბილისსა და ბათუმში. მათ შეძლებისდაგვარად მივაწოდეთ ცნობები ახალი წესების შესახებ. ცხადია, ჩვენი ჩემპიონატიც ამ წესებით ჩატარდება.

სიახლეა ისიც, რომ მოხდება მსაჯთა ლიცენზირება. მსაჯები პირველად ჩააბარებენ ფიზიკური მომზადების ტესტებს. ისინი, ვინც წარმატებით გაივლიან ამ ეტაპს, შემდეგ კი თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდებსაც დასძლევენ, მიიღებენ სათანადო ლიცენზიას. მომავალი წლიდან ეს პროცედურა ჩემპიონატის დაწყებამდე ჩატარდება.

მეათე ეროვნულის მსაჯთა კორპუსი მნიშვნელოვნად ახალგაზრდული იქნება. არასდროს მითქვამს უარი რომელიმე მატჩის განსჯაზე, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ოფიციალურ შეხვედრებს აღარ ვიმსაჯებ, დროა, ახალგაზრდებმა იტვირთონ პასუხისმგებლობა. აღარ გამოვა მოედანზე გამოცდილი არბიტრი როლანდ გელოვანიც. მიუხედავად ამისა, ჩვენ მსაჯთა კორპუსს გვერდში დავუდგებით, ყველანაირად დავეხმარებით.

გამოჩნდა ახალი მსაჯიც და, რაც ყველაზე სასიამოვნოა, იგი რუსთავიდანაა. დავით მაჭავარიანი ბოლო წლებში ბავშვთა და სტუდენტების თამაშებს სჯიდა. ვფიქრობ, მისგან კარგი მსაჯი დადგება. მის გარდა საქართველოს ჩემპიონატს მოემსახურებიან: ქუთაისელები ზაზა მაჩალაძე და დავით ბერეკაშვილი, თბილისელები მაკა კუპატაძე, ზურაბ აბაშიძე, ლაშა თოიძე და თემურ სადღობელაშვილი, სამტრედიელი დავით ანდრიაძე. მატჩების კომისრები იქნებიან: მურმან ქურიძე, როლანდ ხომერიკი, თენგიზ ქიქოძე, ნოდარ დარახველიძე და როლანდ გელოვანი.

**მურმან ქურიძე**
**საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი; საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე**

## სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. I ტური. 19 ოქტომბერი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| ალბა 95:70 ლიეტუვოს რიტასი | პარტიზანი 75:69 პო ორტეზი |
| ვილერბანი 74:70 ცეპტერი | პლანია 76:84 ბაიერი |
| ცსკა 69:57 პანათინაიკოსი | ოსტენდე 79:65 ეფესი |
| | სკავოლინი 81:85 მაკაბი |



პარტიზანი — პო ორტეზი. პოელი როჯერ ესტელერი (ბურთით) ნენად ჩანაკის წინააღმდეგ

## ევროლიგა

ჯგუფური ეტაპი. I ტური. 16-19 ოქტომბერი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| ლუგანო 75:74 ზადარი | შარლერუა 80:68 პეტერბურგი |
| ფორტიტუდო 91:85 ჟალგირისი | აეკ 78:77 კინდერი |
| ესტუდიანტესი 86:91 პერისტერი | ციბონა 62:60 ტაუ |

| C ჯგუფი | D ჯგუფი |
|---|---|
| ოვარენზე 82:94 ჰაპოელი | ბუდუჩნოსტი 77:85 ბარსელონა |
| რეალი 75:73 ოლიმპიაკოსი | ლონდონ თაუერზი 86:61 სკაილაინერზი |
| ბენეტონი 69:71 ოლიმპია | პაოკ 97:94 მიულერი |

# დალასმა და დეტროიტმა ვეტერანებით ივაჭრეს

„დალას მავერიქსი" სეზონს ახალი მიზნებითა და შემადგენლობით ხვდება. ტეხასელებს, რომლებსაც უკვე ათი წელია, პლეი ოფი არ უნახავთ, წლეულს იქ მოხვედრა ამოუჭრიათ გულში. ძნელი საქმეა, მათ კონფერენციაში ბევრმა კარგმა გუნდმა მოიყარა თავი და დასავლეთის რვა საუკეთესოს შორის მოხვედრა არცთუ იოლი გახლავთ. ნათქვამია, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო და რამდენიმე თვის შემდეგ გამოჩნდება, მოახერხებს თუ არა „დალასი" დასახული ამოცანების განხორციელებას, მანამდე კი გუნდი უნდა დაკომპლექტდეს და კლუბის ხელმძღვანელობაც ჯერჯერობით ამაზე ზრუნავს.

ორი დღის წინ „დალასმა" და* „დეტროიტმა" მოთამაშეები გაცვალეს. ტეხასელებმა „დეტროიტს" გამთამაშებელი დანა ბაროსი დაუთმეს, სანაცვლოდ კი თავდამსხმელი ლოი ვოიტი და ახალბედა ფრთა ენსუ სისი მიიღეს. დალასელები იმედს განსაკუთრებით ვოიტზე ამყარებენ, რომელსაც ზურგს ნბა-ში თამაშის ათწლიანი გამოცდილება უმაგრებს. ვოიტმა კარიერა „ლოს ანჯელეს კლიპერსში" დაიწყო და ყოველთვის ხვდებოდა გუნდის სასტარტო ხუთეულში, თუმც შემდეგ მისი თამაში „დეტროიტში" გატარებულმა ორმა სეზონმა გაფერმკრთალა. იქ იგი სათადარიგოთა შორის ჩაიკარგა და სულ რამდენიმე წუთით თუ უწევდა მოედანზე შესვლა. ახლა ვოიტს იმედი აქვს, რომ ახალი დამრიგებლის, სახელოვანი დონ ნელსონის ხელში ძველ ფორმას აღიდგენს და ახალი, არცთუ ურიგო გუნდის განუყოფელი ნაწილი შეიქმნება. ვოიტს ნბა-ს 638 შეხვედრაში მიუღია მონაწილეობა, მისი შედეგიანობა მატჩში საშუალოდ 10,7 ქულა და 7,4 მოხსნაა.

„დალასის" მეორე ახალწვეულზე, ენსუ სილიზე ბევრი არაფერია ცნობილი. იგი 1998 წლის დრაფტში მეორე წრეში აირჩიეს, თუმც დღემდე არსად, არც ერთ მატჩში არ უთამაშია.

აწ უკვე დეტროიტელი დანა ბაროსის მდგომარეობა გარკვეულწილად ლოი ვოიტისას ჰგავს. იყო დრო, ბაროსი თამაშში საშუალოდ 20 ქულას აკეთებდა, მაგრამ უკვე რამდენიმე წელია, ვეტერანი, რომელმაც ნბა-ში თერთმეტი სეზონი გაატარა, არცთუ საუკეთესო ფორმაშია. „დეტროიტში" იგი, ალბათ, სათადარიგო გამთამაშებელი იქნება.

# მურნინგის ავადმყოფობამ შაკილიც კი დააფრთხო

ცუდ დღეშია „მაიამი ჰითი". გუნდის ლიდერი ალონზო მურნინგი თირკმელთან შექმნილი პრობლემების გამო მთელი სეზონით გამოეთიშა ჩემპიონატს და ვინ იცის, საერთოდ ეღირსება თუ არა მოედანზე დაბრუნება. რეალური საფრთხე ემუქრება მის ჯანმრთელობას, რომ აღარაფერი ვთქვათ სპორტულ კარიერაზე. მოვუსმინოთ კალათბურთელის მკურნალს, ნიუიორკელ დოქტორ ჯერალდ ეფიელს: „მურნინგის დაავადებას ფოკუსური გლომერულოსკლეროზი ეწოდება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც თირკმელის ფილტრები დაზიანებულია და შარდში პროტეინს და სისხლს უშვებს. დროთა განმავლობაში ფილტრები ჰკარგავენ ფუნქციას და ორგანო წყვეტს მუშაობას, რის შემდეგაც ადამიანი დაიღუპება, თუ თირკმელი არ გადაუნერგეს. ავადმყოფს ამ შემთხვევაში გაუმართლა, დაავადება განვითარების ადრეულ სტადიაზე აღმოჩნდა და ჯერჯერობით აუცილებელი არ არის, ორგანოს გადანერგვა, თუმც საჭიროა ექვსთვიანი ინტენსიური მკურნალობის კურსი. სამწუხაროდ, არ არსებობს იმის გარანტია, რომ პაციენტი მკურნალობის შემდეგ ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდება. ავადმყოფთა ნახევარზე მეტს ქრონიკული ფორმა უვითარდება". ექიმმა ეფიელმა ვერაფრით დაამშვიდა მურნინგი, მისი გუნდი თუ ასეულობით გულშემატკივარი. თავად მურნინგი, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ მის ორგანიზმს ავადმყოფობის ჭია ღრღნიდა, პირველად ამ ორშაბათს დაენახვა ხალხს, როცა მისმა კლუბმა ოფიციალური პრესკონფერენცია მოაწყო, რათა ეთქვა, რომ „ჰითის" საუკეთესო კალათბურთელი მინიმუმ ერთ წელს არ ითამაშებს.

ოკეანის გაღმა საკალათბურთო წრეებში ჭორები დაირხა, რომ შესაძლებელია, მურნინგი ნარკოტიკების ან დოპინგის „წყალობით" დაავადდა. ამ ჭორების არსებობას ის განაპირობებს, რომ ამერიკელ კალათბურთელებში დღესდღეობით დიდი პოპულარობით სარგებლობს კოკაინი, მარიხუანა და სტიმულატორები. თუმც დოქტორმა ეფიელმა თავისი კომპეტენტური სიტყვით გაფანტა ეს ჭორები. მისი თქმით, დღესდღეობით არათუ კარგად არაა შემუშავებული ამ დაავადებასთან ბრძოლის ხერხები, არამედ საერთოდაც უცნობია, რა იწვევს მას. ექიმმა იქვე აღნიშნა, რომ ეს ავადმყოფობა განსაკუთრებით შავკანიან მოსახლეობაში შეინიშნება.

კალათბურთელს ქვეყნის ყველა კუთხიდან მოსდის მეგობრების, ნაცნობების თუ უბრალოდ გულშემატკივრების გამამხნევებელი წერილები. მას განსაკუთრებით „სან ანტონიო სფურზის" მოთამაშე შონ ელიოტი თანაუგრძნობს და ამხნევებს. ეს გასაგებიცაა, ელიოტმა, ხომ საკუთარ თავზე გამოსცადა ამ ავბედითი სენის დამანგრეველი ძალა. სანანტონიოელი მკურნალობის კურსით ვერ გადარჩა და თირკმელის გადანერგვა დასჭირდა (ორგანო მას საკუთარმა ძმამ „აჩუქა"). „საშინელი სენია, ჩემს თავზე გამოვცადე. ალონზომ დამირეკა და რჩევა მთხოვა. არ ვიცი, ეს ისეთი რამაა, ვერაფერს ილონებ, რათა ავადმყოფობას თავი დააღწიო. ახლა ყველაფერი მის თირკმელზეა დამოკიდებული, თუ როგორ გაუძლებს ის მკურნალობას. ექიმები ამბობენ, რომ საბოლოო გამოჯანმრთელების შანსები ორმოცდაათი-ორმოცდაათზეა. იმედი მაქვს, ... იმ ორმოცდაათ პროცენტში მოხვდება, რომლებიც სენს თავს აღწევენ" — თქვა ელიოტმა.



ალონზო მურნინგს თავი ყოჩაღად უჭირავს

REUTERS

მურნინგს ამხნევებს ლეიკერსელი შაკილ ონილიც, გამაგრდი, ყველაფერი კარგად იქნებაო, თავად კი მურნინგის და ელიოტის შემთხვევებმა ისე დააფრთხო, მაშინვე ექიმებთან გაიქცა გასასინჯად, არიქა, მეც ხომ არაფერი მჭირსო. გვესმის მისი, ბრწყინვალე კარიერის ასე გაწყვეტა, ნამდვილად ვერაა სახარბიელო პერსპექტივა.

მაშ ასე, მურნინგი მინიმუმ ერთი წლით დააკლდება კალათბურთს და პირველ რიგში თავის გუნდს, „მაიამის". ცუდი ამბავია ამ გუნდისთვის, მაგრამ მურნინგის თირკმელს ხომ არ გადაყვებიან, მისი შემცვლელის მოძიებაა საჭირო და რაც შეიძლება სასწრაფოდ, რადგან ახალი სეზონი უკვე კარსაა მომდგარი. დიახ, ეს აუცილებელია, მაგრამ ძნელად შესასრულებელი. მურნინგი გუნდის ბომბარდირია, საუკეთესო მეფარეა, იგი უბრალოდ იმ „მაიამის" ლიდერია, რომელიც ამ სეზონში სულ მცირე, ფინალში გასვლას გეგმავდა, ახლა კი ეს არცთუ რეალურია. მურნინგი ძლიერია ორივე ფარზე, როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში, განსაკუთრებით ამ უკანასკნელში. იგი ღირსეულად დაასახელეს ბოლო ორ სეზონში დაცვის საუკეთესო მოთამაშედ. „მაიამის" დაცვითი ჯაჭვის მთავარი რგოლის ამოვარდნა კარგს არაფერს მოუტანს პატ რაილის გუნდს. მურნინგი სიმაღლით მხოლოდ 208 სანტიმეტრია, თუმც ცენტრისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება აქვს და ამ ამპლუაში მას მხოლოდ შაკილ ონილი თუ სჯობს. მწვრთნელ პატ რაილის არცთუ მრავალფეროვანი არჩევანი აქვს, თუმც რას იზამს. გამოცდილი რაილი იქნებ დუეინ კოზველს დაეყრდნოს, თუმც ეს უკანასკნელი, თავისი თამაშის ხარისხიდან გამომდინარე, ნაკლებად სანდოა, ვერც დაცვაში მუშაობს (ამას რაილი არავის აპატიებს) და თამაშშიც ხუთ ქულაზე მეტს იშვიათად აკეთებს.

პატ რაილიმ იქნებ სულაც უცენტროდ ათამაშოს თავისი გუნდი და მურნინგის ადგილზე თავდამსხმელი ბრაიან გრანტი დააყენოს, თუმც ეს გამოსავალი არაა. თანაც გრანტი ხშირად ტრავმიანობს. არადა, რაილი ყოველთვის მუშაობდა დიდ ცენტრებთან. 80-იან წლებში „ლეიკერსის" სათავეში ყოფნისას მის განკარგულებაში თვით. ქარიმ აბდულ-ჯაბარი იყო, 90-იან წლებში „ნიუ იორკსა" და „მაიამიში" შესაბამისად პატრიკ იუინგი და ალონზო მურნინგი. ახლა კი...

არის კიდევ ერთი გზა, სეზონი ჯერ არ დაწყებულა და იქნებ სხვა გუნდიდან მოხერხდეს ცენტრის გადაყვანა. „მაიამის" ხელფასების ჯამურ ფონდში კიდევ მოიძებნება სამი თუ ოთხი მილიონი, თუმც ამ ფულად ძნელია რიგიანი ცენტრის შოვნა. მით უმეტეს, რომ დღეს ნბა ამ ამპლუის კალათბურთელთა ერთგვარ დეფიციტს განიცდის. ბევრი მათგანი ტრავმას იშუშებს. მაგალითად, ლიტველები — ჟიდრუნას ილგაუსკასი და არვიდას საბონისი. ზაირელი დიკემბე მუტომბო კი მალარიას ებრძვის. „გვაქვს კიდევ დრო, ვინმე გადმოვიბიროთ — ამბობს რაილი -- თუ ეს არ მოხერხდა, გუნდის სათამაშო სქემის გადაწყობა მოგვიწევს, თუმც ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რაკი მთავარი დამცველი არ გვეყოლება, ამ მხრივ ყურადღებას მოვადუნებთ. ჯერჯერობით კი მოვიცდით".

დიახ, „მაიამი" იცდის, დრო კი მიდის, სეზონი კვირანახევარში იწყება და ვინ იცის, რას მოუტანს გუნდს, რომელსაც მანამდე თვალი ჩემპიონობაზე ეჭირა.

ირაკლი ფირცხვილი

# სილის მკვლელი ოთხი წლით ჩასვეს

მინესოტას შტატის ქალაქ მინეაპოლისის სასამართლომ გაასამართლა ვინმე სუკსანგოან პენსენი და ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თუ ვინმე იკითხავს, რა კავშირშია კალათბურთთან აქ ეს კაციო, ვუპასუხებთ, რომ იგი „მინესოტა ტიმბერვულვზის" ყოფილი მოთამაშის, მალიქ სილის სიკვდილის მიზეზი გახლავთ. ნახევარი წლის წინ ნასვამი პენსენი საკუთარი მანქანით შინ მიიჩქაროდა. მინეაპოლისის გარეუბანში მან საჭე ვერ დაიმორჩილა, თავისი გზიდან გადაუხვია და საპირისპიროდ მომავალ სილის მანქანას საშინელი სისწრაფით შეასკდა. სილი, რომელიც მეგობრისა და თანაგუნდელის, კევინ გარნეტის დაბადების დღიდან მოდიოდა, ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო პენსენი მხოლოდ დაჟეჟილობებითა და რამდენიმე ნაკაწრით გადარჩა.

პენსენმა დანაშაული აღიარა და არც თავი უმართლებია. სამაგიეროდ, მისი ადვოკატი დაჟინებით ცდილობდა კლიენტის უდანაშაულობის დამტკიცებას. მისი თქმით, კატასტროფის ადგილას გზის რემონტი მიმდინარეობდა. მაგრამ სასამართლომ სხვაგვარად განსაჯა. „როდესაც ბრალდებულმა გადაწყვიტა, რომ ნასვამი საჭეს მისჯდომოდა, მან საფრთხეში ჩააგდო თანამოქალაქეთა სიცოცხლე. მისი გადაწყვეტილება მალიქ სილის სიკვდილის მიზეზად იქცა" — თქვა მოსამართლე ენდრიუ დანიელსონმა და ბრალდებულს ოთხწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

პენსენის ადვოკატისგან განსხვავებით, დანაშაულის გამოსასყიდი ვადა იცოტავა გარდაცვლილის მეუღლემ, ლიზა სილიმ. „მე ვითხოვდი, ბრალდებულისთვის მაქსიმუმი სასჯელი დაგეკისრებინათ. მისი ოთხი წლით ჩაჯდომა მე ქმარს არ დამიბრუნებს და ჩემს ბავშვს — მამას, უთხრა მან მოსამართლეს, შემდეგ კი კალათბურთელის მკვლელს მიუბრუნდა და უთხრა — არა აქვს მნიშვნელობა, რაც აქ მოხდა და რამდენი მოგისაჯეს. სამაგიეროს ღმერთი მოგიზღავს".

მალიქ სილი 30 წლისა დაიღუპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS გეინსვილიდან

# პრეზიდენტი პრეზიდენტის თასზე



REUTERS გეინსვილიდან

*უილიამ (ბილ) ჯეფერსონ კლინტონი აქტიურად ჩაერთო ბოლო დროის საგოლფე პროცესებში. გეინსვილში პრეზიდენტის თასი უნდა გათამაშდეს და მთავარი ფიგურა ამერიკის პირველი კაცი (წლის ბოლომდე) იქნება. იგი ქალაქს ჩავიდა, საპატიო მცველთა „სმენას“ ამითვე უპასუხა და რობერტ ტ. ჯოუნსის გოლფ-კლუბს მიაშურა, სადაც ამერიკისა და დანარჩენი მსოფლიოს რჩეული ყვანჯოსნები დახვდნენ. ზედა სამახსოვრო ფოტოც იქიდან...*

# იქ, მაღლა...

ინვალიდთა ოლიმპიადის თვალსაჩინო სახეობა კალათბურთია. თამაშები ფრიად დაძაბული გამოდის ხოლმე და ისეც არაა საქმე, ჩვეულებრივ კალათბურთში ამერიკა რომ უბატონოდ ცხოვრობს. აგერ, ინგლისელები და გერმანელები, ტრადიციულად არასაკალათბურთო ქვეყნები ოლიმპიადაზე მოხვედრილან და ახლა ერთმანეთში ქიშპობენ. ალბიონელმა კოლინ პრაისმა (იქით) ბურთი ტექნიკურად დაამუშავა და კალათისკენ გაგზავნა. შედეგი სახეზეა, მაგრამ როგორი, ვერ გეტყვით.

საერთოდ, ინგლისმა 61:43 მოიგო.



REUTERS სიდნეიდან

# პატივი

*ზოგ ოლიმპიურ დელეგაციას ათი ოქროს მედლისთვის ტყავს აძრობენ, ეს რას ჰგავსო, ზოგიც ერთი ბრინჯაოსთვის ცაში აჰყავთ, მით უფრო, თუ ეს მედალი ათწლეულების მანძილზე ერთადერთია. აი, ინდოელი კარმან მალეშვარიც ასეთია, ამიტომ აივსო „როიტერის“ საინფორმაციო არხი მისი ფოტოებით, ეს დახვედრაო, ეს მილებაო, ეს საჩუქრებიო და მისთანები, მაგრამ ყველაზე დიდ საჩუქრად მონატრებული დედის კოცნა გვიჩანს. ამასთან განვიმარტავთ: მალეშვარი 69 კგ. წონითი კატეგორიის ძალოსანია, სიდნეის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი.*



REUTERS დელიდან

# კაცი და ტალღა

**რიოსთან** ახლოს, ბარა და ტაჟუკას ნაპირს იმხელა ტალღები ეხეთქება, სამოთხეა სერფინგისთვის. იქ ტურნირია, მშვენიერი და მოულოდნელი ამბები ხდება: აი, ეს ჰავაელი ყმაწვილი, კალანი რობი პროფესიულ კლასიფიკაციაში მე-18-ეა და უცებ ყველას არ უსწრებს? ჯერჯერობით ასეა, მაგრამ ტურნირის ბოლოც ჯერ არ ყოფილა.



REUTERS ბარა და ტაჟუკადან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge